ბიბლიოთეკა

# ახალ, 2003 წლამდე 5 დღე დარჩა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოვლი მოვიდა,
მარინა თოვლი!
არც ისე მკაცრი
ყოფილა ღმერთი.
დედოფალივით
და მოვლილს,
ჩემთვის აგზავნის
და მხოლოდ ჩემთვის.

ოთარ ჭილაძე.

**სულიერება**



## ჭეშმარიტებასთან წილნაყარ ადამიანზე დიადი არაფერია

მართლაც რომ განსაკუთრებული სიღრმის აზრია დავანებული ამ ერთი შეხედვით უბრალო ფრაზაში. თუ მის გაწვრცობას შევეცდებით, აუცილებლად ვიტყვით, რომ ასეთი ადამიანი სხვა სიკეთესთან ერთად თავისუფალიცაა და, ამდენად, საკუთარ შესაძლებლობათა სრული გამოვლენის საშუალება აქვს. სწორედ ეს ჭეშმარიტება უძღოდა წინ მარადჟამს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია მეორეს, რომლის აღსაყდრების 25 წლისთავსაც დღესასწაულობს ამ დღეებში საქართველო, მთელი მართლმადიდებელი და ქრისტიანული სამყარო, ყველა, ვინც უმაღლესი ჭეშმარიტებებისაკენ მიმავალ გზას შესდგომია. ეს დღესასწაული 24 დეკემბერს დაიწყო მცხეთაში, სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში.

...1977 წლის 25 დეკემბერს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საპატრიარქო ტახტზე, რომელიც ანდრია პირველწოდებულისა და სიმონ კანანელისაგან იღებს დასაბამს, ავიდა ლეგენდარული შიოლა ღუდუშაურის შთამომავალი. მცხეთის საპატრიარქო ტაძარში — სვეტიცხოველში შესრულდა ახალი კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის აღსაყდრება. თუ რა მდგომარეობაში იყო მაშინ ქართული ეკლესია, ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ წირვა-ლოცვას ჩვეულებრივ ათიოდე მორწმუნე თუ ესწრებოდა ხოლმე. თუმცა ამ ცერემონიის დროს მოხდა რაღაც საოცრება და ტაძრის ეზო ხალხით აივსო. კომუნისტური რეჟიმის პირობებში ეკლესიისადმი ასეთი თანაგრძნობა პირველად გამოვლინდა, თითქოს ხალხმა იგრძნო, რომ ქვეყნის ცხოვრებაში რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი იწყებოდა.

იხ. მე-2 გვ.

**კანონმდებლები**

## პარლამენტის რიგგარეშე სესია

**25 დეკემბერს გაიხსნა პარლამენტის რიგგარეშე სესია. ამის აღსანიშნავად აჟღერდა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი.**

პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია მეორეს პარლამენტის სახელით მიულოცა აღსაყდრების 25 წლისთავი და წარმატებული მოღვაწეობა უსურვა ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ.

კანონმდებლებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს კოტე მახარაძის ხსოვნას.

იხ. მე-2 გვ.

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელში და სხვა ქვეყნებში.

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ..."

# საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს. აღდგენილია 1990 წელს. №315 (4374) ხუთშაბათი, 26 დეკემბერი, 2002 წელი. ფასი 50 თეთრი.

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

**პრეზიდენტი**

## „ეს ტაძარი მრავალი საუკუნის მანძილზე შეახსენებს შთამომავალთ თითოეულ სიტყვასა და ნაბიჯს, რომლებიც ერთობლივად გადავდგით სამშობლოს მსახურებისას"

**საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიტყვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის აღსაყდრების 25 წლისთავისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე 2002 წლის 25 დეკემბერს**





თქვენო უწმინდესობავ,
წმინდა სინოდის პატივცემულო წევრებო,
ძვირფასო სტუმრებო,
თანამემამულენო!

დღეს სრულიად საქართველო საყოველთაო ზეიმითა და ქრისტესმიერი სიყვარულით აღნიშნავს ერის სულიერი მწყემსის, ერთგული მამულიშვილის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის აღსაყდრების 25 წლისთავს.

ეს უდავოდ ღირსშესანიშნავი მოვლენაა, რომელიც საქართველოს ისტორიაში მთელი ეპოქის გვირგვინად იქცევა.

როგორც სახელმწიფოს მეთაურმა, ქართული ეკლესიის მრევლმა და თქვენმა ნათლულმა, განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი თანამშრომლობა და თანადგომა მის უწმიდესობასთან, რომელიც, როგორც უკვე ბრძანეთ, ჯერ კიდევ ტოტალიტარიზმის წლებში დაიწყო, საქართველოს საერო და სასულიერო ხელისუფალთა ურთიერთმხარდაჭერის იმ დიდი ტრადიციის გაგრძელებაა, ჯერ კიდევ გიორგი ჭყონდიდელის ხანაში რომ ჩაეყარა საფუძველი.

ერის სულიერი და არსებითი კეთილდღეობისათვის საერთო, განუყოფელი პასუხისმგებლობის უეჭველმა გაცნობიერებამ მრავალი ისტორიული განსაცდელი გადაატანინა საქართველოს და კვლავაც მისი ცხოველმოქმედების უმთავრეს პირობად დარჩება.

ეს ტრადიცია გულისხმობს, აგრეთვე, პიროვნულ ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთგაგებას, უსიტყვო ნდობასა და ერთგულებას.

მე ვამაყობ, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში, სხვადასხვაგვარ ვითარებაში ერთნაირი ძალისხმევით მხარს ვუჭერდი თქვენი უწმინდესობის ჭეშმარიტად მისიონერულ საქმიანობას.

იხ. მე-2 გვ.

**ოფიციალური ინფორმაცია**

## ზეიმის მოსამზადებლად

**საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის საახალწლო ნაძვის ხის ზეიმის ორგანიზების მიზნით საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება, რომლის შესაბამისად საახალწლო ზეიმი გაიმართება საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის შენობაში 2003 წლის 1-3 იანვარს.**

საქართველოს სახელმწიფო კანცელარიას დაევალა უზრუნველყოს საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის საახალწლო ზეიმის მომზადება.

ფინანსთა სამინისტრო 2002 წლის საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან ამ ზეიმის მოსაწყობად საქართველოს ბავშვთა ფედერაციას გამოუყოფს 35000 (ოცდათხუთმეტი ათას) ლარს.

საქართველოს პრეზიდენტის რეგიონალური პოლიტიკისა და მართვის სამსახური, პრეზიდენტის რწმუნებულები, ქალაქების მერები და რაიონების გამგებლები უზრუნველყოფენ სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის ანალოგიური ზეიმების მოწყობას ქვეყნის ქალაქებსა და რაიონებში.

საქართველოს ყველა კუთხის ბავშვებს საშუალება ექნებათ იხილონ ამ ზეიმის ტელეტრანსლაცია.

საქინფორმი.

**შევეწიოთ!**

## სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა



**ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:**

| | |
|---|---|
| მანანა პარკაძე | – 10 ლარი |
| ეთერ, დათო, მაღონა, მირანდა, გიორგი უკლებები, და ირაკლი ჩაფიძე | – 7 ლარი |
| ზურაბ ლომიძე | – 27 ლარი |
| აკა, სოფო და მარიამ მიქელაშვილები | – 15 ლარი |
| ლია გობეჯიშვილი | – 10 ლარი |
| დაჩი სხილაძე (4 თვის) | – 220 ლარი. |

**ექსკლუზივი**

## პოლიტიკური ოპოზიცია თუ შანტაჟისტების ბრიგადა?

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ რჩეულიშვილი გვესაუბრება სახელფასო მინიმუმზე, რომელიც ბოლო ხანს განხეთქილების ვაშლად იქცა ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში.

— სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში ეკონომიკა ექვემდებარება პოლიტიკას, ეკონომიკა ემსახურება არა ქვეყნის გაძლიერებას, არამედ პოლიტიკოსთა ამბიციების დაკმაყოფილებას. და ასეთი მიდგომა მთლიანად დამახასიათებელია იმ გუნდისათვის, რომელსაც სათავეში უდგას ზურაბ ჟვანია. თავისთავად, ყველაფრის ამ გუნდისათვის „აკიდება" და ბრალის წაყენება, არ შეიძლება, რადგან ქვეყანაში შექმნილ სიტუაციაზე, საერთო ჯამში, პასუხს აგებს პრეზიდენტი. მაგრამ თავად პრეზიდენტი ეკონომიკაზე წინ აყენებს პოლიტიკას. იგი მართლაც არის დიდი პოლიტიკოსი. რაც მთავარია, მისი პოლიტიკა გასაგებია მთელი მსოფლიოსათვის.

იხ. მე-2 გვ.

**მუსიკა**

## საახალწლოდ ლიანა ისაკაძე ისევ თბილისშია



**„ზანა არსებობს ამქვეყნად სხვა ჭეშმარიტი გამოსახვის საშუალება ადამიანის იდუმალი, განმარტოებული, დატანჯული, მაგრამ უმშვენიერესი სულისა, თუ არა ხელოვნება!**

**როცა ზეიმობს ხელოვნება, მაშინ მეფობს მშვიდობა, სილამაზე, სიკეთე და სიმართლე".**

**ლიანა ისაკაძე.**

...წინასაახალწლო კონცერტის დამკვიდრება კონსერვატორიის დიდ დარბაზში არაორდინარული მევიოლინის სახელს უკავშირდება, — იმ ვირტუოზს და ელეგანტურ შემსრულებელს, რომლის სალამოც საახალწლო კონცერტების სერიის ბოლო აკორდი იქნება.

...წელიწადის მიწურულს მუსიკოსი გვთავაზობს ბიზე-შჩედრინის „კარმენ-სიუიტას" და თანამედროვე ამერიკელი კომპოზიტორის ლეონარდ ბერნსტაინის ამაღელვებელი გრძნობებით აღსავსე „სერენადას", რომელიც 1954 წელს დაიწერა და მიეძღვნა სიყვარულს.

იხ. მე-3 გვ.

**თანხმობა**

## ალბათ, ბიუჯეტს ეშველება!

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას შორის ურთიერთობებში არსებული პრობლემების მოგვარებაზე მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი იმუშავებს, რომელსაც სათავეში ჩაუდგებიან საქართველოს ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი და აჭარის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე როსტომ ბოლქვაძე.

ასეთი შედეგით დასრულდა სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის ხელმძღვანელობით საქართველოს მთავრობის დელეგაციის 7-საათიანი მოლაპარაკებები აჭარის მეთაურთან ასლან აბაშიძესთან და ავტონომიური რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელებთან.

პრაიმ-ნიუსი.

**ინფორმაცია**

**წავიდნენ!**

ოთხშაბათს დასრულდა ამიერკავკასიაში რუსეთის საჯარისო დაჯგუფების კავშირგაბმულობის ქვედანაყოფის საქართველოდან სომხეთში, გიუმრის 102-ე სამხედრო ბაზაზე გადაყვანის პროცესი, რომელიც 20 დეკემბერს დაიწყო.

როგორც პრაიმ-ნიუსს აცნობა რუსეთის საჯარისო დაჯგუფების შტაბის განყოფილების უფროსმა, პოლკოვნიკმა ვლადიმერ ყუფარაძემ, სომხეთში გადავიდა კავშირგაბმულობის ცალკეული ბატალიონი, კავშირგაბმულობის საშუალებების სარემონტო სახელოსნო და სპეციალური საფოსტო კავშირგაბმულობის კვანძი, სულ 100 ერთეული ტექნიკა.

**სამი წელიწადის საკმარისია**

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი ბათიაშვილმა ოთხშაბათს რუსულ მხარეს „უფრო მეტი რეალიზმის" გამოვლენისკენ მოუწოდა ბათუმიდან და ახალქალაქიდან სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ მიმდინარე მოლაპარაკებებზე.

პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში ქართველმა პარლამენტარმა თქვა, რომ ბოლო დროს რუსეთის წარმომადგენლები სულ უფრო ხშირად საუბრობენ არა ამ ბაზების გაყვანისთვის საჭირო 15 ან 11-წლიან ვადაზე, არამედ უკვე 6-7-წლიან პერიოდზე.

ირაკლი ბათიაშვილმა განაცხადა, რომ „ქართული მხარის მიერ შეთავაზებული სამი წელიწადი მაქსიმალურად დასაშვები კომპრომისია".

**ისევ ჩეჩნების გამო**

უზენაესმა სასამართლომ ოთხშაბათს დააკმაყოფილა საზღვრის დარღვევისათვის დაკავებული სამი ჩეჩენისა და მათი ადვოკატების კერძო საკასაციო საჩივარი, უკანონოდ სცნო მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს 5 დეკემბრის დადგენილება და საქმე არსებითად განხილვისათვის ამავე სასამართლოში დააბრუნა და მისი განხილვა სხვა შემადგენლობას დაავალა.

**ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.**

შპს „მაგთიკომი"
MAGTICOM Ltd
მაგთი MAGTI GSM

სიახლე მაგთიკომის აბონენტებს

თბილისის ბინების სატელეფონო ცნობარი – თქვენს მობილურ ტელეფონში!

თუ გაინტერესებთ თბილისის საქალაქო ქსელის აბონენტის ვინაობა და მისამართი, გაგზავნეთ ნომერი მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სახით „5225"-ზე და რამდენიმე წამში მიიღებთ სასურველ ინფორმაციას.

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ:
ქალაქის ტელეფონით: 25-00-00, 25-11-11,
მობილურით: 525, 25-00-00, 25-11-11.

მაგთი GSM – მუდმივი კავშირის სამყარო!

**უკანასკნელ საათს**



პარიზის ქუჩებში ავტომატიანი სამხედროები გამოჩნდნენ. ისინი წესრიგს იცავენ ეიფელის კოშკთან, ლუვრთან, პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის წინამოედანზე და ვერსალში. პატრული დადის აეროპორტებში, ვაგზლებზე და მსხვილ სავაჭრო კომპლექსებში. ქალაქში გაძლიერებულია უსაფრთხოების ზომები.

* * *

აშშ ძიების ფედერალური ბიურო ყველა უცხოელი სტუდენტისა და მასწავლებლის პირად მონაცემებს მოითხოვს უნივერსიტეტების ხელმძღვანელებისგან, რათა გაარკვიონ დაკავშირებული არიან თუ არა ისინი ტერორისტებთან. ამ მოთხოვნებმა ზოგიერთი სასწავლო დაწესებულების პროტესტი გამოიწვია.

**ამინდი დღეს**

**დასავლეთ საქართველოში**

| | | |
|---|---|---|
| დაბლობში: | ღამით -4; | დღისით -1; |
| მთაში: | ღამით -7; | დღისით -4; |

**აღმოსავლეთ საქართველოში**

| | | |
|---|---|---|
| ბარში: | ღამით -5-10; | დღისით -3; |
| მთაში: | ღამით -13; | დღისით -6; |

**თბილისში**

ღრუბლიანი ამინდი, მცირე თოვლი.
ღამით -5; დღისით +0.

საქართველოს ჰიდრომეტდეპარტამენტი.

**ლარის კურსი**

*21 დეკემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:*

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 3.4296 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1400 ლარი |
| ევრო | 1 | 2.1950 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0672 ლარი. |

**ინტერპანორამა**



ისრაელში დააპატიმრეს არაბები, რომლებიც იერუსალიმში ტერაქტების სერიას გეგმავდნენ. ათი დაკავებულიდან ოთხი ისრაელის მოქალაქეა. ყველა მათგანი მონაწილეობდა შეიარაღებულ თავდასხმებში ისრაელთა მანქანებზე.



მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე — ნაბლუსში, ხევრონსა და ამ ქალაქების გარეუბნებში 16 პალესტინელი დააპატიმრეს. მათ შორის არიან მოძრაობა „ფათხის" და პალესტინის გათავისუფლების რადიკალური სახალხო ფრონტის აქტივისტები.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 315, ხუთშაბათი, 26 დეკემბერი, 2002 წელი.

სულიერება

# ჭეშმარიტებასთან წილნაყარ ადამიანზე დიდი არაფერია

(პირველი გვერდიდან)

[illegible]

...რსდა სასულიერო აკადემია და სემინარია. საუკუნეთა შემდეგ კვლავ აღდგა გელათის სასულიერო და მეცნიერებათა აკადემიები, საქართველოს მრავალ კუთხეში გაიხსნა სასულიერო სასწავლებლები, საერო უნივერსიტეტებში სღვთისმეტყველო კათედრებზე ლექციებს კითხულობენ სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებულები.

უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით თანამედროვე ქართულ ენაზე გამოიცა ბიბლია, სღვთისმეტყველო კრებული, გამოდის საეკლესიო ჟურნალ-გაზეთები, კალენდრები. 2001 წლიდან ეთერშია საპატრიარქოს რადიო „ივერია“, რომლის მაუწყებლობა ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთშიც. საქართველოში ამოქმედდა ეკლესიები და მონასტრები, აშენდა ახალი ტაძრები. 25 წლის წინათ საქართველოში მხოლოდ 48 მოქმედი ეკლესია იყო, დღეს კი – 800-ს აღწევს. რაც შეეხება სასულიერო პირებს, მათი რიცხვი ამ წლების განმავლობაში 25-ჯერ გაიზარდა.

ნაღვაწის ჩამოთვლა შეიძლება კიდევ გავაგრძელოთ, მაგრამ ყველაზე შთამბეჭდავი მაინც ადამიანთა სულიერი ფერისცვალება, ეკლესიისკენ მათი შემობრუნების დამადასტურებელი ნიშნები. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც 25 დეკემბერს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი

[illegible]

...სება, რაც ბედის უკუღმართობის გამო შეწყვიტა ორი საუკუნის წინათ. და ასეთი სიდუხჭირის დროს ქვეყანამ მაინც გამონახა შესაძლებლობანი, რათა შებმოდა ამ დიდ მშენებლობას და ბოლომდე მიეყვანა იგი. აქ, რა თქმა უნდა, ისევ გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართველი ერის სულიერი მამისა და საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ინიციატივამ. აკი კიდეც აღნიშნა უწმიდესმა და უნეტარესმა თავის სიტყვაში, რომ ედუარდ შევარდნაძეს ყოველთვის ესმოდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ეკლესიას და თვით კომუნისტური რეჟიმის დროსაც კი ყველანაირად ეხმარებოდა მას. მიმართა რა ტაძარში დღესასწაულზე მოსულ ქვეყნის პრეზიდენტს და მის თანხმლებ პირებს, სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ სტუმრებს, თანამემამულეთ, მან თქვა, რომ განვლო 25-მა მეტად რთულმა და მძიმე წელმა, „ჩვენ დავინახეთ, რომ უფალი მუდამ ჩვენთან იყო. უფალი ქმნიდა, უფალი ნერგავდა და უფალი მწყემსავდა, ჩვენ მხოლოდ აღმასრულებელი ვიყავით იმ დიდი განგებისა და ნებისა, რომლებიც მოგვივლინა ზეციურმა მალამ... მე მახსენდება ის პერიოდი, როცა იზღუდებოდა ეკლესია, მაგრამ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, ეხმარებოდით ტაძრებსა და მონასტრებს, იქ ჩანდა თქვენი რწმენა, თქვენი სულისკვეთება. ჩვენ მადლობელი ვართ იმ თანადგომისათვის, რომელიც მაშინ გამოიჩინეთ... დღეს ჩვენ ეხე-

დავთ განახლებული და დამოუკიდებელი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას და ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალია, თავისუფლება, რომელიც უფალმა გვიბოძა ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში, დიდი მეფის ვახტანგ გორგასლის დროს, შევინარჩუნოთ და გავაძლიეროთ, რადგან ეკლესია, სარწმუნოება არის ერთადერთი ძალა, რომელიც გაამთლიანებს, შეკრავს, შეადუღაბებს ჩვენს ქვეყანასა და ერს... ჩვენ მადლობელი ვართ, თქვენო აღმატებულებავ, ყველაფრისათვის, რასაც თქვენ აკეთებთ ჩვენი ქვეყნის, საერთაშორისო მშვიდობისათვის, – თქვენ ყველაფერი გააკეთეთ იმისათვის,



რომ საქართველო იყოს არა მარტო ქვეყანა, რომელსაც ეხმარებიან ძლიერი სახელმწიფოები, არამედ საქართველოს ჰქონდეს თავისი როლი და ღირსეული ადგილი“.

**შემდეგ სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ (პრეზიდენტის სიტყვა გაზეთის დღევანდელ ნომერში ქვეყნდება).**

კათოლიკოს-პატრიარქს აღსაყდრების 25 წლისთავი მიულოცეს სტუმრად ჩამოსულმა სხვადასხვა ეკლესიის წარმომადგენლებმა, ქართველმა სასულიერო პირებმა. მას გადაეცა სრულიად რუსეთისა და მოსკოვის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქის, უწმიდესის ალექსი მეორის წერილი და წმინდა ბარძიმი.

კიდევ ერთხელ ითქვა, რომ მხოლოდ ჭეშმარიტი რწმენა და სულიერება უნდა გახდეს ერის კონსოლიდაციის საფუძველი და მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი დასახული მიზნის მიღწევა.

... გრანდიოზული ტაძრის თაღებქვეშ ჟღერდა „მრავალჟამიერი“, როგორც ჰიმნი ერის დღეგრძელობისა და უკვდავებისა, ნიშანი უდიდესი ღვთისმოსაობისა და იმედისა.

**საქინფორმი.**





პრეზიდენტი

# „ეს ტაძარი მრავალი საუკუნის მანძილზე შეახსენებს შთამომავალთ თითოეულ სიტყვასა და ნაბიჯს, რომლებიც ერთობლივად გადავდგით სამშობლოს მსახურებისას“

(პირველი გვერდიდან)

მახსენდება, მაშინ, როცა ჩვენი ხალხის ნებით, თქვენი ნებით და უფლის კარნახით შორეული კუთხიდან ჩემს სამშობლოში, საქართველოში დავბრუნდი, პირველი, რაც გავაკეთე, თქვენთან, საპატრიარქოში მოვედი და ლოცვა-კურთხევა გთხოვეთ. მაშინ მივიღე ის მხარდაჭერა, თანადგომა, რომელთა გარეშე იმ ქაოსის და უბედურების დაძლევა არ შეიძლებოდა.

თქვენი ლოცვა-კურთხევით და მამულიშვილური ღვაწლით, საქართველოში, დღიდან აღსაყდრებისა, ასობით ეკლესია აშენდა, აღდგა და განახლდა. ეს პროცესი ახლაც მიმდინარეობს და მთელი ხალხი, მდიდარი და ღარიბი – ყველა ჩაბმულია მასში.

განსაკუთრებით საგულისხმო და მნიშვნელოვანია სწორედ ამ პერიოდში ახალგაზრდობის, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების, მომავალი თაობის მოქცევა ეკლესიისაკენ, რაც მათი სულიერი სიჯანსაღის წინაპირობას ქმნის.

ვასრულებდი რა ჩემი ხალხის ნებას, სრულიად შეგნებულად მივიღე ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება – დამეჯილდოვებინეთ დავით აღმაშენებლის ორდენით. თქვენ ერთადერთი ადამიანი ხართ, რომელიც მისი მფლობელია.

თქვენი საქმიანობა პატრიოტული თავშეწირულობის ნიმუშია. ასეთი მაგალითი კი განსაკუთრებით ღირებულია იმ ვითარებაში, როდესაც სახელმწიფო აღმშენებლობა და ყოველმხრივი ტრანსფორმაცია ერისაგან უდიდეს მატერიალურ მსხვერპლს მოითხოვს. რომ არა თქვენი მხარდაჭერა, ამ წლებს ვერ გავუძლებდით.

ეკლესია და მისი მწყემსი (ისევე, როგორც საუკუნეთა წინათ, უმძიმესი გაჭირვების ჟამს), რჩებიან იმ კელაპტრად, რომელიც ქვეყნის ცხოვართ გზას უნათებს და სულიერ მწვერვალთა დასაპყრობად დიდი მსხვერპლის აუცილებლობაში არწმუნებს.

ჩვენი დედა-ეკლესია საქართველოს სულიერი და სხეულებრივი მთლიანობის უმტკიცესი ბურჯი იყო, რჩება და იქნება კვლავაც.

გრიგოლ ხანძთელიდან დღემდე ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ მართლაც წმიდა სანთელივით გამოატარა ეს ტრადიცია.

ხოლო ილია მეორემ, თქვენ, თქვენო უწმინდესობავ, იგი შემოიტანა ახალ საუკუნესა და ახალ ათასწლეულში, დამოუკიდებელ საქართველოში, როგორც ნიშანსვეტი საქართველოს სახელმწიფოებრივი და სულიერი განვითარებისა და აღორძინებისა.

იგი კვლავაც დაგვეხმარება, ერთად ვაშენოთ ურყევ ეროვნულ საწყისზე დაფუძნებული, ახალი, თავისუფალი საქართველო, რომლის ხატად იქცევა წმიდა სამების ტაძარი. მას ჩვენ ყველა ერთად – საქართველოს მოქალაქეები, მე და თქვენ ერთად ვაშენებთ და ვუტოვებთ შთამომავლობას.

გარდა ამისა, ეს ტაძარი, თქვენო უწმინდესობავ, მრავალი საუკუნის მანძილზე შეახსენებს შთამომავალთ თითოეულ სიტყვასა და ნაბიჯს, რომლებიც ერთობლივად გადავდგით სამშობლოს მსახურებისას.

ასევე საუკუნეებს შემორჩება ძეგლი, რომელსაც სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში მე და თქვენ მოვაწერეთ ხელი – ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის და ქართული სახელმწიფოს მარადიული ერთობის ნიშნად.

თქვენო უწმინდესობავ, მთელი ერის, სრულიად საქართველოს სახელით გილოცავთ აღსაყდრების 25 წლისთავს, დაბადების 70 წლის იუბილესა და მღვდელმთავრობის 40 წლის შესრულებას.

გისურვებთ ჯანმრთელობას, ფიზიკურ ძალმოსილებას – ღვთის სადიდებლად და ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის გასაძლიერებლად.

გამოჩენილი ქართველი მხატვრის, ზურაბ ნიჟარაძის ფერწერულ ტილოში – „აღმასვლა“ მაღალმხატვრულ ღირებულებებთან ერთად განხორციელებულია იდეა სტიქიის, ტალღების ტრანსფორმირებისა ცხენებად, რომლებიც აღმართული არიან ზეცისაკენ, ღმერთისაკენ და გვევლინებიან სამყაროს, ქვეყნის სიძლიერის, სტაბილურობისა და აღმასვლის სიმბოლოებად.

სურათში აგრეთვე აჟღერებულია იდეა საერო და რელიგიური ასპექტების თანხვედრისა სამყაროსა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ნება მიბოძეთ, ეს სურათი მხატვრის, ჩემი და ჩემი ხალხის სახელით თქვენ გადმოგცეთ.

დაჯილდოება

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2002 წლის 22 დეკემბერი ქ. თბილისი

### საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენელთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

ქართული ჟურნალისტიკის განვითარებასა და აქტუალური, ცხოვრებისეული თემების მაღალკვალიფიციურ დონეზე წარმოჩენაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლები:

**ღირსების ორდენით:**

**გურამ ალექსანდრია** – გაზეთ „ახალი ქუთაისის“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი; **დალი დარახველიძე** – გაზეთ „ამბროლაურის მოამბის“ რედაქტორი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი; **ნელი კობიაშვილი** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სპეციალური კორესპონდენტი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი; **მანანა ლომაძე** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების დირექციის განყოფილების გამგე, პროგრამა „თბილისი და თბილისელების“ ხელმძღვანელი; **ჯავარ ლომაძე** – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფოტოკორესპონდენტი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი; **დალი მელაძე** – კასპის რაიონულ გაზეთ „განთიადის“ კორესპონდენტი; **კლარა ფაჩუაშვილი** – გაზეთ „ზუგდიდის“ კორესპონდენტი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი; **გივი ჩიხლაძე** – ხონის ადგილობრივი მმართველობის გაზეთ „ხონის“ რედაქტორის მოადგილე, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი; **ბეგლარ ჩხაიძე** – გაზეთ „ქართლის ცხოვრების“ საკუთარი კორესპონდენტი გურია-იმერეთის რეგიონში, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

**ღირსების მედლით:**

**ლამარა სიმონიშვილი** – ოზურგეთის რაიონის გაზეთ „ალიონის“ კორესპონდენტი; **ჟანა ხაჩატუროვა** – საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის ამიერკავკასიის პრესის განყოფილების გამგე.

**ედუარდ შევარდნაძე.**

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2002 წლის 24 დეკემბერი ქ. თბილისი

### ალექსანდრე მაისურაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფასების ლიბერალიზაციისათვის გატარებულ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობისათვის, ფასებისა და ფასწარმოქმნის შესახებ კანონპროექტის მომზადებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი პრაქტიკული საქმიანობისათვის საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს ფასების სახელმწიფო ინსპექციის დასავლეთ საქართველოს ფასების ინსპექციის უფროსი **ალექსანდრე მაისურაძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**ედუარდ შევარდნაძე.**

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2002 წლის 24 დეკემბერი ქ. თბილისი

### ლანჩხუთის რაიონის განათლების მუშაკთა დაჯილდოების შესახებ

მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებასა და სასწავლო პროცესის სრულყოფაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის დაჯილდოვდნენ ლანჩხუთის რაიონის განათლების დარგის მუშაკები:

**ღირსების ორდენით:**

**ეთერ ჭყონია** – სოფელ ჩიბათის საშუალო სკოლის ბუნებისმეტყველების მასწავლებელი.

**ღირსების მედლით:**

**მიმოზა ბარამიძე** – განათლების რაიონული განყოფილების სასკოლო ინსპექტორი; **ნარგიზა თევზაძე** – ქალაქ ლანჩხუთის №4 საავტორო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი.

**ედუარდ შევარდნაძე.**

გვწერენ

## მადლობა პრეზიდენტს

მიმდინარე წლის 14 ნოემბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში პირველად მერგო ბედნიერება ერთ ჭერქვეშ ვყოფილიყავი ქვეყნის პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის, პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის, სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძისა და იმ მრავალათასიან ინვალიდთა ერთობის გვერდით, სადაც თავყრილობა იხილავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე თანამოძმეების დღევანდელი ყოფის მტკივნეულ საკითხებს.

შეხვედრა მოურიდებელი საუბრით დაიწყო.

გამომსვლელებმა ფართო აუდიტორიას ღრმა დამაჯერებლობითა და სიცხადით გააცნეს დღევანდელი სინამდვილის, ჯაუსაძლისი ცხოვრების შეურიგებელი მდგომარეობა.

დარბაზში ნუგეშისმომცემი ბევრი რამ ითქვა, მათ შორის მთელმა დარბაზმა ყველაზე დიდი მნიშვნელობა ბატონ ედუარდ შევარდნაძის მიერ მკაფიოდ გამოთქმულ თანადგომისა და მხარდაჭერის სიტყვებს მიანიჭა. მინდა ყველას სახელით მადლობა ვუთხრა ამ დიდბუნებოვან ადამიანს და მის წინაშე თავი მოწიწებით დავხარო.

**დემურ ჩიქობავა.**

ყურადღება!

## საავტომობილო გზებზე შეფერხებებია

**ამინდის გაუარესებასთან დაკავშირებით, ქვეყნის საავტომობილო გზების ზოგიერთ მონაკვეთზე მოძრაობა შეფერხებულია.** თბილისი-თიანეთის გზატკეცილის 42-78 კილომეტრის მონაკვეთზე ავტომობილების მოძრაობა აკრძალულია, ხოლო 20-42 კილომეტრზე დაშვებულია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვებით ყველა სახეობის ტრანსპორტის მოძრაობა. ქვეყნის მაღალმთიან რეგიონებში მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის მონაკვეთზე, ახალციხე-ნინოწმინდის 52-100 კილომეტრზე, აგრეთვე გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის 0-88 კილომეტრზე და თბილისი-ტყიბული-ამბროლაურის გზის 30-63 კილომეტრზე ავტომობილების მოძრაობა შესაძლებელია მხოლოდ მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვებით.

**საქინფორმი.**

კანონმდებლები

## პარლამენტის რიგგარეშე სესია

(პირველი გვერდიდან)

ამის შემდეგ დეპუტატებმა დაამტკიცეს რიგგარეშე სესიის დღის წესრიგი.

მუშაობა კანონმდებლებმა საშემოდგომო სესიაზე განხილულ საკითხებზე კენჭისყრით დაიწყეს.

პარლამენტმა გამარტივებული წესით – ერთი მოსმენით მიიღო კანონპროექტი „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“. ცვლილების მიხედვით 2003 წლის 1 აპრილამდე გადავადდება კანონის ამოქმედება. ასევე გამარტივებული წესით – ერთი მოსმენით მიიღეს კანონპროექტი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“. ამ ცვლილებებით კანონის მე-14 მე-6 პუნქტი ამოქმედდება საცალო მიმოქცევაში არსებული წამლისათვის, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე პროცედურის დადგენილი წესის შესაბამისად რეგისტრაციას ან ხელახალ რეგისტრაციას 2003 წლის 1 იანვრიდან გაივლის. თავად აღნიშნული პუნქტი ეხება იმას, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებულ წამალს უნდა ჰქონდეს სახელმწიფო ენაზე წარმოდგენილი ინსტრუქცია.

პარლამენტმა მესამე – საბოლოო მოსმენით მიიღო კანონპროექტი „სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“. ცვლილებები შედის კანონის მე-12 მუხლში, რომელიც სტატისტიკურ მონაცემთა კონფიდენციალურობას ეხება. მეორე და მესამე – საბოლოო მოსმენით პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“.

1990 წელს არჩეული ყოფილი უზენაესი საბჭოს წევრთა საპარლამენტო პენსიით უზრუნველყოფის საკითხებს ეხება კანონპროექტი „პარლამენტის წევრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევისა და საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, რომელიც პარლამენტმა გამარტივებული წესით – ერთი მოსმენით მიიღო.

პარლამენტმა დაამტკიცა „საქართველოს 2003 წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“ დადგენილების პროექტი და უფლებამოსილება გაუგრძელა ეროვნული თანხმობის დროებით კომისიას.

სხდომას ესწრებოდნენ სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.

რიგგარეშე სესიის პირველი დღის სხდომამ გვიანობამდე იმუშავა.

**საქინფორმი.**

ექსკლუზივი

(პირველი გვერდიდან)

ავიღოთ თუნდაც, ბერლინის კედლის დანგრევა, საბჭოთა კავშირის დაშლა, შეიარაღებული ფორმირებების განიარაღება, აბრეშუმის გზის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტების განხორციელება, – აქ ყველგან წინა პლანზე იდგა პოლიტიკა. ამასთან, ამ საკითხების სწორად გადაწყვეტაზე იყო დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერება. სხვაგვარი მიდგომა დამღუპველია. საამისო მაგალითი ჩვენ უკვე გვქონდა ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში, როცა სამტრედიაში რკინიგზა გადავკეტეთ და ლამის მთელი საქართველო ეკონომიკურად საკუთარი ხელითვე მოვახრჩეთ. ზვიად გამსახურდიას შეცდომა ის იყო, რომ ერთდროულად გადაიკიდა რუსეთიც და დასავლეთიც, ეს გადაკიდება მისი ჩამოგდებით დამთავრდა.

ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, რუსეთი კი ემდურებოდა, მაგრამ დასავლეთი მხარს უჭერდა. ეს უკვე მომგებიანი სიტუაცია გახლდათ. მან თავის ირგვლივ შემოიკრიბა პროფესიონალი ეკონომისტები, – ქვილითაია, ჯინჯიხაძე, კერვალიშვილი, იაკობიძე, ჯავახიშვილი და სხვები. ჰოდა, ეკონომიკასაც დაეტყო აღმავლობა. აი, ამათ მერე მოვიდა ზურაბ ჟვანიას გუნდი, ეს პროფესიონალები ასპარეზიდან განდევნა და ეკონომიკა მთლიანად საკუთარი პოლიტიკური მიზნების სამსახურში ჩააყენა.

გახსოვთ, ალბათ, როგორ ჩამწკრივდნენ მაღალ-მაღალ პოსტებზე ჭკუასელი, ონოფრიშვილი, ნოღაიდელი, მაჭავარიანი... თავიანთი ხალხით დააკომპლექტეს საბაჟო და საგადასახადო სამსახურები... ერთი სიტყვით, მცოდნეები გაყარეს და მათ ადგილებზე უვიცები დასვეს. სწორედ ამას მოჰყვა ეკონომიკის ნგრევა.

**– ბატონო ვახტანგ, პოზიციას თუ მთლად ვერ აჩერებს ოპოზიცია, ქაჩავს მაინც მას, უჩხიკინებს, რათა ყველაფერი თავისი გზით არ წაიყვანოს. რას აკეთებდა ამ პერიოდში ან თქვენი ბლოკი, ან თქვენი პარტია, შორიდან უყურებდით მოვლენებს?**

– რა თქმა უნდა, არა! მე არ მიყვარს კულუარული გარიგებები. ყველაფერს ვაკეთებ ღიად. თუ ვთანამშრომლობ ედუარდ შევარდნაძესთან, – ამას ღიად ვაკეთებ; თუ ასლან აბაშიძესთან, – ამასაც ღიად ვაკეთებ. ჩვენ მაგათაც შევთავაზეთ თანამშრომლობა. კერძოდ, ჯერ კიდევ 1997 წელს გავაფორმეთ შეთანხმების ოქმი „უმრავლესობასთან“, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებული იყო: „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური გეგმის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანა; ეროვნული ეკონომიკის, უპირველესად,

## პოლიტიკური ოპოზიცია თუ შანტაჟისტების ბრიგადა?

მრეწველობის ასაღორძინებლად საინვესტიციო პროცესის სტიმულირებისა და მისი სახელმწიფო რეგულირების შესახებ კანონის შემუშავება: ვეტერანებისა და სამხედრო პენსიონერების შესახებ კანონების, აგრეთვე, სახელმწიფო ბანკების მეანაბრეთა ვალის ინდექსაციის და სტიქიისაგან დაზარალებული რაიონებისათვის დახმარების გაწევის თაობაზე აღმასრულებელი ხელისუფლების ინფორმაციის ყოველთვიური მოსმენა; ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფნის ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური, დემოგრაფიული, და სხვა ასპექტების შესწავლა... ეს ყველაფერი მიფუჩეჩდა, არაფერი არ გაკეთდა, ერთი პუნქტიც არ შესრულდა, დრო დაიკარგა...

უფრო მეტს გეტყვით, 1996 წლის დეკემბერში, 1997 წლის ბიუჯეტის განხილვისას, წარვადგინეთ კანონპროექტი „მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან ეტაპობრივი დაახლოების შესახებ“, რომელიც სესიის დარბაზშივე გადავეცით მაშინდელ ფინანსთა მინისტრს მიხეილ ჭკუასელს. ეს კანონპროექტი მასთან ერთად გაქრა და ეს იდეაც ყველამ მიივიწყა.

**– და იყო იმხანად რაიმე საიმედო პერსპექტივა?**

– ჩვენი გათვლებით, მაშინდელი ეკონომიკური ზრდის ტემპი (მატება 12 პროცენტი) იძლეოდა საშუალებას მინიმალური ხელფასი 7 ლარი გაზრდილიყო 20 ლარამდე საბიუჯეტო, ხოლო 30 ლარამდე – არასაბიუჯეტო სექტორში. ასეთი მიდგომით 1999 წლის ბოლოს ქვეყანაში იქნებოდა უკვე ისეთი მინიმალური ხელფასი, რომელიც გაუტოლდებოდა საარსებო მინიმუმს. ეს მეთოდი დიდი დეპრესიის დროს გამოიყენეს აშშ-ში და მან გაამართლა. ჩვენთან კი თითი თითზე არ დავაკარეთ. გახსოვთ, ერთხელ ეკონომიკის მინისტრმა მოითხოვა ბიუჯეტში ხარჯვითი ნაწილის გაზრდა რაღაც 100 მილიონით. ამაზე ისეთი აჟიოტაჟი ატეხეს, ლამის ქვეყანა გააყრუეს. ახლა კი ერთბამად მოინდომეს იმის გაკეთება, რაც 6-7 წლის მანძილზე არ გაკეთებულა. და არ გაკეთებულა მაგათი მიზეზით.



**– და რატომ არ გააკეთეს? ერთი შეხედვით, თითქმის წარმოუდგენელიც კია, მმართველ პარტიას ხალხზე, ამომრჩეველზე არ ეზრუნა...**

– ერთადერთი, რაც ხელს უშლიდა ამ პრობლემის ეტაპობრივ მოგვარებას, ეს იყო პოლიტიკური ნება, რაც მმართველ პარტიას არ აღმოაჩნდა. ან საიდან აღმოაჩნდებოდა, ეგენი სულ სხვა რამეზე ფიქრობდნენ. ქვეყანაში შექმნეს კორუფციული სისტემა. ყველაფერი იგეგმებოდა არა შევარდნაძის, არამედ ჟვანიას კაბინეტში, ვაშლიჯვრის ოფისში. იქ წყდებოდა, თუ რომელი მაჟორიტარი დეპუტატი რამდენ ტრანსფერს მიიღებდა, რომელი კორუმპირებული პიროვნება რომელ თანამდებობაზე დაინიშნებოდა. რა ეკონომიკა გაუძლებდა მაგათ მიერ ქარხნების განიავებას და ფულის განაწილებას. მე ყველაფერი ეს ხმამაღლა ვთქვი, კორუფციაში დავადანაშაულე ჟვანიას გუნდი და სასამართლოში მიჩივლეს, თუმცა, პროცესი ვერ მოიგეს.

ეგ ხალხი არის დამნაშავე ქვეყნისა და ერის წინაშე. დღესაც, ამ პოპულისტური წინადადებით, როცა მოითხოვენ სახელფასო მინიმუმის 500-600 პროცენტით გაზრდას, ფიქრობენ სახელმწიფო ბიუჯეტის დანგრევაზე, აფეთქებაზე და არა ხალხის ინტერესებზე. ამ ხელისუფლებამ მაგათ პასუხი უნდა აგებინოს წარსულზეც და აწმყოზეც. ახლაც არ იშლიან, ახლაც იმუქრებიან, ახლაც აშინებენ მთავრობასაც და საზოგადოებასაც. ნახეთ, რას შერება მიხეილ სააკაშვილი თბილისის საკრებულოში. მაგათ სკამები, თანამდებობები უნდათ, თორემ საქართველო თუნდაც ამოწყვეტილა, კორუფცია აღზევებულა. მუშაობენ ერთი პირობით, – ხელისუფლებაში ვართ ჩვენ, ფული მოიტანეთ ჩვენთან! ეგ გუნდი კი არა, შანტაჟისტების ბრიგადაა. ახლა ჩაევებ ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების პროცესში და უკვე ატეხეს განგაში, – იქ რჩეულიშვილს ეკონომიკური ინტერესები აქვსო. სირცხვილია ეს!

**– ოპონენტები თქვენზეც ამბობენ, ფულის „მეშოკიაო“, სოციალისტური პარტიის ლიდერია, თავად კი – კაპიტალისტიაო, – რესტორნები, ჰესები, მშენებლობები... ეს ყველაფერი მართლაც „ყვირის“...**

– ჩემი თითოეული კაპიკი ცნობილია საზოგადოებისთვის. მამაჩემი საუკუნის იურისტი იყო, შემოსავალი ჰქონდა. მერე რაც მივამატე, მივამატე უდიდესი შრომის ხარჯზე, ჩემი ფული კანონიერია, მაგათი კი მოპარულია. ზოგს ისეთი ჰალსტუხი უკეთია, ერთ ოჯახს ერთი თვე ეყოფა სარჩენად. ყველა მდიდარი ბიზნესმენი მაგათ აფინანსებდა. უნამუსოები არიან, ეგენი სხვას რა ქონებას უნდა უთვლიდნენ. მიკვირს, რომ სამართალდამცავები დუმან და მაგათ პასუხს არ სთხოვენ! ხალხს ცხოვრება მოპარეს, სიცოცხლის წლები წაართვეს. რაც ქვეყანას ზარალი მიაყენეს, ველარავინ გამოასწორებს, გარდა ედუარდ შევარდნაძისა და ახლა მაგას ებრძვიან!

**– ისე, ბატონო ვახტანგ, არ შეიძლება ერთი ადგილის ტკეპნა, ოდესმე ხომ უნდა დაადგეს საშველი 20-ლარიან ხელფასსაც და 14-ლარიან პენსიასაც...**

– დღეს, ბიუჯეტის 100-მილიონიანი დეფიციტის პირობებში, ასეთი ნაბიჯის დაუფიქრებლად გადადგმა არ შეიძლება. ეკონომიკური დაცემის პირობებში მინიმალური ხელფასის ერთბაშად 10-ჯერ ზრდა გამოიწვევს ქვეყანაში ინფლაციური პროცესების განვითარებას; რეალური ხელფასის მსყიდველობითუნარიანობის 10-ჯერ და მეტად შემცირებას, არასაბიუჯეტო სფეროში საშემოსავლო გადასახადების კიდევ უფრო მეტად დამალვას, როგორც არასაბიუჯეტო, ასევე საბიუჯეტო სფეროში დასაქმების შემცირებას და უმუშევრობის ზრდას; ხელფასებისა და პენსიების დიდი დაგვიანებით გაცემას...

საერთო ჯამში, ეს ქვეყანაში გაზრდის სოციალურ დაძაბულობას. ხალხი ქუჩაში გამოვა და მაგათ მიზანსაც ხორცი შეესხმება!

თუ ჩვენ მინიმალური ხელფასის რეალურად გაზრდა გვინდა, იგი უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, თანდათანობით, 20-30-პროცენტიანი ზრდით. დღეისათვის შესაძლებელია მინიმალური ხელფასი არასაბიუჯეტო სექტორში განისაზღვროს ოჯახის საარსებო ნორმატივის დონეზე – 50 ლარის ფარგლებში, ხოლო არასაბიუჯეტო სექტორში – 60 ლარის ფარგლებში. ამასთან, მინიმალური ხელფასის ეტაპობრივი ზრდის გარანტი უნდა იყოს კონტრაბანდის და ფარული ეკონომიკის დონის შემცირება, საერთოდ, კორუფციული სისტემის დანგრევა!

ესაუბრა
**ბონდო გულიაშვილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოკუმენტი

# საქართველოს ორგანული კანონი

## „პროკურატურის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „პროკურატურის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში (პარლამენტის უწყებანი, №46, 3.12.1997) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. აკრძალულია პროკურატურისათვის ისეთი მოვალეობის დაკისრება, რომელიც გათვალისწინებული არ არის საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით.".

2. მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) კანონით დადგენილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, პროკურატურის მუშაკებს ანიჭებს და ჩამოართმევს სპეციალურ წოდებებს:";

3. მე-9 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტში სიტყვები „ჰაუპტვახტსა და სადისციპლინო სამხედრო ნაწილში" შეიცვალოს სიტყვით „ჰაუპტვახტში";

ბ) მე-7 და მე-9 პუნქტებში სიტყვები „მთავარი სამხედრო პროკურორის წარდგინებით" შეიცვალოს სიტყვებით „ამ კანონით დადგენილი წესით".

4. მე-10 მუხლის:

მე-6 და მე-8 პუნქტებში სიტყვები „საქართველოს ტრანსპორტის პროკურორის წარდგინებით" შეიცვალოს სიტყვებით „ამ კანონით დადგენილი წესით".

5. მე-12 მუხლის:

მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ქ. თბილისის პროკურატურისა და საოლქო პროკურატურების მუშაკებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური პროკურორი ამ კანონით დადგენილი წესით.".

6. მე-13 მუხლის:

ა) პირველ პუნქტში სიტყვები „საგამოძიებო იზოლატორში" შეიცვალოს სიტყვებით „საპყრობილესა";

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. რაიონის (ქალაქის) პროკურორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური პროკურორი ამ კანონით დადგენილი წესით, ხოლო აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების რაიონის (ქალაქის) პროკურორს თანამდებობაზე ნიშნავს ან თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს გენერალური პროკურორი აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორების წარდგინებით. სასჯელაღსრულებით პროკურორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური პროკურორი.".

გ) მე-4 პუნქტში სიტყვები „შესაბამისი პროკურორის წარდგინებით" შეიცვალს სიტყვებით „ამ კანონით დადგენილი წესით".

7. მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის „ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ზემდგომი პროკურორის მიერ ქვემდგომი პროკურორების გადაწყვეტილებებსა და აქტებზე საჩივრების განხილვას.".

8. მე-19 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტში სიტყვები „საქმის წინასწარ მოსმენაში" შეიცვალოს სიტყვებით „სასამართლოს განმწესრიგებელ სხდომაში";

ბ) მე-5 პუნქტში სიტყვები „და სარევიზიო წარმოების სტადიებზე" შეიცვალოს სიტყვებით „წარმოების სტადიაზე".

9. 23-ე მუხლის პირველ პუნქტში რიცხვი „16" შეიცვალოს რიცხვით „15".

10. 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სარევიზიო წესით ან".

11. 34-ე მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პროკურატურის მუშაკის სამსახურიდან განთავისუფლება";

ბ) პირველი პუნქტის პირველი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პროკურატურის მუშაკს თანამდებობიდან გაანთავისუფლებენ ან პროკურატურიდან დაითხოვენ:";

გ) ამავე პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ-ო" ქვეპუნქტები:

„მ) სამსახურში მიღებისას ან თანამდებობაზე დანიშვნისას დადგენილი მოთხოვნების დარღვევისათვის;

ნ) საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაუბარებლობის გამო;

ო) საპენსიო ასაკის გამო (ქალებისათვის – 60 წელი, მამაკაცებისათვის – 65 წელი). ამ წესიდან გამონაკლისს შეადგენენ გენერალური პროკურატურის სასწავლო ცენტრის მუშაკები, რომლებიც ეწევიან სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას პროკურატურის მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად.".

12. 35-ე მუხლის სათაურიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „პროკურატურის მუშაკის პასუხისმგებლობა".

13. 38-ე მუხლის:

ა) მე-6 პუნქტის პირველი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. პროკურატურის მუშაკის მიერ ფიცის, სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევისათვის, მასზე კანონით დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ანდა პროკურატურის მუშაკისათვის შეუფერებელი საქციელის ჩადენისათვის, მის მიმართ გამოიყენება შემდეგი დისციპლინური სახდელები:";

ბ) მე-7 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8-17 პუნქტები;

„8. გენერალური პროკურორი თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია პროკურატურის მუშაკის მიმართ გამოიყენოს ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური სახდელის ნებისმიერი სახე.

9. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორებს უფლება აქვთ გამოიყენონ შემდეგი დისციპლინური სახდელები: შენიშვნა, საყვედური და სასტიკი საყვედური.

10. თუ პროკურატურის მუშაკის მიერ ჩადენილი გადაცდომისათვის აუცილებელია გამოყენებულ იქნეს ის დისციპლინური სახდელი, რომელიც მხოლოდ გენერალური პროკურორის კომპეტენციას განეკუთვნება, პროკურორი წარდგინებით მიმართავს გენერალურ პროკურორს.

11. პროკურატურის მუშაკის მიერ ჩადენილი ერთი და იმავე გადაცდომისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ერთი დისციპლინური სახდელი.

12. საქართველოს გენერალურ პროკურორს უფლება აქვს გააუქმოს, შეამსუბუქოს ან დაამძიმოს პროკურატურის მუშაკის მიმართ ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული პროკურორების მიერ გამოყენებული დისციპლინური სახდელი.

13. დისციპლინური სახდელის დადება ხდება პროკურორის ბრძანებით. იგი უნდა გაეცნოს პროკურატურის მუშაკს, რომელსაც დაედო სახდელი. ბრძანება დისციპლინური სახდელის დადების შესახებ ინახება პროკურატურის მუშაკის პირად საქმეში.

14. პროკურატურის მუშაკი დისციპლინური სახდელის არმქონედ ითვლება, თუ სახდელის დადებიდან გასულია ერთი წელი და მას არ შეეფარდება ახალი სახდელი.

15. პროკურატურის მუშაკს წინათ დადებული დისციპლინური სახდელი შეიძლება ვადამდე მოეხსნას სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, ამ კანონის 39-ე მუხლით დადგენილი წესით. დისციპლინური სახდელი იხსნება შესაბამისი ბრძანებით, რომელსაც გააცნობენ პროკურატურის მუშაკს და დაურთავენ მის პირად საქმეს.

16. პროკურატურის მუშაკისათვის დისციპლინური სახდელის დადების შესახებ პროკურორის მიერ გამოცემული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს გენერალურ პროკურორთან ან სასამართლოში 30 დღის ვადაში.

17. დისციპლინური სახდელის დადების შესახებ ბრძანების გასაჩივრება არ იწვევს პროკურატურის მუშაკის მიმართ გამოყენებული სახდელის აღსრულების შეჩერებას.".

14. მე-40 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პროკურატურის მუშაკის სოციალური დაცვის გარანტიები განისაზღვრება ამ კანონით, საქართველოს კანონით „საქართველოს პროკურატურის მუშაკთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ" და მოქმედი კანონმდებლობით.".

ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $2^1$ პუნქტი:

„$2^1$. პროკურორის, პროკურატურის გამომძიებელს წელიწადში ერთხელ უფასოდ ეძლევა დადგენილი ნიმუშის ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია.".

15. 41-ე მუხლის მე-3 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „ხელფასის".

16. 42-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით, პროკურატურის მიერ ამოღებული თანხის 15 პროცენტი რჩება საქართველოს გენერალური პროკურატურის ანგარიშზე, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურების მიერ ამოღებული თანხების 10 პროცენტი – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის ანგარიშზე, ხოლო 5 პროცენტი კი – გენერალური პროკურატურის ანგარიშზე. ამ პუნქტით გათვალისწინებული თანხები გამოიყენება მხოლოდ პროკურატურის მუშაკთა მატერიალური სტიმულირებისა და პროკურატურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებისათვის.".

17. 44-ე მუხლის მე-3 პუნქტში სიტყვები „სამეცნიერო-ტექნიკური სამსახურის" შეიცვალოს სიტყვებით „სამეცნიერო-ტექნიკური სამსახურის, სასწავლო ცენტრისა".

18. 45-ე მუხლის:

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. პროკურატურის მუშაკები ატარებენ დადგენილი ნიმუშის ფორმის ტანსაცმელს, ხოლო სამხედრო პროკურატურის მუშაკები – სამხედრო ფორმის ტანსაცმელს".

ბ) მე-5 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „სამხედრო". ამავე პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. პროკურატურის მუშაკის ფორმის ტანსაცმლისა და განმასხვავებელი ნიშნების ნიმუშებს გენერალური პროკურორის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.".

19. 46-ე მუხლში სიტყვა „გამოიმუშავებს" შეიცვალოს სიტყვით „შეიმუშავებს".

20. 49-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტში სიტყვები „ნაწილის უფროსი ან მისი მოადგილე, შეიცვალოს სიტყვებით „ნაწილის უფროსი და მისი მოადგილე, გენერალური ინსპექციის უფროსი და მისი მოადგილე, გენერალური პროკურატურის სასწავლო ცენტრის უფროსი, გენერალური პროკურატურის სამეცნიერო-ტექნიკური სამსახურის უფროსი".

21. X თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი X. კონტროლი საქართველოს პროკურატურის საქმიანობაზე და მის მიერ სახელმწიფო სახსრების ხარჯვაზე".

22. 53-ე მუხლი:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 53. კონტროლი სახელმწიფო სახსრების გამოყენებასა და ხარჯვაზე";

ბ) ტექსტში სიტყვები „ხარჯვას ზედამხედველობას უწევს" შეიცვალოს სიტყვებით „ხარჯვაზე კონტროლს ახორციელებს".

23. 56-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. ამ კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2004 წლის 1 იანვრიდან, „ო" ქვეპუნქტი – 2003 წლის 1 თებერვლიდან, ხოლო მე-40 მუხლის $2^1$ პუნქტი 2003 წლის 1 ივლისიდან.".

მუხლი 2. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 30 აგვისტოს №126 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სამსახურის შესახებ".

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
**ედუარდ შევარდნაძე.**

**თბილისი,**
**2002 წლის 3 დეკემბერი.**

# საქართველოს კანონი

## საქართველოს პროკურატურის მუშაკთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ

მუხლი 1.

1. საქართველოს პროკურატურის ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია ცალკე მუხლით საქართველოს გენერალური პროკურორის წარდგინების საფუძველზე.

2. დაუშვებელია პროკურატურის მუშაკის სოციალური დაცვის გარანტიების გაუქმება, მოქმედების შეჩერება ან მათი მოცულობის შემცირება.

მუხლი 2.

1. პროკურატურის მუშაკის ხელფასი შედგება თანამდებობრივი სარგოს, დანამატისა და დახმარებისაგან.

2. საქართველოს პროკურატურის ხელფასის ფონდის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ პროკურორის, პროკურატურის გამომძიებლის თანამდებობრივი სარგო და დანამატი არ შეიძლება იყოს იმავე დონის სასამართლოს მოსამართლის ხელფასისა და მატერიალური შეღავათების 85 პროცენტზე ნაკლები ან 95 პროცენტზე მეტი. ამ პუნქტით გათვალისწინებული შეღავათები ვრცელდება პროკურატურის იმ მუშაკებზე, რომლებმაც ჩააბარეს საკვალიფიკაციო გამოცდა ან კანონმდებლობით დადგენილი წესით თავისუფლდებიან საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისაგან, ანდა მიაღწიეს საპენსიო ასაკს ამ კანონის ძალაში შესვლამდე ან მას შემდეგ და გააჩნიათ სამართალდაცვის ორგანოებში მუშაობის არანაკლებ 25 წლის სტაჟი.

3. საქართველოს პროკურატურის მუშაკთა თანამდებობრივი სარგო და დანამატის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

მუხლი 3.

1. საქართველოს პროკურატურის მუშაკები სარგებლობენ დანამატებით სპეციალური წოდებების, წელთა ნამსახურობისათვის სპეციალური მუშაობის სტაჟის შესაბამისად და სამსახურებრივი უფლებაგანხორციელების ადგილის მიხედვით.

2. წელთა ნამსახურობისათვის პროკურატურის მუშაკებს დანამატი ეძლევათ თანამდებობრივი სარგოს შემდეგი ოდენობით:

ა) 5 წლამდე – 10 პროცენტი;
ბ) 5-დან 10 წლამდე – 20 პროცენტი;
გ) 10-დან 15 წლამდე – 25 პროცენტი;
დ) 15 წელი და მეტი – 30 პროცენტი.

3. დანამატი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების ადგილის მიხედვით, თანამდებობრივი სარგოს 15 პროცენტის ოდენობით, გაიცემა პროკურატურის იმ მუშაკებზე, რომლებიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებენ ადიგენის, ახალქალაქის, ნინოწმინდის, ყაზბეგის, ქედის, ხულოს, მესტიის, ლენტეხის, წალკის, ცაგერისა და შუახევის რაიონებში.

მუხლი 4.

საქართველოს პროკურატურას წარმომადგენლობითი ხარჯებისათვის მიეცემა თანხები კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5.

1. საქართველოს პროკურატურის მუშაკი სარგებლობს ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებით, რომლის ხანგრძლივობაა 45 კალენდარული დღე.

2. შვებულებაში გასვლისას პროკურატურის მუშაკს მიეცემა მატერიალური დახმარება ერთი თვის ხელფასის ოდენობით.

მუხლი 6.

საქართველოს პროკურატურის მუშაკს პენსიაზე გასვლისას ენიშნება სამისდღეშიო პენსია ამ კანონით დადგენილი ხელფასის სრული ოდენობით, რაც იცვლება მოქმედი პროკურორისა და გამომძიებლის თანამდებობრივი სარგოს შეცვლასთან ერთად.

მუხლი 7.

ეს კანონი ამოქმედდეს 2003 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი
**ედუარდ შევარდნაძე.**

**თბილისი,**
**2002 წლის 3 დეკემბერი.**

მუსიკა

(პირველი გვერდიდან)

# საახალწლოდ ლიანა ისაკაძე ისევ თბილისშია

– ამ ნაწარმოებში საუბარია პლატონურ სიყვარულზე – სულიერ, არახორციელ, იდეალურ სიყვარულზე. იგი ჰარმონიულად და ინტონაციურად იმდენად თანამედროვე ჟღერადობისაა, რომ ერთი მოსმენით სულაც არ აღძრავს სასიყვარულო გრძნობებს, ვერ აღიქმება ვნება სიყვარულისა, ამიტომაც ამ მხრივ, ძალიან რთული აღმოჩნდა სასიყვარულო ლერძის მიგნება, პოვნა აბსტრაქტული ხელოვნებისა, აბსტრაქტული ხმოვანებისა და შეგრძნება აბსტრაქტული სიყვარულისა. საერთოდ, ჩემი დამოკიდებულება და მიდგომა ნაწარმოებისადმი იმ მხრივ განისაზღვრება, რომ სწორად წაკითხულ ტექსტს გავცდე, მუსიკა მის გარეშე აღვიქვა, ჩავწვდე კომპოზიტორის გულისთქმას, რაც ნოტების სახით იგულისხმა. როგორც გავიაზრებ მუსიკალურ ტექსტს, ინტერპრეტაციაც იქიდან იბადება. – ამ ნაწარმოებმა ბევრი რამ შემმატა – გენიოსი ინდივიდუალისტის მიერ სიყვარულის აღქმა, როგორც თვად ბერნსტაინმა გამოავლინა ამ შესანიშნავი კომპოზიციის სახით. თუკი გაქვს უნარი იმისა, რომ გენიოსის სულში ჩაიხედო, მაშინ ეს ახალი სიცოცხლის აღმოჩენაა, რაც ყოველ ადამიანს სულიერად ამდიდრებს და ამშვენიერებს, – ამბობს ქალბატონი ლიანა.

**– რამდენად საინტერესო იყო თქვენთვის ამ ნაწარმოებზე მუშაობა?**

– მართლაც, ძალიან საინტერესო და სასიამოვნო იყო. მუსიკოსები ამ ნაწარმოებს იშვიათად მიმართავენ, რადგანაც რთული შესასრულებელია და მუშაობის თვალსაზრისით დიდ დროს მოითხოვს. ვფიქრობ, ჩვენი მსმენელისთვის მრავლისმეტყველი გახდება ეს მართლაც ბრწყინვალე ქმნილება, რომელიც პირველად შესრულდება საქართველოში და შემდეგ – გერმანიაში. მსურს, ქართველმა მსმენელმა დღევანდელი მუსიკა შეიგრძნოს, გააცნობიეროს, თუ როგორ ჟღერს თანამედროვე მუსიკალური სამყაროს შედევრები.

ბახს აქვს დაწერილი ექვსი სონატა და პარტიტა ვიოლინოსათვის, რომელსაც შუმანმა დაუწერა თანმხლები აკომპანიმენტი ფორტეპიანოსათვის. მოვიფიქრე, რომ ეს საფორტეპიანო აკომპანიმენტი გავაორკესტრო, რადგანაც სიმებიანი ორკესტრის თანხლება ვიოლინოს სოლო პარტიისათვის უფრო შესაფერისი და გამართლებულია. აი, სწორედ ამ ერთ პრელუდიას შევასრულებთ ბისზე, თუკი მსმენელი მოითხოვს.

**– ქალბატონო ლიანა, როგორც მუსიკოსი, დღევანდელი გადასახედიდან როგორ შეაფასებდით ბორჯომ-დიტცენბახის I საერთაშორისო ფესტივალს?**

– იცით, ეს ფესტივალი ძალიან მნიშვნელოვანი იყო. გარდა იმისა, რომ ქართველმა მსმენელმა უდიდესი სულიერი სიმშვიდე და სიამოვნება მიიღო, ერთბაშად ბევრი საინტერესო და არაჩვეულებრივი ღონისძიებაც გაიმართა და ამ საღამოებს ხელოვნების შესანიშნავი მოღვაწენი ამშვენებდნენ. მართლაც, იგრძნობოდა ხელოვნების ზეიმი, რომელსაც სრული ეიფორია და ემოციური გარემო შეექმნა. ფესტივალი ენთუზიაზმზე აიგო და ამიტომაც ორგანიზატორობის მხრივ ბევრ რამეზე დავხუჭეთ თვალები, რასაც მომავლისთვის გავითვალისწინებთ. ჩემი შემდგომი ჩამოსვლა საქართველოში სწორედ ბორჯომის ფესტივალს უკავშირდება, რომელიც გაგრძელდება და გადაინაცვლებს საფრანგეთის ლაჟვარდოვან სანაპიროზე. მანამდე მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში გავმართავთ საქველმოქმედო კონცერტს ბავშვებისათვის, სანკტ-პეტერბურგს კი 300 წლის იუბილეზე ვესტუმრებით...

**მზეხა მახარაძე.**

ეს ჩვენი ისტორიაა

ა. ნ. რაფავას ცოლისძმა, 1900 წ. დაბადებული, ნოე ჟორდანიას ნათესავი გიორგი კონდრატეს ძე ჟორდანია, როგორც ცნობილია, 1926 წელს არალეგალურად წავიდა თურქეთში, შემდეგ საფრანგეთში, სადაც დაფუძნდა ქ. პარიზში.

დიდი სამამულო ომის წლებში გ. კ. ჟორდანია, სხვა ემიგრანტებთან ერთად, აქტიურ ანტისაბჭოთა მუშაობას ეწეოდა გერმანელთა დაზვერვის მიერ შექმნილი რაზმის „თამარა-2"-ის შემადგენლობაში.

1942-43 წლებში გერმანული დაზვერვის ოფიცრისა და ანტისაბჭოთა ქართველი ემიგრანტის რანგში, გ. კ. ჟორდანია გერმანელთა ჯარებთან ერთად მივიდა პიატიგორსკამდე და აქტიურ გადამბირებელ მუშაობას ეწეოდა სამხედრო ტყვეთა შორის.

სსრკ სუს-ის ორიენტირებით ჩვენთვის ცნობილია, რომ მენშევიკთა საზღვარგარეთის ბიუროს განზრახული აქვს საქართველოში ემიგრანტ დავით კონსტანტინეს ძე ჟორდანიას (ასევე ნოე ჟორდანიას ნათესავის) შემოგზავნა არალეგალური ანტისაბჭოთა მუშაობისათვის და რომ ამ უკანასკნელმა თანხმობა განაცხადა საქართველოში არალეგალურ შემოსვლაზე იმ პირობით, თუ მასთან ერთად გიორგი კონდრატეს ძე ჟორდანიაც წამოვა.

ამ მონაცემებთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, უნდა განვიხილოთ ა. ნ. რაფავას საკითხი.

ნ. რუხაძე.

წერილს ადევს გამაოგნებელი რეზოლუცია:

**„ამხ. ნ. რუხაძეს აუცილებელია ა. ნ. რაფავას სასწრაფოდ დაპატიმრება, როგორც ანტიპარტიული ჯგუფის წევრისა და სამშობლოს მოღალატეების ახლო ნათესავისა. დააპატიმრეთ აგრეთვე მისი ძმა ივანე რაფავა.**

**კ. ჩარკვიანი**
**1951 წ. 10./XI.**

ავქსენტი რაფავა თავისი ბიოგრაფიით ნაკლებად იმსახურებს თანაგრძნობასა და გამოსარჩლებას, მაგრამ ნათქვამია „ერთი – თხისკენ, ერთი – მგლისკენო". ნ. რუხაძის ამ წერილის საფუძველზე საიდან, რა მანქანებით გაკეთდა დასკვნა ა. რაფავას, როგორც ანტიპარტიული ჯგუფის წევრის დაუყოვნებლივ დაპატიმრების აუცილებლობის შესახებ, ან რის საფუძველზე გაიცა მეორე ძმის დაპატიმრების სანქცია?

ყველაფერი ძველი, მრავალგზის გაკვალული, უტყუარი სცენარით ხდება (როგორითაც თვით ავქსენტის შინსახკომში არაერთი „საქმე" გადაუგორებია და არაერთი თავი დაუგორებია). 1951 წლის 11 და 12 ნოემბერს ნ. რუხაძის ბრძანებით („მეგრელთა საქმის" ერთ-ერთი მთავარი გამომძიებელი, პოდპოლკოვნიკი თავდიშვილი შემდეგ წერდა, ნ. რუხაძე „შესაბამის მითითებას" იმოწმებდა, ოღონდ არ ამბობდა ვისასო) დააპატიმრეს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ავქსენტი რაფავა, რესპუბლიკის პროკურორი ვლადიმერ შონია და მისი მოადგილე კადრების დარგში, ავქსენტის ძმა ივანე რაფავა.

*ავქსენტი რაფავა, დაიბადა 1899 წელს ზუგდიდის მაზრის სოფელ კორცხელში მეწაღის ოჯახში. 1921 წლიდან საბჭოთა საქართველოს ერთგული მსახურია. იყო პარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივანი, მუშგლეხინის ინსპექტორი, 1924 წელს პარტიამ ჩეკაში გაგზავნა სამუშაოდ. იქ 13 წლის სამსახურის შემდეგ (მიაღწია შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის პოსტს), გადაიყვანეს აფხაზეთის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ, შემდეგ – სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ. 1938 წლის 17 ნოემბრიდან, სერგო გოგლიძის ლენინგრადში გადაყვანის შემდეგ, დანიშნეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად, 1946 წელს – სახელმწიფო უშიშროების სახკომად (მინისტრად). ერთგულად აგრძელებდა გოგლიძე-ქობულოვის ინკვიზიციურ მეთოდებს, ეს მის სინდისზეც არის იმ პერიოდის არაადამიანური დანაშაულებანი. 1948 წლის 11 იანვარს გაათავისუფლეს და იუსტიციის მინისტრად დანიშნეს. „მეგრელთა საქმის" დასრულების შემდეგ, 1953 წლის აპრილ-ივნისში საქართველოს სახელმწიფო კონტროლის მინისტრია. მაგრამ უშიშროების სამსახურში ჩადენილმა ცოდვებმა უწია: 1954 წელს ხელახლა დააპატიმრეს, 1955 წლის ნოემბერში კი სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განაჩენით დახვრიტეს. ბრალად ედებოდა მონაწილეობა ჩინეთის რესპუბლიკაში სსრკ სრულუფლებიანი ელჩის ბოვკუნ-ლუგანცევის მკვლელობაში (რაც მოსკოვის მითითებით აღსრულდა), ქართველი ინტელიგენციის და სერგო ორჯონიკიძის ახლობლების დევნაში (დააპატიმრა პაპულია, ივანე, ანტონ და დიმიტრი ორჯონიკიძეები), არის ცნობები, რომ მისი ბრძანებით იმ წლებში გაირჩა 5685 დაპატიმრებულის საქმე, აქედან 2465 კაცის დახვრეტაზე ხელი აქვს მოწერილი. ითვლებოდა საერთო რეპრესიების ორგანიზატორად. მინიჭებული ჰქონდა გენერალ-ლეიტენანტის წოდება, დაჯილდოებული იყო 8 ორდენით.*

როგორც იტყვიან, „სამართალმა პური ჭამა", მაგრამ იმ საქმეში კი – „მეგრელთა საქმეში", უბრალო იყო. თუმცა ან რომელს ჰქონდა დანაშაული, მთელი საქმე ხომ თეთრი ძაფით იყო დაბლანდული: „მეგრელთა ანტიპარტიულ-ნაციონალისტური ჯგუფი" თურმე მიზნად ისახავდა ძალაუფლების ხელში ჩაგდებას, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაციას იმპერიალისტური სახელმწიფოების დახმარებით, მიზნის მისაღწევად დაკავშირებული იყვნენ მენშევიკურ-ემიგრანტულ მთავრობასთან და... მეზობელ თურქეთთან (გამოძიების მოგვიანო ვერსიით). და ეს ყოვლად აბსურდული ბრალდებები იბადება არა 1930-იანი წლების „კლასობრივი ბრძოლის" ქარტეხილებში, არამედ 50-იან წლებში – დიდ სამამულო ომში ძლევამოსილი გამარჯვების, სოციალიზმის ულტერნატივო ზეობის ეპოქაში.

პირველი დაპატიმრებების პარალელურად, 1951 წლის 11 ნოემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი გაიხსნა (იგი ორი დღე გრძელდებოდა). დაიწყო დიდი ბოლშევიკური „სუპრემა" – „მექრთამეთა და ანტიპარტიელთა" გასამართლება.

# „მეგრელთა საქმე"

## გამოძიება, რომელიც დიქტატორის სიკვდილმა შეწყვიტა



კანდიდ ჩარკვიანი.

ოღონდ...

კითხულობ პლენუმის მასალებს და უმალ საჩინო ხდება: სალაპარაკო არაფერი აქეთ. ყველა განცვიფრებული და თავზარდაცემულია. უფრო მექრთამეობის მანკიერებას გმობენ: კანდიდ ჩარკვიანი, სხვები... გამოვიდა თვით მიხა ბარამია. რა ანტიპარტიულ ჯგუფზეა ლაპარაკიო. თავს კი ნუ იმართლებ, აღიარე დანაშაულიო, შეუძახეს. ოღონდ კონკრეტულად რა ანტიპარტიული საქმიანობა უნდა ეღიარებინა, კაცმა არ იცოდა, სხვათა შორის, არც დადგენილებაში იყო ნათქვამი საგნობრივად...

ერთადერთმა, აფხაზეთის საოლქო კომიტეტიდან ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად ცოტა ხნის წინათ გადმოყვანილმა აკაკი მგელაძემ, როგორც იტყვიან, არ დატოვა ქვა ქვაზე. მისი გამოსვლა ნამდვილი საბრალდებო დასკვნა იყო. კითხულობ პლენუმის მასალებს და გრძნობ, რომ, ფაქტობრივად, იგი მდგომარეობის ბატონ-პატრონია, კანდიდ ჩარკვიანი კი არა, ის წარმართავს ყველაფერს, უხვად ისვრის რეპლიკებს, რამდენჯერმე გამოდის. ეს მან იხმარა პირველად ფორმულირება: **„ბარამია ხელმძღვანელობს მეგრელ ნაციონალისტთა ანტიპარტიულ ჯგუფს".**

აკაკი მგელაძე: *„ბარამიას გამოსვლა არ იყო გულწრფელი, იგი სკპ (ბ) ცკ-ის დადგენილების რევიზიის გზას დაადგა, რაც არ შეიძლება სხვაგვარად შეფასდეს, თუ არა ანტიპარტიული ქმედება... ბარამიამ თავისი მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის საშუალებით, რომელსაც საკმაოდ ფართო ქსელი აქვს, ციხიდან იხსნა სოხუმის პროკურორი მექრთამე გვასალია. ამ ჯგუფს მოსკოვშიც ჰყავს თანამოაზრენი მეგრელ ნაციონალისტთაგან. უეჭველია, რომ ბარკალაია, რომელიც საკავშირო პროკურატურაში მუშაობს, ასევე შედის ამ ჯგუფში (? – ა. ა.). ავიღოთ გალის რაიონის გაზეთ „სტალინური გზით" რედაქტორის გვახარიას საქმე. ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ბარამია საჯერ გამოვიდა და პირზე ქაფმორეული იცავდა მექრთამე და დამტაცებელ გვახარიას. მართალია იგი პარტიიდან გაირიცხა, მაგრამ თქვენ, ბარამია, შესძელით მისი ციხიდან დახსნა. თქვენ მფარველობდით ზუგდიდის რაიონის ხელმძღვანელებს, რომლებიც გაიხრწნენ და ყოველგვარი პარტიულობა დაკარგეს. არ არსებობს სხვა რაიონი, სადაც ზუგდიდივით ფართოდ იყოს გავრცელებული მექრთამეობა, ქურდობა, დატაცება, ქალის გაუპატიურება, თქვენ ყოველმხრივ იცავდით აკაკი კვარაცხელიას, ანტიპარტიულ კაცს, რომელიც არად აგდებდა საბჭოთა კანონებს. თქვენ მეგრული რაიონების შეფად გამოაცხადეთ თავი, თქვენ მხოლოდ მეგრელები გაინტერესებდათ, მხოლოდ მეგრელებს იცავდით. ამასვე აკეთებდნენ თქვენი ანტიპარტიული ნაციონალისტური ჯგუფის მეგრელი წევრები: იუსტიციის მინისტრი რაფავა, საქართველოს პროკურორი შონია და ცეკას მუშაკები ჭიჭინაძე, კუპრავა, კუჭავა და სხვ. აი, ნამდვილ ბოლშევიკ მეგრელებს კი დევნიდით, რადგან ისინი თქვენს შეხედულებებს არ იზიარებდნენ".*

აკაკი მგელაძემ კანდიდ ჩარკვიანსაც რამდენჯერმე გაჰკრა კბილი. ისიც კი უთხრა, მრავალგზის მოგახსენეთ ბარამიას ცოლის შურა იოსავას არასწორი ქმედების შესახებ, გაჩვენეთ მისი წერილები, სადაც იგი მითითებებს იძლევა, ვის ბინა მივცეთ, ვინ სამუშაოზე მოვაწყოთ. რა თქმა უნდა, ამას არ ვასრულებდით, ეს ქალი ძალიან აქტიურობს კადრების საქმეში და აქაიქ გამოსდის კიდეც, განსაკუთრებით, სამეგრელოს რაიონებში. ამ ქალს არავითარი მორიდება არა აქვს. ერთხელ რეკავენ აფხაზეთის საოლქო კომიტეტში, ბარამია სოხუმს მოემგზავრება თავისი ვაგონითო. გადავამოწმე და თურმე სპეციალური ვაგონით ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბარამია კი არ მოდის, არამედ მისი ცოლი. მლიქვნელები დახვდნენ. მერე ვითომ სოხუმის სამედიცინო დაწეს ბულებები დაათვალიერა და დაბრუნდაო, თქვა ა. მგელაძემ. დაბოლოს: ქუთაისის პარტიული ორგანიზაცია პირობას აძლევს დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს, რომ დაუნდობლად ამოძირკვავს მექრთამეობას და ბარამიას ანტიპარტიული ნაციონალისტური ჯგუფის დამქაშებს!

აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა შოთა გეთიამ დაასახელა ვინმე ყალიჩავა, რომელმაც დაზღვევის ფულის მიღების მიზნით გაზეთში გამოაქვეყნა ცოლის გარდაცვალების განცხადება, არადა, ქალი ცოცხალი იყო. სამამულო ომის დროს დეზერტირებს ყალბ საბუთებს უმზადებდა. ციხეში იჯდა, დაბრუნდა და ამხ. ბარამიამ გამოგვიგზავნა სამუშაოზე მოსაწყობად. ჩვენ ინსტიტუტში დანიშვნაზე უარი ვუთხარით. გათავხედდა და დეპეშებს უგზავნიდა მ. ბარამიას, საოლქო კომიტეტი ცუდად მექცევაო (ეს ლექტორი ყალიჩავა ხომ არ არის 60-იან წლებში ვარაზის ხევში ამხანაგური მშენებლობის ხელმძღვანელი ყალიჩავა, რომლის სახელიც ფართოდ გახმიანდა სკანდალური მანქინაციების გამო? – ა. ა.). ბარამია აფხაზეთიდან წამოსულ უკმაყოფილო კადრებს იკრებდა თავის გარშემო. კალანდია ჩვენ აფხაზეთიდან განვდევნეთ, მან კი ბარამიას მხარდაჭერით სამუშაო მიიღო. ზუგდიდის რაიონში ორგანიზაციას ვერ ნახავთ, გაიძვერობა არ იყოს. ყველამ იცის, ჩაჩიბაია იქ დღემდე იმიტომ მუშაობს პირველ მდივნად, რომ ბარამია უჭერს მხარს. ცენტრალური კომიტეტი გვაკისრებს ფართო სააგიტაციო მუშაობა გავშალოთ მეგრული ნაციონალისტური ანტიპარტიული ჯგუფის წინააღმდეგ.

საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ იოსებ კოჭლამაზაშვილმა შენიშნა, ცეკას მეორე მდივანი ბარამია ყოველთვის ჯოხს ღუნავს ამხ. რუხაძის წინააღმდეგ. ახლა ცხადია, თუ რატომ იყო მინისტრ რუხაძის მიმართ ასეთი დამოკიდებულება და არ იყო რაფავას მიმართ, უშიშროების მინისტრად ყოფნის დროსო.

ცეკას მდივანმა რაფიელ კვირკველიამ პლენუმის ყურადღება მიაპყრო იარამიას განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ზუგდიდისადმი, მაგრამ ვინ წარმოიდგენდა, რომ საქმე ანტიპარტიული ნაციონალისტური ჯგუფის შექმნამდე მივიდოდაო. მე თვითონ ვიყავი უშიშროების ორგანოებში რაფავას დამანგრეველი საქმიანობის მოწმე. თავისი ხალხის გუგუჩიასა და კუკუტარიას საშუალებით აგროვებდა მეგრელებს, თავის მეზობლებს, სრულიად შემთხვევით ადამიანებსო. რაფიელ კვირკველია დაეთანხმა აკაკი მგელაძეს, – ყველა ამ საქმეში მცირედი როლი როდი მიუძღვის ბარამიას ცოლს, ეს მთელმა თბილისმა იცის; ბარამიამ შეცდომები რომ დაუშვა, შურა იოსავას ბრალიც არისო.

**ალეკო ასლანიშვილი.**

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 307-311, 313.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!



## საავტორო გვერდი

# საქართველო ქართველი ქართული

# დაესწარით ბედნიერი ახალი წლის გათენებას, მომილოცოს, გაის ამ დროს, საქართველოს გამრთელება!

### რა კარგი იყო ბარდნალა!..

ლორჯოს ჭერაში მოთა იყო „დასპეცებული“. ფრთხილად შედიოდა წყალში, თან მდინარის ფსკერს ზვერავდა. ნაპირიდან ვადევნებდით თვალს ბიჭები – ჩაიკუნცხებოდა მოთაიე ზანგელა, შეჰყოფდა ხელს რომელიმე მოზრდილი ქვის ქვეშ და წამში ლორჯოს აასხმარტალებდა მზეზე. ისროდა ჩვენკენ თევზს და ახლა ბლენებისკენ მიცურავდა...

აჩიკო ვედროში ყრიდა ნაპირზე მიმოფანტულ ლორჯოებს, ზოგს უკვე ველარ ასულიერებდა წყალი, ზოგიც ბედს მინდობოდა და ზანტად ცურავდა ვედროში.

წყალი კამკამებდა ოლასკურაში, სათაფლიიდან გამომავალი პაწუა ღელე ქუთაისის დასავლეთით – ჩვენს სოფელთან – უკვე გვარიანად მოედინებოდა.

ზაფხულის ხვატს შემოდგომის დღეები მოსდევდა, ოლასკურის პირას მუქმწვანედ ალაღანებულ სიმინდის ყანას ნელ-ნელა სიყვითლე ეპარებოდა, ამ ჩვენს პაწუა მდინარეს ტყვიისფერი ემატებოდა, ახლა ვინლა ჩავიდოდა შიგ ლორჯოს საჭერად – მომავალ ზაფხულამდე ციეი და უკარება გამხდარიყო.

ზამთრის ქარ-ყინვაში აქა-იქ ზანტად მობალახე ცხენებისა და ნიკიფორე მეწისქვილის ამარა რჩებოდა ოლასკურის მიდამო. წისქვილის ლარში თავქვე მიექანებოდა წყალი, ბორბლებს ასკდებოდა, ხვიმირიდან ნება-ნება, მარცვალ-მარცვალ ილებდნენ „საკვებს“ მოღირღიტე დოლაბები, ხმაურობდა სარეწკელა, იფქვებოდა სიმინდი, ხორბალი, სოია... ხანდახან ვირთხა გადაირბენდა ტომრებზე, ნიკიფორეს ყვითელბალნიანი კატა კი თბილი ნაღვერდლის სიახლოვეს პატრონის ფეხებთან თვლემდა.

„ხვალ ბარბარობაა, ბებო, შენ ხარ ჩვენი მეფეხური, არ დაგავიწყდეს, ალიონზე მოდი“ – ეს რებეკა იყო, ჩვენი ტკბილი მეზობელი. მთელ სამეზობლოში მე ვიყავი მეფეხური. ადრე მაღვიძებდა დედა. „ქუხნაში“ უკვე ენთო ლამფა, ბუხარში ჯირკი გუზგუზებდა. გავიდოდი ოთახიდან გარეთ, ჩავიდოდი ეზოში, დავაკაკუნებდი „ქუხნის“ კარს, მობრძანდით, მობრძანდითო, მეძახდა შიგნიდან დედაჩემი, გამიღებდა კარს, სიმინდის მარცვლით სავსე თეფშს მომაწვდიდა და მეც დაეიწყებდი დალოცვას: „წაღმა და წაღმართიანად იაროს ამ ოჯახმა... სულ ჯანმრთელობა... ამდენი ოქრო, ამდენი ვერცხლი“... მუჭა-მუჭა ვაპნევდი მარცვალს, მერე სამფეხა ჯორკოზე დამიყრიდა სიმინდს დედა, დაჯექი, თვარა, კრუხი ამივარდებაო წელს საბუდრიდანო... ქვის კეცზე გამომცხვარ უზარმაზარ ხაჭაპურს ლამაზად დაჭრიდა, თავისივე დამზადებული „ვიშნოვკით“ ჭიქას შემივსებდა, დალოცე, შვილო, კერიაო,



## ოლასკურის ლორჯო

### საახალწლო პასტორალი

მერე „კარამელის“ კამფეტს ჩამიყრიდა ჯიბეში და მეც მეზობლებში მივიჩქაროდი მეფეხურად – რებეკა ბებია უკვე მელოდა...

ბარბარობით იწყებოდა „კარგი დღეები“, საშობაოდ ღორების ჭყვიტინი ისმოდა, დედა საკუპატე მასალას ამზადებდა, ათასნაირი საკმაზის მათრობელა სურნელი იდგა გარშემო, ღორის ხორცს რომ დაამარილებდნენ, სალამოთი სახლიკაცები ერთად შემოუსხდებოდნენ დიდ მაგიდას, მოხარშულ ხორცს ორთქლი ასდიოდა, ჩემი მოზიდული წალმით კი მწვადი იწვებოდა, ბავშვებისთვის სუფრას დაბალ ტაბლაზე შლიდა დიასახლისი – ჩემი ჯანგაუტეხელი დედა...

ახალი სტილით ახალ წელს, ისე, სხვათა შორის აღნიშნავდნენ სოფელში. აქ ყველაფერი ძველით ახალი წლისთვის მზადდებოდა, ეს დღე იყო საზეიმო, პირისჩასატკბარუნებელსა და განსაკუთრებულ საჭმელ-სასმელსაც ამ დღისთვის გადაინახავდნენ ხოლმე... დედა ბუხართან ტრიალებდა, მამას შეშა შემოჰქონდა გარედან, ცეცხლს აღვივებდა, მოგვისვამდა გვერდით და რალაც-რალაცეებს გვიყვებოდა, მაგალითად, გრაფი მონტე კრისტოს თავგადასავალს.

ოლასკურით დავიწყე და, ღმერთო, სად შემიტყუა მოგონებამ, ოლასკურა ახალგაზაფხულზე უნდა გენახათ თქვენ: ღელე მდინარედ გადაიქცეოდა, მოჰქონდა ყველაფერი, რასაც ერეოდა, გადმოდიოდა ნაპირებიდან და ეზოებსა და გზა-შარას წყლით ფარავდა. ხალხი თითქოს შეჩვეოდა ამ ჭირს. თითქმის მთელი სოფელი ოჩოფეხებით დადიოდა. მეც გამიტოპავს ოჩოფეხებით, ქვისთვისაც წამიკრავს ბარე ორჯერ და წყალში გამიდენია ტყაპანი.

საშველი არ იყო, მოთმინებით ველოდდით, როდის დაიკლებდა ოლასკურა, როდის დააშრობდა გაზაფხულის მზე წყლით სავსე ეზოკარს, რომ მიწა სახნავად ვარგებულიყო.

და აი, ერთ მშვენიერ დღეს ააგუგუნეს ექსკავატორები, დაიწყეს ქუთაისიდან არხის გათხრა ჩვენი ონავარი ოლასკურის პარალელურად, შეუერთეს გუბისწყალს და სამუდამოდ დაისვენა კიდეც სოფელმა.

ახლაც მოედინება ოლასკურა, თუმცა ძველებური პეწი დაუკარგავს და, მგონი, ლორჯოებსაც აღარავინ იჭერს შიგ...

რაც მე ზემოთ ოლასკურის შესახებ მოგითხრეთ, სულ ერთ მშვენიერ ლექსში ჩაატია ძირძველმა ქუთაისელმა, ოლასკურის უბნიდან წამოსულმა „ცისფერყანწელმა“, დაუვიწყარმა კოლაუ ნადირაძემ:

იგი თითქოს ბეჭედს ასვამს ჩემს ნაამბობს:

**ეს ოლასკურა – პატარა ღელე**
**რარიგ ქცეულა მტბორავ**
**მდინარედ!**
**მოურწყავს ყანა ახლომდებარე,**
**აწუხებს სოფელს დაღლილს,**
**მძინარეს,**
**და ემუქრება წალეკვით ველებს,**
**ზოგჯერ მის ქვებში**
**ლორჯოს საჭერად,**
**ბავშვი რომ ვიყავ,**
**ვაძვრენდი ხელებს...**
**ხშირად ვიჭერდი იქ**
**კიბორჩხალებს,**
**ვაფრთხობდი ძლოკვით**
**გოგონებს, ქალებს...**

ბატონი კოლაუს ლექსმა და მომცრო წიგნმა, რომელიც ამ ლექსით იხსნება, წამოატივტივა ჩემი ბავშვობის დღეები, ძვირფასო მკითხველო. ერთ ქუთაისელ კაიკაცს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს, პედაგოგსა და მეცნიერს, მრავალი საგაზეთო სტატიისა და 14 წიგნის ავტორს **ზურაბ ჯავახაძეს** გამოუცია წიგნი – **„ოლასკურა და ოლასკურელები“**, რომელიც ახლახან, შემთხვევით, სულ თვალზე ცრემლმომდაგრმა წავიკითხე. რა გასაკვირია, წიგნში რამდენჯერმეა ნახსენები მაღლაკი – ჩემი მშობლიური სოფელი, რ[illegible] ზაფხულობით შავ[illegible] ბდა მოდიდებული[illegible]

ბატონ ზურაბს ს[illegible] უჩხრეკია, მდინარი[illegible] რმომავლობასაც კი[illegible] გაზეთ „ივერიაში“[illegible] ბოლოს დაბეჭდილ[illegible] გვთავაზობს:

აი, ერთ-ერთი ინ[illegible] წყვეტი:

„გახაფხულსა და[illegible] ებში ოლასკურა შ[illegible] სება. აღარ ეტევა კ[illegible] დადის გზატკეცილ[illegible] ხუთი ვერსის მანძ[illegible] მოჩანს და არც კვა[illegible] დის მცხოვრებლები[illegible] დაბალ სახლებშიც[illegible] ღლაკელები იძულ[illegible] მთელი კვირაობით[illegible] ხოვრონ ხოლმე. აღ[illegible] ხოვრებლებს თუ [illegible] ათ, ადვილი წარმო[illegible] ზავრების მდგომარ[illegible] ლებულია დაიცადო[illegible] სკურა გზას გაუხს[illegible]

აი, ხომ ხედავთ, [illegible] ჩემი სოფელი. და [illegible] ბოდა XX საუკუნის[illegible] ბამდე, სანამ კომუ[illegible] მშენებლობამ არ დ[illegible] სკურა (მივუზღოთ[illegible] ისრისა...).

დასაწყისში მოგ[illegible] ოლასკურა სათავე[illegible] გვირაბში ილებს დ[illegible] სავლეთის მხარეზე[illegible] ნდათან ქალაქის ა[illegible] სკურის უბანი დაე[illegible] ნელებს, ცხადია, – ო[illegible]

დიდი სითბოთი, დიდი სიყვარულით წერს ამ ხალხზე ზურაბ ჯავახაძე, სიმართლე გითხრათ, არც ვიცოდი, თუ ისეთი საქვეყნოდ ცნობილი ადამიანები აღუზრდია ოლასკურის უბანს – ეს მწერლებიო (მარტო კოლაუ ნადირაძე რად ღირს), ეს ექიმებიო, ეს ინჟინრებიო, ეს სპორტსმენებიო, ეს, უბრალოდ, დარდიმანდები და ქალაქის კოლორიტებიო...

დიდი მადლობა ჩემო ზურაბ, ცოტა ხნით უზრუნველ ბავშვობასთან რომ მიმაბრუნე, გული რომ ამიჩვილე, რას ვიზამთ, მზეგადახრილზე, თურმე, თანდათან მძაფრდება პოეტის ნათქვამი: „რა კარგი იყო ბარდნალა!..“

### ძვირფასი სილუეტები

## სულიკო კორომშინაძის სიამაყის საიდუმლო



**ქართულის გარდა, ესტრადაზე სიმღერა არ მიმღერიაო, სიამაყით მეუბნება დღეს უკვე 70 წლის მომღერალი, საესტრადო ანსამბლ „რეროში“ „ქართული ხაზი“ მიმყავდაო. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქალაქებში აღმა-დაღმა რომ დავდიოდით, სავალდებულოც კი იყო ერთი-ორი რუსული სიმღერა შეგვესრულებინა, მაგრამ მე მხოლოდ და მხოლოდ ქართულს ვმღეროდიო...**

იქნებ, ესეცაა, ძვირფასო მკითხველო, რომ სულიკო კორომშინაძე დღესაც დიდად პოპულარულია საესტრადო სიმღერების მოყვარულთა შორის. ერთი კია: გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, მისი ანკარა, კასკასა ხმა საამოდ გვესალმუნება, გვეალერსება და მშობლიური მთა-ბარის სიყვარულზე გვესაუბრება – მე თბილისელი ბიჭი ვარ, აზრიანი და გამგებიო, საქართველო, ჩემო დედაო, ბათუმს ქათქათასო, და ასე რამდენი, დღესაც ჰიტად რომ რჩება და არ ძველდება.

– ჩემმა თაობამ – ამბობს მომღერალი, – შეიძლება ითქვას, ეპოქა შექმნა ქართულ ესტრადაზე, „ფანჯარა გაჭრა“ უცხოეთში... სად იყო მაშინ ასეთი თავისუფალი მიმოსვლა... ქვეყანა ჩემი მეგონა, პარიზის სახელგანთქმულ ოლიმპიის დარბაზში რომ გამოვედი... სხვათა შორის, იქ მხოლოდ „ვარსკვლავები“ მღერიან. მე საწყალმა, „ვარსკვლავი“ რომ ვყოფილვარ მაშინ – საახალწლო გადაცემის ჩაწერისას გავიგე, ქართული ესტრადის „ვარსკვლავი“ სულიკო კორომშინაძეო, რომ გამოაცხადეს...

* * *

როგორც თვითონ ამბობს, კორომშინაძეები ძველ საქართველოში მეფის კარის მომღერლები ყოფილან. ალბათ, გენებში მაქვს სიმღერის ნიჭიო, ბავშვობაში ძალიან მიყვარდა სიმღერაო, და, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი დაუმთავრებია, სწორედ სიმღერის სურვილს უმძლავრია და საქართველოს სახელმწიფო საესტრადო ორკესტრში მისულა ბედის საცდელად. იცოდა მისი შესაძლებლობები და ანსამბლის ხელმძღვანელი გიორგი გაბესკერია სიხარულით შეხვედრია ახალგაზრდა მომღერალს.

მოგვიანებით, უკვე „რეროში“, კონსტანტინე პევზნერთან გატარებული წლები ხომ მართლაც „ოქროს ხანა“ იყო სულიკოსთვის – გასტროლები, შეხვედრები... თანამშრომლობა სახელგანთქმულ ქართველ კომპოზიტორებთან, პოეტებთან...

– შვილიშვილი მეუბნება ხოლმე, ბაბუ, ეს რა კარგ ლექსებს მღერიო... – ეგ ლექსები, გენაცვალე, არის გალაკტიონის, მორის ფოცხიშვილის, ჯანსულ ჩარკვიანის [illegible] მგონი, კონსერვატორიაში აღარც არსებობს საკომპოზიციო ფაკულტეტი, ტექსტს ხომ, საერთოდ, ვინ დაეძებს...

ქართულმა ესტრადამ, შეიძლება ითქვას, დაკარგა ჭეშმარიტი შემფასებელი და, დღესდღეობით, თინეიჯერების დონეზე რჩება... საგანგაშოა, ისიც, რომ ქართულ ფოლკლორს ზოგ-ზოგები იქედნურად უყურებენ. დაიჯერებ? ერთ-ერთი გამოკითხვით შესანიშნავი კლიპი „შატილის ასულო“ მეცხრე ადგილზე გამოვიდა, ხოლო პირველი ადგილი თინეიჯერებმა რომელიღაც არაფრისმაქნის სიმღერას მიანიჭეს.

* * *

ნაირ-ნაირი საღამოები იმართება ხოლმე დიდ საკონცერტო დარბაზში, სულიკო კორომშინაძესთან შეხვედრა, შემოქმედებითი საღამოს გამართვა არავის ახსოვს... თვითონ არასდროს მოუთხოვია, არავინ შეუწუხებია...

მე ჩემი თბილისი მაცოცხლებსო, ჩემი მეგობრები – შოთა გორგოძე, ლაური მანაგაძე, სოსო კაპანაძე, ნუგზარ მარგველაშვილი და კიდევ, რომ შემომრჩა რამდენიმე, ისინი მაცოცხლებენო... იმ დღეს, ბაზართან გამყიდველი მაჩერებს, თაიგულივით დაუჭერია ოხრახუშის კონა და მეუბნება, ბატონო სულიკო, არ გეწყინოთ, გამომართვით, თქვენ ჩემი საყვარელი მომღერალი ხართო... გამეხარდა მაინც, არ დამივიწყნია ვართ, მეამაყება...

ხალხის სიყვარული არ მოგკლებოდეთ, ჩვენო სულიკო, მრავალ წელს მაი სიყვარულით [illegible]

### სულგაუყიდავთა გალერეა

**რაღა დაგიმალოთ და, არ ვიცოდი მისი მოწამებრივი ცხოვრების ამბავი. გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში – „მნათობში“, „ცისკარში“ თუ, მგონი, „ლიტერატურულ საქართველოში“ მარი აბრამიშვილის ლექსები რომ წავიკითხე, ეს რა ნიჭიერი ახალგაზრდა გამოჩენილა-მეთქი...**

**თურმე, ათასჭირვარამგამოვლილი ქალბატონია – ვიატკის ყინულოვან საკონცენტრაციო ბანაკებში ნატანჯ-ნაგვემი, ოღონდ, სულით გაუტეხელი...**

**მერე გავიგე, სამშობლოს უზომო სიყვარული, პატრიოტული, მართალი, გაბედული ლექსების გამოქვეყნება რომ არ აპატიეს...**

მაშინ სულ 22 წლისა იყო მარი... მოგვიანებით იგი ლექსით იხსენებს იმ წლებს, ესაუბრება თავის ახალგაზრდა ორეულს:

**რა ერქვა ციხე-სიმაგრეს,**
**სად იდგა მოუხეშავი,**
**შენ რომ ბეჭებით მიგაკრეს,**
**შენ რომ გაგახმეს ხესავით...**
**და თუ შენა ხარ ის მარი,**
**დღემდე უტეხი, ამაყი,**
**სთქვი, რომ ეს იყო სიზმარი,**
**იმ გრძელ ღამეში ნანახი...**

* * *

ინტერვიუ არ ისურვა, გულღია საუბარს გადაჩვეული ვარო, დიდ პატივს გცემთ, მაგრამ, რა ექნა, ჟურნალისტებს არ ეხვდები, ეს ჩემი პრინციპიაო, თუ მაინცდამაინც ასე გსურთ, ჩემზე რაიმე დაწეროთ, გამოგიგზავნით მასალებს და გამოიყენეთ, ოღონდ, კეთილსინდისიერადო...

მაშ, ავღგეთ, ჩემო ძვირფასო მკითხველო და მივყვეთ ჩანაწერებს, რომლებიც მარი აბრამიშვილის ქალიშვილმა ქალბატონმა ლიამ მომაწოდა.

* * *

დავიბადე 1922 წლის 21 სექტემბერს საჩხერეში (დედულეთში). მე ჩემი მშობლების ხუთი შვილიდან მეოთხე ვარ, როგორც მამის, ისე დედის მხრიდან ჩემი ბაბუები და მათი წინაპრები საეკლესიო პირები იყვნენ. ჩემი დაბადების დროს მამა – ივანე (ბუჭულა) აბრამიშვილი არგვეთის სკოლაში მასწავლებლობდა, დედა – ანა (ანეტა) აბრამიშვილი კი დიასახლისი იყო. 5 წლისა ვიყავი, როცა ჩვენი ოჯახი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. მე მე-18 (ამჟამად 51) საშუალო სკოლა დავამთავრე 1940 წელს და ამავე წელს ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

1944 წელს წარმატებით დავასრულე სწავლების სრული კურსი და უნივერსიტეტშივე დავიწყე მუშაობა ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში. 1945 წლის 27 მარტს სამსახურიდან საღამოს 6 საათზე შინ მიმავალი გზაში დამაპატიმრეს და შინსახკომის ციხეში ჩამსვეს, სადაც მე წელიწადზე მეტი ე. წ. „ოდინოჩკაში“ გავატარე. პეტრე გრუზინსკის ინიციატივით დაარსებული ხელნაწერი ჟურნალის გამო მაშინ რამდენიმე ახალგაზრდა პოეტი დაგვაპატიმრეს. ჟურნალის სახელწოდება – „ანათემა“ ჩემი დარქმეული იყო, ყდაზე ეპიგრაფად ჩემივე ლექსის სტრიქონები უძღოდა და მისი პირველი ნომერიც ჩემივე ხელით იყო ნაწერი. ჩვენ 58[10-11] მუხლი მოგვიყენეს და დახურულ სასამართლოზე პროკურორმა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა ჩემთვის და შალვა მჭედლიშვილისთვის, მაგრამ მოსამართლემ მოწყალება გამოიჩინა (მე-2 მსოფლიო ომი უკვე მოგებული ჰქონდა საბჭოთა კავშირს, თორემ იქნებ დახვრეტაც არ აგვცდენოდა) და ექვს-ექვსი წელი მოგვისაჯეს. პეტრე გრუზინსკი სასამართლომდე კარგა ხნით ადრე საგიჟეთში გადაიყვანეს, როგორც სულით ავადმყოფი. მე გადამასახლეს „ვიატლაგში“, სადაც ერთ დროს თურმე სოლომონ დოდაშვილი იხდიდა სასჯელს.

ასე დავისაჯე მე ლირიკული და პატრიოტული ლექსების გამო. გადასახლებიდან დაბრუნებული კარგა ხანს კვლავ დევნილობაში ვგრძნობდი თავს, მაგრამ ჩემი დამღუპველი ლექსი მშველოდა მუდამ, რადგანაც პოეზია ჩემი ბედისწერა იყო.

1970 წელს, მწერალთა კავშირის წევრად მიმიღეს, რეაბილიტირებული ვარ 1998 წლიდან, რაც დღემდე შემიქმნია, მთელი ჩემი შემოქმედება სამშობლოსადმი სევდიანი სიყვარულის ღაღადისია.

* * *

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1994 წლის 16-23 დეკემბრის ნომერში გვერდიგვერდ არის დაბეჭდილი ორი „ბუნტარი“ მეგობრის – მარი აბრამიშვილისა და შალვა მჭედლიშვილის ლექსები. ეს ლექსები დიდხანს იყო გამომწყვდეული შინსახკომ-სუკის არქივებში და მხოლოდ ოთხმოცდაათიან წლებში გახდა შესაძლებელი, რომ მათ დღის სინათლე ეხილათ. ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული მწერლობის ისტორიის მკვლევარსა და მოამაგეს ბატონ რევაზ კვერენჩხილაძეს.

– აი, ამ ლექსებისთვის დამაპატიმრეს მე! – მიუწერია ქალბატონ მარის ამოქსეროქსებული გაზეთის გვერდზე. რა თქმა უნდა, ამ სტრიქონებს ტოტალიტარული რეჟიმის სახელმწიფო მაშინ არავის აპატიებდა:

**მითხარ, სად არის ან**
**სამშობლო, ან საქართველო,**
**სად არის შენი ცა ფირუზ**
**და ზურმუხტ ხმელეთი,**
**დღეს მისი წყლული და**
**იარა ვინ გაამრთელოს,**
**ის წყვდიადშია... შენს სულშიაც**
**არის ბნელეთი...**

**ჩემი სხეული –**
**ვით დრომის ტარი**
**თვით დრომა კი –**
**ვით სული ჩემი**
**უჭირავთ ხელში ბიჭებს,**
**გოგონებს,**
**და გადამალულს საგულდაგულოდ,**
**დღეს ყველას თვალწინ აფრიალებენ.**
**რადგანაც –**
**მე ხომ საქართველო ვარ,**
**ვისაც ძალიან მწყურია წყალი –**
**თავისუფლება.**

როგორ ეწამა, როგორ ეწვალა და მაინც მოესწრო ამ დღეს... ერთხელ, თურმე, გაუთავებელი მიტინგებისა და ეიფორიის ჟამს, ოთარ მამფორია შეხვედრია რუსთაველზე ქალბატონ მარის. მოფერებია, მოსიყვარულებია საამაყო დაიკოს, და მერე ღიმილით უთქვამს, ნახე, ერთი, რა ხდება... ამათ რომ შენი ბიოგრაფია ჰქონდეთ, ხომ გადაჭამდნენ აქაუროობასო...



## თქვენ აგვსებიათ უბე ლექსებით

### რამდენნაირ ახალ წელს შეახვედრა ბედმა მარი აბრამიშვილი

ანდა:

**პატარა ერი თავის კუთხეს**
**აღარ მმართველობს,**
**როგორც ცხვრის ფარა, სხვის**
**კომბლის ქვეშ მიედინება,**
**და ალბათ, მალე შენს პირმშო**
**შვილს, ჰე, საქართველო,**
**ცხოვრების გზაზე სულით**
**მოღლილს – მიეძინება!**

ანდა:

**რატომა ჰგავს კვნესას**
**ჩემი სიმღერა? –**
**ქვეყნის ცოდვით განაწამებს**
**რა მექნა?**
**მონობაში ტკბილად**
**ვინ დაიმღერა,**
**ბორკილებში პოეზია**
**ვინ შექმნა?...**

* * *

ვფურცლავ ერთტომეულს, რომელიც 1999 წელს გამოსცა „მერანმა“. კრებულში ქალბატონ მარის თითქმის ყველა რჩეული ლექსია შესული. აქ, რა თქმა უნდა, მთავარი თემა სამშობლოა, თბილისია... აი, როგორ მიმართავს იგი საყვარელ ქალაქს:

**შენ აგვსებია უბე ლექსებით,**
**გიმღერენ ჩემზე უკეთესები,**
**მე მაინც სხვას არ დავესესხები...**
**ასე, უბრალოდ გეალერსები...**

ო, რა გალაღებულია პოეტის მუზა ეროვნული მოძრაობის აღზევების წლებში, ო, როგორ შეჰხარის პოეტი იმ ერთადერთი ნანატრი წუთის აღსრულებას – სამშობლოს დამოუკიდებლობას...

ეთხოვე, ახალი წელი დგება და მიულოცეთ საქართველოს, თან, იქნებ, გაიხსენოთ, როგორ ხვდებოდით ახალ წელს გადასახლებაში-მეთქი. დაუწერია და გამომიგზავნა, მაგრამ სანამ ამ მოგონებას გაგაცნობდეთ, მინდა შემოგთავაზოთ ქალბატონ მარის „საახალწლო ალავერდი“, რომელიც შინსახკომის ციხეში, ე. წ. „ოდინოჩკაში“ დაწერილი ლექსებიდანაა:

### საახალწლო ალავერდი

**ალავერდი!**
**ყანწია თუ ბროლის ვაზა,**
**იქით გასწი!**
**თიხის ჯამებს გადავდივარ**
**საკან-საკან –**
**კარდახშულნო, ხის კოვზები**
**ცეცხლში დასწვით,**
**იქნებ სუფრა გაიმალოს**
**სადმე სხვაგან.**
**ალავერდი!**
**სადღეგრძელო მომაკვდავი**
**გვერდით გიზით,**
**პატიმრებს ხომ წყლის**
**დალევას არ უშლიან;**
**დღეს სუფრაზე თუ გვაკლია**
**ერთი გიჟი –**
**პურ-მარილი**
**საგიჟეთში**
**გაუშლია!**
**მეზობელო,**
**დღეს შენთან**
**ვარ ალავერდი,**
**ჰა, ნატეხი, თუკი**
**სული**
**დამილეწავს,**
**შენ ჩემსავით**
**სევდის**
**აღმართს არ ალევდი,**
**დღეს ეს წყალიც არაყია,**
**გულს ისე წვავს,**
**მაშ, დაასხით!**
**სადღეგრძელო ამ საკნიდან**
**სად წამივა,**
**მე ლექსი ვარ სატრფოსაგან**
**გაცემული,**
**ქვეყნის თვალის ეგებ**
**ერთი წამწამი ვარ,**
**ამ ცხოვრების**
**სამსხვერპლოზე დაცემული,**
**კარდახშულნო!**
**აჰა, ჯამი! გული მეტად**
**აღარ იწვის,**
**მეკვლედ თქვენთან ლექსს**
**მოვიყვან უთენია,**
**გაუმარჯოს, ვისაც ღამე**
**ახალი წლის**
**მარტოდ-მარტოს**
**ცივ საკანში უთევია.**

### ახლა კი მოგონება და სურვილები:

თქვენ გაინტერესებთ, როგორ ეხვდებოდით ახალ წელს გადასახლებაში? ამ დღეს, რა თქმა უნდა, არ ახლდა რამ სიხარული, გარდა იმისა, რომ ჩვენი ბანჯვის ერთი წელიც წარსულს ბარდებოდა. ახალი წლის დღეებში ციხის ადმინისტრაცია ჩვეულებრივად შავი პურის ნატეხითა და „ბალანდით“ გვიმასპინძლდებოდა. პატიმრები ერთმანეთს ვულოცავდით ახალი წლის დადგომას და ვისურვებდით, განთავისუფლებამდე როგორმე შეგვენარჩუნებინა ჯანმრთელობა და გაუტეხელი სული.

„ვიატლაგში“, სადაც მე ვიხდიდი სასჯელს, პატიმრები ყოველ დილით ხეების საჭრელად გაჰყავდათ, საღამოს კი უკან დაბრუნებულებს, გულდაგულ ჩხრეკდნენ, რომ რაიმე აკრძალული საგანი არ შემოეტანათ ზონაში. არ ვიცი, ზოგიერთი როგორ ახერხებდა მაინც იაფფასიანი ოდეკოლონის შემოტანას, ან სად მოულობდა მას, წყალს ურევდნენ და სვამდნენ. პოლიტპატიმრებში ქართველებიც ბლომად იყვნენ. ისინი აქ ჩემზე გაცილებით ადრე ჩამოეყვანათ და სწორედ მათი მცდელობითა და დახმარებით მე, სპეციალობით ფილოლოგი, ელექტროქვესადგურებში ვმუშაობდი დისპეტჩერად. არ იყო ძნელი სამუშაო, თავისუფალი დროც საკმაოდ მქონდა. სწორედ იქ, ელექტროქვესადგურების დგანდგარ-გრიალში ვწერდი ლექსებს. ერთმა ქართველმა ინჟინერმა ნაცრისფერი ქაღალდის ფურცლები დაჭრა და პატარა წიგნივით ამიკინძა. ჩემი შინსახკომის ციხეში და გადასახლებაში დაწერილი ლექსებით სავსე ეს თვითნაკეთი წიგნაკი გაყვითლებული და გაცრეცილი, დღესაც ჩემს არქივში ინახება.

მაგრამ თქვენ ხომ ახალ წელზე მეკითხებოდით?

რამდენი წელი გასულა მას შემდეგ, რამდენ ხანს მიცოცხლია! რამდენ წყალს ჩაუვლია, მაგრამ ყველაფერი თან არ წაუღია! აი, ახალი ათასწლეულის მესამე წელიც მოგვადგომია კარს. დამდეგ ახალ – 2003 წელს გილოცავ, ჩემო საქართველოვ, ჩემო წინანდელო და აწინდელო ტკივილო, ჩემო თავისუფალო, მაგრამ დღემდე ყვავ-ყორნებთან მებრძოლო არწივო; ღმერთსა ეთხოვ, მალე გამრთელებოდეს დაჭრილი მხარი და კავკასიონის მწვერვალებიდან თავმომწონედ გადაგეხედოს უკიდეგანო სივრცეებში!

ჭეშმარიტად, ქალბატონო მარი! დიდხანს იცოცხლეთ, რომ ხვალ-ზეგ გაბრწყინებულ-გაჩახჩახებული გენახოთ ჩვენი სამშობლო!... ბოლოს კი თქვენსავე ლექსს გაგახსენებთ:

**ნუ დაღონდები,**
**შენ არა ხარ პირველი**
**და უკანასკნელი,**
**არ გაუღიმა ვისაც იღბალმა.**
**იყავი მაინც მხიარული**
**და მოცინარი,**
**რადგანაც ხშირად მოწყენილებს**
**ჩაგრავს ცხოვრება.**

### იხარე, ჭერო!



ჰარბმა ზამთარმა, დიდთოვლობამ მოსავლიანი წელიწადი იცისო, უთქვამთ. დეკემბერმა თოვლი არ დააკლო ამერ-იმერს, მაშ, ნურც უხვ მოსავალს დაგვაკლებ, ღმერთო, გაისად.

აი, სოფელ ასურეთშიც, თედო ნიკოლაიშვილის ფოტოკამერამ ზემოდან რომ „გადახედა“, დიდი თოვლი დევს. რამდენიმე დღეც და აქაური გლეხკაცი (როგორც მთელი საქართველო) ახალი წლის სადღეგრძელოს შესვამს, სიმღერით ასწევს ჭერს და იმედით შეხედავს მომავალს.

იხარე, ჭერო!

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

## კუკურის ცხოვრების ქრონიკები

დეკემბერი დადგა თუ არა, ციცო დღეში რამდენჯერმე ახსენებდა კუკურის:

– კაცო, სხვანაირად როგორ გითხრა – წადი „დეზერტირზე“ და იყიდე ერთი ცოცხალი ინდაური!

– ქალო, ჯერ რა დროს ინდაურია?

– ვერ გაიგო ამ ადამიანმა – საახალწლოდ ორმაგი ფასი ექნება! მოიყვანე, აგერ დავაბამთ აივანზე და, როცა დრო მოვა, დავკლავთ!

კუკურიმ ერთი-ორჯერ წაუყრუა ცოლს, მაგრამ ერთ დღეს ციცომ კატეგორიულად მოსთხოვა:

– წახვალ დღეს ბაზარში და მოიყვან ინდაურს! აჰა, ოცი ლარი!

სხვა გამოსავალი აღარ იყო!

– მაშინ, ლეო გამომყვეს! – თავისი მოთხოვნა წაუყენა კუკურიმ.

– რად უნდა ორი კაცი, ერთ

## შავი ინდაური თეთრ თოვლზე





ჭირიან ინდაურს? წადი, წადი, ნუ-ღარ ითრევ ფეხს...

ბაზარში დიდი ვაჭრობის შემდეგ კუკურიმ ერთი კოხტა, საშუალო ზომის შავი ინდაური შეარჩია. საგანგებოდ წამოღებულ ჩანთაში ჩასვა (თავი ამოაყოფინა – არ დაიხრჩოსო!) და „მარშრუტკას“ დაელოდა. ფრინველი საკმაოდ აგრესიული გამოდგა, ყოველ წუთს, კისერწაგრძელებული, ისეთ ხმებს გამოსცემდა, რომ გამვლელ-გამომვლელების ყურადღებას იპყრობდა.

– ეს რა ხმაზე კაკკაებს, ეს ოხერი! უყურე შენ ამ ყონყოლს! – ჩაილაპარაკა კუკურიმ, ინდაურს თავი ჩააყოფინა და ჩანთას პირი მოუკრა.

სახლში ნავაჭრი მოუწონეს. ციცომ რამდენჯერმე აიყვანა ხელში ფრინველი – ვარაუდით წონიდა.

ბავშვებიც დაინტერესდნენ.

– დედალია თუ მამალი? – იკითხა ქეთინომ.

– უნდა იცოდე, შვილო, მომავალი დიასახლისი ხარ! მამალს მაღალი ბიბილო აქვს, დედალს – დაბალი, ხერხის მსგავსი.

ლეოც ჩაერია:

– რა ჰქვია?

კუკური შეყოყმანდა:

– ყონყოლი! – უპასუხა ვაჟს.

– ყონყოლი თუ ყონყოლა?

– ბიჭო, სულ არ იცი რუსული გრამატიკა? ყონყოლი ჰქვია კაცს, ყონყოლა – ქალს! გაიგე?

ფრინველს ფეხზე კანაფი მოახვიეს და აივნის გისოსს გამოაბეს.

...საოცარი ის იყო, რომ ინდაური არავისგან არ იღებდა საჭმელს, კუკურის გარდა. ისიც გულმოდგინედ უზელდა ცომს და ძალით ტენიდა პირში.

აკაკკავდებოდა თუ არა ფრინველი, კუკური გაეიდოდა, ერთს შემოუძახებდა და ისიც ჩუმდებოდა, ჩაყუნცდებოდა, თავს გვერდზე გადააგდებდა და მიაშტერდებოდა პატრონს.

ხანდახან, როცა კუკური აივანზე გასვლას აგვიანებდა, „ყონყოლი“ კარების მინას მიუნისკარტებდა – „მეგობარს“ უხმობდა.

რამდენჯერაც მიუტანდა საკვებს, იმდენჯერ ყლაპავდა; წონაშიც მოიმატა, მაგრამ ერთ დღეს ციცომ გამოაცხადა.

– ახალწლამდე ეს ინდაური მოგვეინელებს და დაგვაქცევს, იმდენს ჭამს! მოდით, დავკლათ!

– რას ამბობ, ქალო? – შეიცხადა კუკურიმ, – ჯერ რა დროსია?!

– დავკლათ და აგერ საყინულეში შევინახოთ! მარწყვი ძლებს იქ მთელი ზამთარი და მაგას რა მოუვა?

– არ შეიძლება მაგის დაკვლა! – მტკიცედ თქვა კუკურიმ.

– ვითომ რატომ, ყმაწვილო?!

– იმიტომ, რომ ჯერ თოვლი არ უჭამია!

არგუმენტმა გაჭრა ციცოზე და ამ თემაზე საუბარი დროებით შეწყდა.

„ყონყოლი“ ძველებურად აღარ ჭამდა, ეწინააღმდეგებოდა კუკურის, მხოლოდ სასიცოცხლო ულუფას თუ გადაყლაპავდა. იყო ჩაყუნცული და თავგადაწეული შეცქეროდა ზეცას. მაგრამ ციცო, რის ციცო იყო, თავისი რომ არ გაეტანა! ისევ ამოიჩემა:

– უნდა დავკლათ! აოხრა აქაურობა, მეზობლებიც გვიჩივიან, მოგვაშორეთ, მაგის ხმას ველარ ვუძლებითო! შვიდი წელია, აქ ვცხოვრობთ და ყველასთან მშვიდობიანად ვართ, ახლა ერთი ინდაურისთვის გადავიკიდო ხალხი?

– მე მაგის დამკვლელი არა ვარ! – გამოაცხადა კუკურიმ და ხელები გაასავსავა.

– უყურე შენ ამას, რომ კითხო – ვაჟკაცი ვარო! – მოპრუწა ტუჩები ციცომ.

– ვთქვი და მორჩა!

– ლეო მაგის დამკვლელი არ არის და არც იცის! ვინ მოვიწვიოთ? – გაცხარდა ქალი.

– ქილერი დაიქირავე! – ურჩია ქმარმა.

– ვინ ქილერი, გადაირიე? დაკვლაშიც ფული გადავიხადო?

– შენი საქმე შენ იცი! – მოუჭრა კუკურიმ და სიგარეტის მოსაწევად აივანზე გავიდა.

„ყონყოლი“ წამოიფხორა, ნელნელა გაიმართა წელში, თავი გადასწია და ცალი თვალით მიაშტერდა პატრონს.

– ხომ ხედავ, რა ხდება შენს თავს, ჩემო ყონყოლ! გამოელაპარაკა კუკური.

„ვხედავ, ვხედავ! ყველაფერი ვიცი: ასეთია ჩემი ბედი! ბოლოს მაინც უნდა დამკლან, განსაკუთრებით, ზამთარში“.

– „ძალიან მეცოდები, ძმაო!“

„მჯერა, მჯერა. რა გგონია, მე არ ვხედავ და არ მესმის: შენი მადლობელი ვარ“.

კუკურის გული მოუკვდა, მძლავრად მოქაჩა სიგარეტი.

„თუ სიკვდილი მიწერია, მირჩევნია შენი ხელით მოვკვდე!“ – წაილუღლუღა „ყონყოლმა“.

„არავითარ შემთხვევაში, – დაიფიცა კუკურიმ, – რას ჩქარობ, შეკაცო? ჯერ თოვლი ხომ არ გიჭამია?“

„ეეე, საქმეც ეგაა, გული მიგრძნობს – ამაღამ დიდი თოვლი მოვა!“

„მერე შენც ნუ შეჭამ!“ – იპოვა გამოსავალი კუკურიმ.

„მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ვჭამ თუ არა, მოვა თოვლი და იმწამსვე წამაცლიან თავს!“

„მოიცა, მოიცა, წინასწარ ნუ ითარსები, იქნებ რაიმე მოვიფიქრო“, – ხავსს მოებღაუჭა კუკური.

არა, ამ საქმიდან არაფერი გამოვა... ერთი კი ვიცი დანამდვილებით, იმ ქალს ჩემ ხორცს არ შევაჭმევ!“

„მაინც როგორ?“

„ეს მე ვიცი!“

ინდაურმა ზურგი შეაქცია პატრონს.

კუკურიმ სიგარეტის ნამწვი წკიპურტით მოისროლა და ოთახში შებრუნდა.

იმ ღამეს დიდი თოვლი მოვიდა...

კუკური ადრიანად ადგა, პიჟამო გადაიცვა და აივანზე გავიდა.

სასიამოვნო დილა იდგა. გამჭვირვალე ჰაერი ჩაისუნთქა და იქით გაიხედა, სადაც ინდაური ეგულებოდა. გისოსზე კანაფის დაკორტნილი ნაწყვეტი ეკიდა.

კუკურის გული შეეკუმშა, სიგარეტს მოუკიდა, მოაჯირს დაეყრდნო და ეზოში გადაიხედა.

...თეთრ თოვლზე „ყონყოლი“ შავად ბზინავდა.

**გურამ გომართელი.**

## მომავალი კოლეგები



თბილისი. თოვლი. ჯემალ კასრაძის ფოტო.

# სიკეთე თუ „სინთეტიკა“ და თოვლით სავსე ქვეყანა

საგვარეულო სკივრებში საახალწლოდ გადამალული ჩურჩხელები ტკბილდება, მარნებსა და სარდაფებში ღვინო ჭარმაგდება, უკვე აკენკეს პირველი თოვლი ინდაურებმა, დათოვლილტოტებიანი „კორალიოკები“ სიმწიფისგან აფერადდა და, უნებლიედ, ვახუშტი კოტეტიშვილის ერთსტროფიანი ლექსის ტყვეობაში აღმოჩნდი: **„კარგია, ფიქრობ დაღლილი, – სოფელი, პატარა სახლი, ცოლი ერთგული ძაღლივით, ცოლივით ერთგული ძაღლი“.** თუმცა გვარწმუნებენ, რომ ჩვენ „სინთეტიკური სიყვარულის“ საუკუნეში ვცხოვრობთ, როცა ყველაფერი ლამაზი და უხარისხოა, როცა ღამის სიბნელეში გაბნეული ნაპერწკლები ჯანმრთელობასაც ვნებს და სულიერებასაც, როცა ძველი სამყაროდან აღარაფერი დარჩა...

ეს ისე, წინასაახალწლო, მუდამ დადებითმა განწყობამ ზედმეტად რომ არ გაგვაკადნიეროს, თორემ ცხოვრება ერთი ჩვეულებრივი მოულოდნელობაა...

მაღაზიის ვიტრინაში ნამცხვარს კრემი ადნება (როცა დენი არ არის). გვერდით სადარბაზოდან შუახნის მიცვალებულს მოასვენებენ, ყავარჯნიანი მათხოვარი ხან იწყევლება, ხანაც გულზე დაკიდებულ ღვთისმშობლის ხატს ეამბორება, ელექტროტრანსპორტს კვლავ მოთმინებით ელოდებიან, ვიღაც მთელი ძალით აწვება დასახურად გამზადებულ მეტროს კარს, პარფიუმერიის რომელიღაც ფირმის „ბილბორნზე“ ადრე ნასროლი თოვლის გუნდის ნაკვალევია.

თოვლის ნამდვილი მოულოდნელობაა თბილისში. შუქის, გაზის, ცენტრალური გათბობის და, საერთოდ, სოციალური პრობლემების ფონზე ირონიული კონტექსტით „ბუნების სიურპრიზად“ მოიხსენებენ თბილისში დიდთოვლობას (არც ისე ხმამაღლა ნათქვამია) პრაქტიკულად კი არა, პრაგმატულად მოაზროვნეები.

განა თოვლი მართლაც ბედნიერება არ არის თბილისისათვის? აბა, სხვა რა შეგვიძლია, ვუწოდოთ ჩვენს იმ ერთიანობას, თოვლიანობას რომ მოაქვს... თითებწაყინული ბიჭუნა თოვლის გუნდას რომ გესვრის, უნებურად გეღიმება, დაეცემი, წამოგაყენებენ, თბილ დუქნებსაც მიატოვებენ და გაგაცილებენ, განა თოვლმა არ შეცვალა, ცხოვრების სწრაფი ტემპი ნელი, მოზომილი ნაბიჯებით, განა ყველას არ გვეწვია ცელქობის წამი და სველი ხელთათმანებით სიამოვნებით დავაგუნდავეთ თოვლის მრგვალი ბურთები.

ადამიანი ადამიანისთვის უცხო გახდებაო, – ამტკიცებენ ფუტუროლოგები, არადა „ერთმანეთია ის დიდი სიტყვა, ქალაქის შექმნა რომ ჩაგვაგონა“.

თოვლს ველოდით. გადაჭარბებულად გვეჩვენებოდა, როცა თოვლს „ცის მანანას“ ადარებდნენ. ან კი შეეძლო ვინმეს, ამის დაჯერება „სინთეტიკური სიყვარულის“ საუკუნეში, როცა საქმიანი იერით სწრაფად ჩაუვლი ხოლმე გვერდით მომავალს. როცა მისალმებაზეც ძუნწობ, როცა „აზიატობის“ დამწუნებელი, ხანდაზმულ დედას მოხუცთა სახლს მიაბარებ, როცა უახლოეს ადამიანსაც კი წინასწარ შეუთანხმებ სტუმრობას...

გულის სიღრმეში მაინც გვახსოვს ზოგჯერ მოკრძალებული ფრაზა: „ქვეყანა სავსეა სიკეთით“! რაგინდ დიდი ტყუილი იყოს, გვინდა ამის დაჯერება და ვიჯერებთ. იმისიც გვჯერა, რომ არსებობენ კეთილი ადამიანები, რომელთა „სული ისე თბილია, როგორც წვიმა ივლისის ბოლოს და როგორც მტრედი, ცივ პურს რომ კენკავს უსახლკარო მოხუცის ხელისგულიდან“ (შ. ბაკურაძე).

რომანტიკული ცხოვრებისთვის ან არ გვცალია, ან ვინ გვაძლევს უფლებას გადარეულ სამყაროში, თორემ თოვლი მარტო ბუნების მოვლენა რომ არ არის, ამაში დარწმუნებული ვართ, მით უმეტეს, როცა წინასაშობაო განწყობა თავისი სიმბოლოებით სულ უფრო შემოდის ჩვენს ცხოვრობაში და იდილიურ შეგრძნებებს გვიქმნის სიყვარულის, სიკეთისა და განახლების იმედით. სოფელი უფრო ინარჩუნებს ასეთ განცდას და... თოვლსაც, ქალაქში ის ადრევე ქრება...

მაგრამ ქვეყანა როგორც თოვლით, ისე სიკეთით არის სავსე.

**ესმა მანია,**
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მაგისტრატურის I კურსის სტუდენტი.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. № 150 ა. ტელ: 94-00-05.



- აშშ: შეიფარებენ „დოქტორ ბაქტერიას“?
- მოსკოვი: დუბროვკის მსხვერპლნი ხაზინას გააკოტრებენ
- პეკინი: სიუ ვენ-ლი გამოუშვეს
- პოლანდია: „ტანჯვის“ ცნებაც კი დაავიწყდათ

# რა უყონ ერაყელ მეცნიერებს?

**შეერთებულ შტატებსა და გაეროს პრიორიტეტად მიაჩნიათ სრული ინფორმაციის მიღება მეცნიერთაგან, რომლებიც შესაძლოა, მონაწილეობდნენ ერაყის ბიოლოგიური, ქიმიური და ბირთვული იარაღის შექმნის პროგრამებში. მაგრამ, ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი მთავარი ამოცანა: როგორ აიძულონ სპეციალისტები, გულახდილად ელაპარაკონ საერთაშორისო ექსპერტებს.**

ვაშინგტონმა უკვე მოსთხოვა ერაყს, უზრუნველყოს შეხვედრები კონკრეტულ მკვლევარებთან, და ამის გაკეთებაზე უარის თქმამ შეიძლება, მოაახლოვოს ომი.

გაეროს რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ერაყელი მეცნიერები ვალდებული არიან, შეხვდნენ საერთაშორისო ექსპერტებს, მაგრამ, სამწუხაროდ, არ იძლევიან რეკომენდაციას, სახელდობრ, როგორ მოხდეს ეს.

როგორც ჩანს, მეცნიერები დათანხმდებიან, ილაპარაკონ, თუ მათ და მათს ოჯახებს უზრუნველყოფილი ექნებათ სრული უსაფრთხოება.

ამისათვის კი იარაღის შემმუშავებლები ერაყის ფარგლებს გარეთ უნდა გაიყვანონ. უკვე განიხილავენ შესაძლებლობას, მოაწყონ შეხვედრები სპეციალისტებთან იორდანიის, თურქეთის ან კვიპროსის ტერიტორიაზე. მაგრამ, ჯერჯერობით გაუგებარია, რა ბედი ეწევათ მეცნიერებს, რომლებიც ერაყელი სამხედროების საიდუმლოებებს გაამჟღავნებენ. სპეციალისტები დარწმუნებულები არიან, რომ მათი უმრავლესობა რეპრესიების შიშით არ მოისურვებს თავის ქვეყანაში დაბრუნებას.

ამასთან, ვაშინგტონი ჯერჯერობით არ დათანხმებულა ერაყელი სპეციალისტებისათვის თავშესაფრის მინიჭებას.

„ვაშინგტონ პოსტის“ ცნობით, გაეროს ინსპექტორები უკვე მიშობენ, რომ შეერთებული შტატები ან სხვა ქვეყნები უარს იტყვიან, მისცენ თავშესაფარი ზოგიერთ მეცნიერს, თუ ჩათვლიან, რომ მათ არ მიაწოდეს არსებითი ინფორმაცია.

გაურკვეველი რჩება, აგრეთვე, იმ ერაყელ სპეციალისტთა წრე, რომლებიც ფლობენ დიდმნიშვნელოვან ცნობებს მასობრივი დაზიანების იარაღზე.

ექსპერტთა თქმით, ნამდვილად მნიშვნელოვანი მონაცემები სულ ასამდე მეცნიერმა იცის. ამავე დროს, ერაყელ სამხედრო სპეციალისტთა და ტექნიკოსთა საერთო სიებში რამდენიმე ათასი კაცია.

„არ არის ლაპარაკი იმაზე, რომ გავიყვანოთ ათასობით ერაყელი და მოვათავსოთ მესამე ქვეყნის ბანაკში“, – თქვა ბი-ბი-სის კორესპონდენტთან საუბრისას შეიარაღების დარგის ექსპერტმა, ვაშინგტონის საერთაშორისო უშიშროების ინსტიტუტის პრეზიდენტმა დევიდ ოლბრაიტმა. ამასთან, ოლბრაიტმა წამოაყენა იმ სწავლულთა გამოვლენის თავისი გზა, ვინც შეიძლება, დააინტერესოს გაერო და აშშ. იგი დარწმუნებულია, რომ მეცნიერებთან შეიძლებოდა ლაპარაკი გაეროს ერაყის მისიაში – მიყურადებისაგან დაცულ იზოლირებულ ოთახში.

ამავე დროს, შეერთებული შტატები უკვე სახეზე იცნობს ზოგიერთ სპეციალისტს, რომლებსაც შეიძლებოდა, საკვანძო როლი შეესრულებინათ ერაყის მასობრივი დაზიანების იარაღის შექმნის პროგრამებში.

მათ შორის არის ბიოლოგი რიხაბ ტახა. როგორც ვარაუდობენ, 1980-იანი წლების დამლევს იგი მუშაობდა ბოტულიზმისა და ჯილეხის (ე. წ. ციმბირული წყლულის) გამომწვევ ბაქტერიებზე. იუწყებიან, აგრეთვე, რომ ტახა, რომელსაც გაეროს ინსპექტორები „დოქტორ ბაქტერიად“ იხსენიებენ, ამ პერიოდში საკვლევ ნიმუშებს იღებდა ამერიკის კომპანიებისაგან.



თუმცა, სპეციალისტთა თქმით, ერაყელი მეცნიერები გამოიყენებენ ნებისმიერ შანსს, რათა თავი დააღწიონ სადამის რეჟიმს.

„ისინი თვეში დაახლოებით 10 დოლარს იღებენ და მოკლებული არიან თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობას“, – თქვა ბი-ბი-სის კორესპონდენტთან საუბრისას ყოფილმა ერაყელმა მეცნიერმა ჰიდარ ჰამზამ, რომელიც 90-იან წლებში გაიქცა სამშობლოდან შეერთებულ შტატებში. „მაშ, რატომ არ გამოიყენონ შანსი, რომ თავისუფლად იცხოვრებენ სიცოცხლის ბოლომდე“? – კითხულობს ჰამზა.

ამავე დროს, ჰამზას ეჭვი ეპარება, რომ მისი კოლეგები მოისურვებენ, გულახდილად ელაპარაკონ გაეროს წარმომადგენლებს შიგ ერაყში, ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში, ინფორმაციის გაჟონვა პრაქტიკულად გარდაუვალია.

# „ნორდ-ოსტი“: სასამართლო იანვარში გაიმართება



**რუსეთის დედაქალაქის ტვერის სასამართლოში მოეწყო დუბროვკის თეატრალური ცენტრის ყოფილი მძევლებისა და დაღუპულთა ნათესავების 24 სარჩელის წინასწარი მოსმენა. ეს სარჩელები, რომელთა თანხა 23 მილიონ დოლარს აღემატება, წარდგენილია მოსკოვის მთავრობისადმი. ადამიანები, რომლებმაც დუბროვკაში თავიანთი ახლობლები დაკარგეს, უძლიერესი სტრესი გადაიტანეს და ჯერაც ვერ მოსულან გონს, მოსკოვის ხელისუფალთაგან მოითხოვენ კომპენსაციას მორალური და მატერიალური ზარალისათვის, რომელიც ტერაქტმა და მისმა შედეგებმა მოუტანეს.**

მაგრამ მოსკოვის მთავრობა არ ეთანხმება იმას, რომ მხოლოდ მას, და არა ფედერალურ ხელისუფალთ, ეკისრება პასუხისმგებლობა თვით ტერაქტისა და მისი შედეგებისათვის.

როგორც ბი-ბი-სის კორესპონდენტთან საუბრისას თქვა დაზარალებულთა ადვოკატმა იგორ ტრუნოვმა, ადამიანთა მოთხოვნები სავსებით გამართლებულია და შეესაბამება კანონს „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“, რომლის თანახმადაც ტერაქტის შედეგებისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება ფედერაციის იმ სუბიექტს, რომლის ტერიტორიაზეც მოხდა ტერაქტი.

„არსებობს კანონი და იგი უნდა შესრულდეს, – ამბობს ტრუნოვი, – ამ კანონის მიხედვით, დაზარალებულებს, უდავოდ აქვთ უფლება, მიმართონ სასამართლოს. საკითხი მხოლოდ ის არის, რამდენად რეალურია ეს თანხები, რამდენად შეესაბამება ისინი ჩვენს დღევანდელ სინამდვილეს – ფასებს აფთიაქებში, მაღაზიებში, და, საერთოდ, ადამიანთა შემოსავალს“.

მაგრამ მოსკოვის ხელისუფალთა წარმომადგენლები შიშობენ, თუ სასამართლო დააკმაყოფილებს მოსარჩელეთა მოთხოვნებს, მაშინ კომპენსაციების გადახდა დააცარიელებს ქალაქის ხაზინას. გარდა ამისა, მოსკოვის მთავრობა დარწმუნებულია, რომ უკვე შეასრულა კანონი, როდესაც გადაუხადა 50-50 ათასი რუბლი იმ მძევლებს, ვინც გადარჩა, და 100-100 ათასი – იმათ, ვინც ახლობლები დაკარგა.

გარდა ამისა, სამშაბათს ქალაქის ხელისუფლებმა მიიღეს გადაწყვეტილება, ყოველთვიურად უხადონ ათას ხუთასი რუბლი 35 არასრულწლოვან ბავშვს, რომლებსაც დუბროვკაზე მშობლები დაეღუპათ.

მაგრამ, როგორც მართლქომაგთა საერთაშორისო ორგანიზაცია **HRV**-ს თანამშრომელი ალექსანდრე პეტროვი თვლის, ასეთი თანხები ოდნავადაც არ შეესაბამება მომხდარი ტრაგედიის მასშტაბს. „იქმნება სრულიად არანორმალური სიტუაცია, რომლის დროსაც რუსი ადამიანების სიცოცხლეს არაფრად არ აგდებენ! – ვერ მალავს აღშფოთებას ალექსანდრე პეტროვი. – ეს სამასხარაო ათას ხუთასი რუბლი თვეში არის ყოვლად ცინიკური თანხა, რომელმაც, ვითომდა, ბავშვებს უნდა აუნაზღაუროს მშობლების დახოცვა! სარჩელების დაკმაყოფილების თანხა თუ ვერ გაუტოლდება ევროპულსა და ამერიკულს, ოდნავ მაინც უნდა უახლოვდებოდეს მათ. სწორედ ამიტომ, მოვუწოდებდი ყველა მოქალაქეს: დაიცავით თქვენი უფლებები ლეგალური გზით, სასამართლოს მეშვეობით, წაუყენეთ ხელისუფალთ უზარმაზარი სარჩელები, რათა ხელისუფლებამ იგრძნოს, რომ საქმე აქვს რუსეთის ორგანიზებულ სამოქალაქო საზოგადოებასთან, და არა უნებისყოფო ობივატელებთან“.

„ნორდ-ოსტის“ საქმის მოსმენა 16 იანვარს არის დანიშნული.

# ჩინეთში გაათავისუფლეს ვეტერანი დისიდენტი

**ჩინეთის ხელისუფლებმა ციხიდან გამოუშვეს ცნობილი დისიდენტი, ქვეყნის დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, 59 წლის სიუ ვენლი.**

ვენ-ლი პირველად დააპატიმრეს 1979 წელს. 1998 წელს მას მიესაჯა 13 წლის პატიმრობა ოპოზიციური პარტიის შექმნის მცდელობისათვის. პარტიის ორი სხვა დამაარსებელი კვლავ ციხეშია.

ჯონ კამმა, ვენ-ლის განთავისუფლებისათვის მოძრაობის ამერიკელმა აქტივისტმა თქვა, რომ გადაწყვეტილება მიღებული იქნა ტუსაღის ჯანმრთელობის გაუარესების გამო – ვენ-ლი ჰეპატიტით არის ავად. იგი განთავისუფლებისთანავე გაემგზავრა შეერთებულ შტატებში.

წინა კვირას ჩინეთის ხელისუფალნი დათანხმდნენ, მოეწვიათ გაეროს ადამიანის უფლებათა ექსპერტები. ექსპერტებმა უნდა შეისწავლონ ჩინეთში პატიმრობის პირობები, აგრეთვე, თავისუფლად მოაზროვნეთა დევნის საკითხი.

ზოგიერთი მიმომხილველი თვლის, რომ პეკინი ამრიგად ცდილობს, გაიუმჯობესოს ურთიერთობა შეერთებულ შტატებთან.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ჩინეთში ათავისუფლებენ დისიდენტებს, მათ შორის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

ივნისში გაუშვეს 76 წლის ტიბეტელთა სულიერი ლიდერი ტანაკ ჯიგმე სანგპო, რომელიც ყველაზე მეტ ხანს იჯდა ციხეში პოლიტიკური მოტივებით. სანგპო გაათავისუფლეს იმ პირობით, რომ ციხიდან გამოსვლისთანავე დატოვებდა ჩინეთს.

სამშაბათს გამოუშვეს საპატიმროდან კიდევ ორი მართლქომაგი აქტივისტი, რომლებიც დაპატიმრებული იყვნენ მეტალურგი მუშების საპროტესტო აქციების ორგანიზაციისათვის.



# მკვლელობა გულმოწყალებით

**პოლანდიის უზენაესმა სასამართლომ დოქტორი ფილიპ სეტორიუსი ბრალეულად ცნო იმაში, რომ დაეხმარა თავის 86 წლის პაციენტს, დაესრულებინა სიცოცხლე თვითმკვლელობით.**



1998 წელს სეტორიუსმა თავის პაციენტს, სენატის ყოფილ წევრს ედვარდ ბრონგერსმანს მისცა წამლის მომაკვდინებელი დოზა.

ბრონგერსმანს ფსიქიკური ამლილობა სჭირდა და დაეჩემებინა, რომ გაბეზრებულია ცხოვრებისაგან და აღარ სურს სიცოცხლე, მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკურად სავსებით ჯანმრთელი იყო.

ევთანაზია გასული წლის აპრილში დააკანონეს პოლანდიაში. მაგრამ, აქამდე იგი დაახლოებით 20 წელიწადს არსებობდა და ემორჩილებოდა სპეციალურ წესებს, რომლებმაც შემდეგ საბოლოოდ შეიძინეს კანონის ფორმა.

კანონის ერთ-ერთი მთავარი პუნქტი იუწყება: იმისათვის, რომ ექიმმა ევთანაზიას მიმართოს, პაციენტი გამუდმებით უნდა ცხოვრობდეს აუტანელ ტანჯვაში.

* * *

პირველმა სასამართლომ გაამართლა სეტორიუსი, კერძოდ, განაჩინა, რომ სულიერი ტანჯვა შეიძლება, აუტანელი იყოს. მაგრამ პროკურორმა შეიტანა აპელაცია უმაღლეს ინსტანციაში, რომელმაც გადასინჯა საქმე და შეცვალა სასამართლოს გადაწყვეტილება.

ამის შემდეგ უკვე სეტორიუსის ადვოკატებმა გადაწყვიტეს, მიემართათ უზენაესი სასამართლოსათვის, რომელმაც მხარი დაუჭირა პროკურორის აპელაციას და საბოლოოდ ბრალეულად ცნო ექიმი.

ეს ნიშნავს, რომ „ცხოვრებისაგან გაბეზრება“ ვერ გაამართლებს გულმოწყალებით ჩადენილ მკვლელობას.

ამავე დროს, ბელგიაში ფსიქოლოგიური ამლილობა ექვემდებარება პირობებს, რომელთა დროსაც შესაძლებელია ევთანაზია.

პოლანდიის ევთანაზიის საზოგადოების დირექტორმა რობ ჯონკერემ უკმაყოფილება გამოთქვა პროცესის შედეგის გამო. ჯონკერე თვლის, რომ სასამართლომ ექიმის საქმე ერთობ ვიწრო ინტერპრეტაციის ჩარჩოებში მოაქცია.

# სეისმოლოგები იაპონიას კატასტროფებს უწინასწარმეტყველებენ

**მძლავრმა მიწისძვრებმა, რომლებსაც იაპონელი სეისმოლოგები მოელიან ქვეყნის სამხრეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთში, შეიძლება, დაახლოებით 7,4 ათასი კაცის სიცოცხლე შეიწიროს და მთლიანად დაანგრიოს 277 ათასი შენობა. ასეთია კომპიუტერული მოდელირების მონაცემები, რომლებიც სამშაბათს გამოაქვეყნა პრემიერ-მინისტრ ძიუნიტირო კოიძუმის მეთაურობით მოქმედმა სტიქიურ უბედურებებთან ბრძოლის ცენტრალურმა საბჭომ.**

ექსპერტებმა განახორციელეს დაახლოებით 8-ბალიანი მიწისძვრის სცენარის იმიტაცია. ამასთან, აღნიშნავენ, რომ მსხვერპლთა რეალური რიცხვი შეიძლება კიდევ უფრო მეტად გაიზარდოს ხანძრებისა და ცუნამის შედეგად.

ასეთი ძალის მიწისძვრა დარტყმები აზანზარებენ იაპონიას 100-150 წლის პერიოდულობით, და, როგორც სეისმოლოგები თვლიან, მორიგი უბედურება შეიძლება, მიმდინარე საუკუნის პირველ ნახევარში მოხდეს. განვლილ ასწლეულში ყველაზე დიდი კატასტროფა მოხდა 1923 წლის პირველ სექტემბერს, როდესაც რიხტერის სკალის მიხედვით 7,8-ბალიანმა ბიძგმა ტოკიოსა და მეზობელ პრეფექტურებში დახოცა 100 ათასზე მეტი კაცი. 1995 წელს 7,2 ბალი სიმძლავრის მიწისძვრამ ნანგრევებად აქცია კობეს ნავსადგური. დაღუპულთა რიცხვმა მაშინ 6 ათასს გადააჭარბა.

# ირანელი ქალები პოლიციაში მიდიან

**გაისად ოთხი ათასი ქალი დაიწყებს სამსახურს ირანის პოლიციაში. ეს განაცხადა მართლწესრიგის დაცვის ძალების პროპაგანდის განყოფილების წარმომადგენელმა ჰასან ზაქრიმ. მისი თქმით, ქალთა პერსონალის სწავლების პროცესი დასასრულს უახლოვდება, და მალე სპეციალიზებული სასწავლებლების კურსდამთავრებული ქალები პოლიციის უბნების თანამშრომლები გახდებიან.**

ზაქრიმ აღნიშნა, რომ შარიათის კანონებისა და სოციალურ მოთხოვნილებათა თვალსაზრისით საჭირო გახდა ქალთა პერსონალის გამოყენება პოლიციაში.

ირნა-ს საინფორმაციო სააგენტოს მონაცემებით, ირანის საზოგადოებაში მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა 35 მილიონს აღწევს, რაც მოწმობს, რომ აუცილებელია პოლიციის ორგანოებში ქალთა ჩაბმა უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის უზრუნველსაყოფად.

ზაქრიმ გამოთქვა იმედი, რომ ირანის პოლიციაში ქალების მისვლას დადებითად შეხვდება მოსახლეობა, რაც მომავალში სასურველ შედეგს მოიტანს.

სპეციალისტთა აზრით, რეფორმატორთა მოსვლის შემდეგ ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა, და დღეს, სუსტი სქესი, სამართალდამცველი ორგანოების გარდა, წარმოდგენილია, აგრეთვე, ისლამური რესპუბლიკის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების სტრუქტურებში.

გარდა ამისა, ირანში მოქმედებს რამდენიმე პოლიტიკური პარტია, რომელსაც სათავეში უდგანან თავიანთი უფლებებისათვის მებრძოლი ქალები.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა
**არჩილ მანჯგალაძემ.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 315. ხუთშაბათი, 26 დეკემბერი, 2002 წელი.

## პოზიცია

# თბილისი ერთხელ უკვე ჰგავდა ნაქალაქარს

## რატომ ვებრძვით ძალოვნებს?

[illegible]

ჩვენ მხედველობაში გვყავს ის ვაიპოლიტიკოსები და ეაიმამულიშვილები, უმთავრესად პარლამენტართა რიგებიდან, რომლებიც ძალოვანი სტრუქტურების ხსენებისას უხერხულად იჭმუხნიან სახეს და სიძულვილის დამალვასაც კი არ ცდილობენ.

ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ დღეს ჩვენს ძალოვან სტრუქტურებში გაცილებით მეტი ჭკვიანი, განათლებული, პოლიტიკასა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საკითხებში მეტი გამოცდილებისა და მაღალი ორგანიზებულობის მქონე ადამიანია, ვიდრე პარლამენტის შემადგენლობაში. მესმის, რომ ასეთი შედარება გარკვეულ უხერხულობასთან იქნება დაკავშირებული და იქნებ, გაუმართლებელიც კი იყოს, მაგრამ სად გავექცეთ იმ ფაქტს, რომ დღეს არარაობამდე ჩამოსული ზოგიერთი პარლამენტარი ხელისუფლების წინააღმდეგ ყოვლად გაუმართლებელი „ჯვაროსნული ლაშქრობის" მოწყობის, ერთმანეთთან შეხლა-შემოხლისა და ხელჩართული ბრძოლის მეტს რომ არაფერს აკეთებს, თანაც თავადაც არაერთგზის ყოფილა მძიმე დანაშაულში ეჭვმიტანილი თუ მისი მონაწილე, თითქმის რვაჯერ-ათჯერ მეტ ხელფასს იღებს ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლებთან შედარებით? და თანაც, გასაცოდავებული ხელფასიც კი ხშირად რამდენიმე თვის მანძილზე იგვიანებს და მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს იძენს.

კონკრეტულად, რაზეა ლაპარაკი?

როგორც ცნობილია, 7 დეკემბერს ჩვენი ქვეყნის ძალოვანმა სტრუქტურებმა ჩაატარეს ანტიკრიმინალური ოპერაცია, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა არა მარტო ჩვენს მოსახლეობაში, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც კი. ყველამ მოიწონა ქართველი ძალოვნების ოპერატიულობა და სიმამაცე, რასაც არაერთი საშიში ტერორისტის განადგურება მოჰყვა შედეგად. სამწუხაროდ, აღმოჩნდნენ საკუთარი ერის სიყვარულისგან განბანილი ადამიანები, რომლებშიც გაბოროტება და გაშმაგება გამოიწვია ამ დიდმნიშვნელოვანმა ოპერაციამ. ზოგიერთმა იგი ანტიეროვნულ ღონისძიებადაც კი შეაფასა, თუმცა არც გონიერება ეყო და არც ელემენტარული იურიდიული განსწავლულობა, როგორმე მაინც „დაესაბუთებინა" თავისი აბსურდული პრეტენზიები.

ქვეყნის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შორის ამ საძრახის საქმეში პირველი ადგილი, რა თქმა უნდა, „დამსახურებულად" დაიკავა „რუსთავი-2"-მა, რომელსაც ვერჯვინ შეედრება ქართული სინამდვილის გაზნქიქების, ხელისუფლებისა და ძალოვანი სტრუქტურების გარშემო სიცრუისა და ცილისწამების ატმოსფეროს შექმნაში. იგი ყველაფერს მხოლოდ „შავი სათვალეების" პოზიციიდან ხედავს. კერძოდ, 7 დეკემბერს „რუსთავი-2"-ის ეკრანიდან ჩვენ მოვისმინეთ პარლამენტარ ელენე თევდორაძის და სახალხო დამცველ ნანა დევდარიანის გამოსვლა, რომლებიც მართლაც შესაშური ტემპერამენტით, ხმის ჩაწყვეტამდე გმობდნენ, ისიც მუქარითა და ყოვლად გაუმართლებელი ბრალდებებით, ძალოვანი სტრუქტურების მიერ განხორციელებულ ოპერაციას, როგორც ანტიეროვნულ ქმედებას. თურმე ანტიეროვნულია ის, რომ მიმალვის საშუალება არ მისცე კბილებამდე შეიარაღებულ ბანდიტებს და ა. შ. და ა. შ.

სამწუხაროდ, ანტიკრიმინალური ოპერაციის მნიშვნელობის შეფასებაში შეუფერებელი პოზიცია დაიკავა ბატონმა ნოდარ ნათაძემაც. — საერთოდ, ამ ბოლო დროს მის ტელე თუ სხვა გამოსვლებში ზოგჯერ იგრძნობა ხოლმე პოლიტიკის საკითხებში არაკომპეტენტურობა, მაგრამ ასეთი არაკომპეტენტურობა ძალოვანი სტრუქტურების მიერ საკმაოდ წარმატებულად განხორციელებული მნიშვნელოვანი აქციის პოლიტიკურ შეფასებაში უკვე ყოველგვარ ზღვარს სცილდება.

კიდევ აი, რა იწვევს გაოცებას:

სხვებთან ერთად, ეს ის ადამიანებია, რომლებიც ძალოვანი სტრუქტურების მიერ ანტიკრიმინალური ოპერაციების ჩატარებისა თუ ჩაუტარებლობის შემთხვევაში მათს წინააღმდეგ ყოველთვის ერთი და იგივე სიმძაფრით და შეფასებებით გამოდიან.

ეს რაღაც აუტანელი რამაა.

მათი ლოგიკით გამოდის: მკერდზე უნდა დავიკრიფოთ ხელები და დაველოდოთ, სანამ არ მოსწყინდებათ კრიმინალებს ხალხის ძარცვა-გლეჯა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ აქციით ძალოვნებმა გადადგეს ჩვენი ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ნაბიჯი. დაწყებულ საქმეში მერყეობა გამოუსწორებელი დანაშაული იქნებოდა და ამის დაშვება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. პირიქით, ეს საქმე უნდა გაგრძელდეს და განვითარდეს, რომ საქართველო მართლა არ გადაიქცეს მსოფლიო ტერორისტებისა თუ სხვა ჯურის დამნაშავე ელემენტების თავშესაფარად. ვისაც ეს არ ესმის, ან თავს ისე გვაჩვენებს, თითქოს მართლა არ ესმის, რა ხდება, ან მართლა არაფერი არ ესმის და მისი ადგილი პარლამენტში კი არა, ოსტაპ ბენდერის სამისიონერო კანტორაშია.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ საქართველოს ძალოვან სტრუქტურებში ყველაფერი მოწესრიგებულია. არა, რა თქმა უნდა. პირიქით, ბევრი რამ სწორედ იქ არის მოსაწესრიგებელი, უპირველესად, სწორედ ეს სტრუქტურები უნდა გაიწმინდოს კორუმპირებული თუ სხვა არასასურველი ელემენტებისგან, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ წინასწარ, უარყოფითად შევაფასოთ ამ მიმართებით გადადგმული პირველსავე იმედისმომცემი ნაბიჯები.

* * *

რატომ აქტიურობს ამ საძრახის საქმეში ახალი ქართული მასმედია?

ძალოვან სტრუქტურებს რატომ არ აკლებს თავის „მზრუნველ" ყურადღებას ამ ბოლო წლებში ფეხმოკიდებული პრესა, რომლის არაკომპეტენტურობამ და ელემენტარულ ობიექტურობას მოკლებულმა ინფორმაციულმა პრესამაც ლამისაა გადააგვაროს საზოგადოებრივი აზრი? ვინ დგას ყოველივე ამის უკან, ვის აძლევს ეს ხელს?

ქვეყნის მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი კარგად იცნობს შინაგან საქმეთა მინისტრს კობა ნარჩემაშვილს. ამ ახალგაზრდა კაცმა თავი დაგვანახა, როგორც პატიოსანმა, პრინციპულმა ადამიანმა. იქნებ სხვასავით ბევრს არ ხმაურობს, არ ბაქიაობს, მაგრამ თავის საქმეს ნამდვილად აკეთებს, რაც ადვილი ნამდვილად არაა ჩვენში დღეს შექმნილ ვითარებაში. მიუხედავად ამისა, უკანასკნელ ხანს თბილისში გამომავალი ზოგიერთი გაზეთი, რომელთაც საგაზეთო ქაღალდის გარდა, საერთო არაფერი აქვს ჟურნალისტიკასთან, ჩრდილს აყენებს მის პიროვნებას, მთლიანად შინაგან საქმეთა სამინისტროს, ცდილობს საზოგადოების თვალში მათი ავტორიტეტის შელახვას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმათ წისქვილზე ასხამს წყალს, ვისაც არც კანონი აწყობს და არც კანონიერება.

ან ის რად გიკვირთ, რომ ოლიგარქიული მასმედია „მზრუნველ ყურადღებას" არ აკლებს უშიშროების ახალგაზრდა მინისტრს ბატონ ვალერი ხაბურძანიას? ამას წინათ ერთი გაზეთი რამდენიმე გვერდზე აღწერდა ერთ ქურდულ ოჯახში გამართულ ქორწილს, და იქვე, მეორე გვერდზე, ასევე რამდენიმე გვერდი ჰქონდა დათმობილი უშიშროების სამსახურის განქიქებას.

მიზანი? მარტივია: ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნქციების მოშლა, დისკრედიტაცია, და ამის პარალელურად — ოლიგარქიულ-ქურდული კლანების განდიდება. აი, საით მიჰყავთ საქართველო და ამას დიდი დაბეჯითებით აკეთებს ეშმაკს მიყიდული ზოგიერთი ქართველი ჟურნალისტი.

დიახ, პირდაპირ უნდათ ვთქვათ: იქმნება შთაბეჭდილება, რომ თბილისში გამომავალი გაზეთების დიდი უმრავლესობისათვის არ არსებობს სხვა უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების ლანძღვა და აბუჩად აგდება, ერის თვალში სახელის გატეხვა. ამასთან, ისიც ცხადია, რომ ყველაფერი ეს შორს სცილდება ე. წ. სოციალური დაკვეთის ფარგლებს და უკვე საშიში ეროვნული მოვლენის მასშტაბს იძენს. ჩემმა ახალგაზრდა კოლეგებმა უნდა იცოდნენ, რომ ეს საშიში თამაშია, ძალიან სარისკო გარიგებაა და შეიძლება ერისათვის კატასტროფის მომტანი შედეგებით დასრულდეს. შემთხვევითი ხომ არ არის, რომ გარკვეული ძალების წინააღმდეგ ჩვენი ძალოვნების მიერ ჩატარებულ პირველსავე აქციას ასეთი გააფთრებული წინააღმდეგობა მოჰყვა. ყველა ღრმად უნდა ჩაუკვირდეს ამას, — ეს შორს მიმავალი ის ნაპრალია, რომელიც ანტიქართულ უფსკრულამდე მიგვიყვანს, თუ დროზე არ მოვეგებით გონზე.

საგულისხმო ფაქტი: ერთხელ 24 საათის განმავლობაში ლონდონის პოლიცია „გაუქმდა". როგორ ფიქრობთ, როგორი იქნებოდა ექსპერიმენტის შედეგი? დიდად სავალალო: დანაშაულობანი 20-ჯერ გაიზარდა.

როგორ ფიქრობთ, როგორი იქნებოდა მსგავსი ექსპერიმენტის შედეგები თბილისში? მტრისას, **თბილისი დაემსგავსებოდა ნაქალაქარს,** და ჩვენ ეს ერთხელ უკვე გამოვიარეთ. არ კმარა?

**გრიგოლ ჟვანია.**

## ხუთშაბათი 26 დეკემბერი

07.30 ალიონი 09.45 დრო და ფული 09.55 მხ. ფილმი **"ჯაჭვი"** 11.30 მელტსერიალი "უკანასკნელი ნაკრძალი" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 სერიალი **"რვაფეხა"** 13.00 ნაშუადღევს 14.05 "ინგლისური ენის გაკვეთილი" 14.30 "თბილისი და თბილისელები" 15.15 მხ. ფილმი **"ტრუფალდინო ბერგამოდან"** 16.20 "წყვილები და დუეტები" 17.10 რამპა 17.15 დოკ. ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" (ალიასკა) 17.40 სერიალი **"ძილის წინ"** 18.00 ვესტნიკი 18.20 ბასტი-ბუბუ 18.40 "ჯანმრთელობა" 19.05 "ვიდეოპატრული" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 20.55 სერიალი **"რვაფეხა"** 21.50 "დრო და ფული" 22.00 "საქართველო არის ესე" 22.25 "ჩვენი ფეხბურთი" 23.00 "დღის ბოლოს" 23.40 ტელესერიალი **"ძილის წინ"** 00.00 მხ. ფილმი **"დლესაწაული"** 01.40 ქართული ენის გაკვეთილი

2

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** 20.30 ისტორიანი 21.00 შვიდეული 22.10 ჰიტ-პარადი 22.20 მხ. ფილმი **"ლოლა გაიქეცი"**

07.00 მუსიკა 07.30 პაწაწინა ონავრები 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 ქალთა ქვეყანა 10.40 ალფი 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი **"მაცდური სიყვარული"** 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 ქალთა ქვეყანა 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.20 პაწაწინა ონავრები 18.50 ჰერაკლე 19.20 მედისონის სკოლა 19.50 სერიალი **"მაცდური სიყვარული"** 22.00 "ვის უნდა ოცი ათასი" 22.50 კურიერი 00.20 მხ.ფილმი **"ფსკერზე"** მთ.როლებში პილ და სუინტონ გორანვიშნიჩები 02.30 კლასიკა.

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 08.15 ალსავალი 08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა 08.30 მხ. ფილმი **"კაფე მამბო"** 10.20 მხ. ფილმი **"იჩქარე გიყვარდეს"** 13.10, 18.00 მულტფილმი 14.10 დოკ. ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 20.00 მხ.ფ. **"მოპარული ზაფხული"** 22.15 მხ.ფ. **"ქალი წითლებში"** 00.30 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი **"შიშველი პისტოლეტი 3"** 13.30 მხ. ფილმი **"ოცნების ზღვარი"** 15.00 მხ. ფილმი **"სიჩქარე 2"** 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი **"მაშველი"** 19.20 სპექტრი 21.00 დოკ. ფილმი 22.00 მხ. ფილმი **"სახელმწიფოს მტერი"**

IST

08.00 ტოროლა 10.00 გამ. ინფორმატორი 11.00 გამ. მუსათეული 11.45 - 13.45 პაუზის გარეშე 13.45 მუსიკა 17.00 ფილმი კომედია **"მაგარი ჯო"** 19.00 გამ. ინფორმატორი 19.30 ვიდეორადიო 21.00 მუსათეული მიქსი 21.45 ჩაძირობანა 22.45 საუკეთესო პატარა დიდები 23.00 სველი ხაზი 00.00 ფილმი ბრავო **"ჯაშუშური თამაშები"** 01.45 ფილმი ღამურა **"ერთგული მეუღლე"** 03.45 პაუზის გარეშე

10.00 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 10.45, 11.50, 12.50, 14.40, 17.30, 19.50, 21.45, 23.40 მუსიკა 11.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 12.00 მხ. დეტექტიური სერიალი **"ბენზინი სისხლში"** 13.00 მხ. ფილმი **"ფრენკ.ს ბუზის უკანასკნელი დღე"** 15.00 მხ. ფილმი **"უცხო მიწა"** 16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 61-ე სერია 17.40 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 32-ე სერია 18.30 მულტფილმი "მეფის ასული შაჰრაზადი" 32-ე სერია 19.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 79-ე სერია 21.30 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "კიტო, ეკლესიათა და მონასტერთა ქალაქი. ეკვადორი" 22.00 მხ. ფილმი **"ზნედაცემული ანგელოზები"** მთ. როლებში ბრენდა ფრიკერი, ქელი ბაკგილსი 00.00 მხ.ფილმი **"მერლინი - პირველი ჯადოქარი"** მთ. როლებში ჯეისონ ქონერი, დებორა მური

VII არხი

09.30 "აჩიკუდა" 09.55 "ბედნიერი ერი" 10.00 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 10.20 მელოდია 10.50 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) 11.25 მობილურები 12.10 ანიმაცია 12.25 აუდიო-ვიდეო-ტელე 13.15 "ბიორითმი" -ბრიტნი სფირსი 13.35 დისნეი და მისი მეგობრები 14.00 კომპიუტერული ტექნიკა 14.45 სპორტი 18.20 კომპიუტერული ტექნიკა 19.00 "აჩიკუდა" 19.45 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 20.10 "ფაქტი, აზრი, კომენტარი" 20.20 პორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა 21.05 "ღამის კაპრიზი" - თემა: უცხოპლანეტელი 22.05 მობილურები 22.45 "კინოკლუბი" - **"ზოია"** მე-2 სერია. 00.20 აუდიო-ვიდეო-ტელე 00.50 "ბიორითმი" - ბრიტნი სფირსი

## პარასკევი 27 დეკემბერი

07.30 ალიონი 09.45 დრო და ფული 09.55 მხ. ფილმი **"ტრანზიტი"** 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 სერიალი **"რვაფეხა"** 13.00 ნაშუადღევს 14.05 "მხოლოდ კლასიკა" 15.15 მხ. ფილმი **"ომის დემონები"** 16.50 სერიალი **"ძილის წინ"** 17.05 50-50 17.40 დოკ. სერიალი "ყველანი ორბიტაზე" 18.00 ვესტნიკი 18.20 ბასტი-ბუბუ 18.40 "ენა დედაა ერისა" 19.05 "ვიდეოპატრული" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 სერიალი **"რვაფეხა"** 22.00 "დრო და ფული" 22.15 "მრავალსახეობა" 23.00 "დღის ბოლოს" 23.40 ტელესერიალი **"ძილის წინ"** 00.00 მხ. ფილმი **"ფრენკის ვარსკვლავები"**

2

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** 20.30 საქართველო არის ესე 21.00 დოკ. ფილმი 21.30 აფხაზეთის ტელევიზია 22.10 ჰიტ-პარადი 22.20 მხ. ფილმი **"ფეხებს შორის"**

07.00 მუსიკა 07.30 პაწაწინა ონავრები 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 ქალთა ქვეყანა 10.40 ალფი 11.10 ვის უნდა ოცი ათასი 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი **"მაცდური სიყვარული"** 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 ქალთა ქვეყანა 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.20 პაწაწინა ონავრები 18.50 ჰერაკლე 19.20 მედისონის სკოლა 19.50 სერიალი **"მაცდური სიყვარული"** 22.00 "ხალხის პირისპირ" 22.50 კურიერი 00.20 მხ.ფილმი **"ძუნწი"** მთ.როლში ლუი დე ფიუნესი 02.30 მხ.ფილმი **"მეხუთე ელემენტი"** მთ.როლებში ბრიუს უილისი, გერი ოლდმანი 04.30 კლასიკა.

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 08.15 ალსავალი 08.20 ანონსი, მულტფილმი 08.30 მხ. ფილმი **"მოპარული ზაფხული"** 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა 10.20 მხ. ფილმი **"ქალი წითლებში"** 13.10, 18.00 მულტფილმი 14.10 დოკ. ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 20.00 მხ.ფ. **"ანგელოზთა ქალაქი"** 22.15 მხ.ფ. **"პორტის ახალი ამბები"** 00.30 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი **"სახელმწიფოს მტერი"** 14.00 მხ. ფილმი **"ზოროს ნიღაბი"** 16.00 მუსიკა 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი **"ნიუ-იორკის მეფე"** 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი **"შერკინება"**

IST

08.00 ტოროლა 08.20 გამ. ინფაქტი 09.30 გამ. კვირის საუკეთესო ხულიგანი 11.00 გამ. მუსათეული 11.45 - 13.45 პაუზის გარეშე 13.45 მუსიკა 17.00 ფილმი კომედია **"შემთხვევითი ჯაშუში"** 19.00 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 რუსული მუსათეული 21.45 აბა გამოიცანი კინოობანა 22.45 ინფაქტი 23.00 ინფორმატორი 23.30 პაპარაცი 00.00 ტელედისკოთეკა 01.45 ფილმი ბრავო **"უკანასკნელი სურვილი"** 03.45 პაუზის გარეშე

10.00 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 10.45, 11.50, 12.50, 14.30, 17.30, 19.50, 21.45, 23.45 მუსიკა 11.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 12.00 მხ. დეტექტიური სერიალი **"ბენზინი სისხლში"** 13.00 მხ. ფილმი **"მერლინი - პირველი ჯადოქარი"** 14.40 მხ. ფილმი **"ზნედაცემული ანგელოზები"** 16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 62-ე ნაწილი 17.40 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 33-ე სერია 18.30 მულტფილმი "მეფის ასული შაჰრაზადი" 33-ე სერია 19.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** მე-80 სერია 20.00 მხ. დეტექტიური სერიალი **"ბენზინი სისხლში"** მე-15 სერია 20.50 დოკ. ფილმი "ეს სანახაობაა" 21.30 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "კარტახენა, ესპანური პორტი კარიბის ზღვაში" 22.00 მხ. ფილმი **"ცხოვრება კადრს მიღმა"** მთ. როლებში ალ. ბოლდუინი, ჩარლზ დარნინგი 00.00 მხ. ფილმი **"კიდევ ერთი კარგი მიღმა"** მთ. როლებში მადონა, რუპერტ ევერეტი

VII არხი

09.15 მელოდია 09.25 "აჩიკუდა" 09.50 აუდიო-ვიდეო-ტელე 10.30 "ფაქტი, აზრი, კომენტარი" 10.40 "პაემანი" 11.35 კომპიუტერული ტექნიკა 12.05 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა -განმეორებით 12.40 მობილურები 13.35 ანიმაცია 13.50 "ბიორითმი" -ბრიტნი სფირსი 14.15 დისნეი და მისი მეგობრები 14.35 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 14.15 სპორტი 18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე 19.00 "აჩიკუდა" 19.45 მობილურები 20.20 "ფაქტი, აზრი, კომენტარი" 20.40 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა 21.05 "ლა-ლა-ლა" 22.15 კომპიუტერული ტექნიკა 22.50 "კინოკლუბი " - **"სელენა"**. ა.შ.შ. 1994 წელი. ცხოვრებისეული. რეჟ. გრეგორი ნავა. როლებში: ჯენიფერ ლოპესი, ედუარდ ჯეიმს ოლმასი. 00.55 სპორტი 01.00 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 01.25 "ბიორითმი" -ბრიტნი სფირსი

## შაბათი 28 დეკემბერი

08.00, 15.00, 20.00, 00.20 მოამბე 08.15 მხ. ფილმი **"ფრენკის ვარსკვლავები"** 10.00 დილის პაემანი 11.00 ლატარეა ყველასათვის 11.10 "მხიარული კარუსელი" 11.40 დოკ. სერიალი "ყველანი ორბიტაზე" 11.55 ვიცი 12.25 "მეტრო" 13.00 "კვალი" 13.30 დოკ. ფილმი "ლეგენდები მეცნიერების შესახებ" 14.25 "საქართველო, დრო, მოვლენები" 15.15 მხ. ფილმი **"თავგადასავალთა მაძიებელნი"** 16.50 სანინდარი 17.15 მულტსერიალი "პრინცესა ნერი" 17.40 რეალური სამყარო 18.00 ვესტნიკი 18.45 "თბილისის დროით" 19.05 "ენერგია" 19.35 "გინდ დაიჯერეთ, გინდ არა" 20.35 "ფორტუნა" 21.10 ტელესერიალი **"ქალთა სავანე"** მე-3 სერია 22.00 "მელომანია" 22.35 მხ. ფილმი **"შტორმის შემდეგ"** 00.30 ღამის ჯაზი

2

19.00 მულტფილმი 19.30 ორატორი 19.40 სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** 20.30 "ახლო ხედი" 21.00 დოკ. ფილმი 21.30 ჯემი 22.00 მხ. ფილმი **"ჰომერი და ედი"**

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.20 მულტსერიალი 10.50 სერიალი **"ათასწლეული"** 12.00, 15.00 კურიერი 12.20 სიმფსონები 12.45 მხ.ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.00 სერიალი "კოლომბო" 18.00, 00.00 კურიერი 18.20 სერიალი "კოლომბო" 18.45 სერიალი "სახლი ძველ უბანში" 19.15 ჯეოსელის ლატარია 20.05 სერიალი "ჩინელი პოლიციელი" 21.00 **კურიერი ზუთკ** 22.00 **ფსიქო.** მხ.ფ. **"რამპის ჩირაღდნები"** 00.15 მხ.ფ. **"ჩვენ ანგელოზები არ ვართ"** მთ. როლებში რობერტ დე ნირო, შონ პენი 02.15 ღამის ჯაზი

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 08.15 ალსავალი 08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 21.00, 23.55, 00.30 მუსიკა 08.30 მხ. ფილმი **"ანგელოზთა ქალაქი"** 10.20 მხ. ფილმი **"პორტის ახალი ამბები"** 13.10, 18.00, 19.30 მულტფილმი 14.10 დოკ. ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 20.30 ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი 22.30 მხ.ფ. **"ოჯახი გაქირავებით"** 23.00 მხ.ფ. **"ელაპარაკე"** 00.40 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი **"შერკინება"** 15.00 მხ. ფილმი **"მისის დაუტფაიერი"** 17.00 მხ. ფილმი **"კომანდოსი"** 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 19.20 მულტფილმი 21.00 დოკ. ფილმი 22.00 მხ. ფილმი **"უფსკრული"** 00.20 მხ. ფილმი **"მალენა"**

IST

09.15 გამ. მუსათეული 10.00 ტოროლა 11.00 გამ. ინფორმატორი 13.00 ნონსტოპი 16.00 ფილმი კომედია **"მეორე ცხოვრება"** 18.00 ნონსტოპი 19.00 გამ. ინფორმატორი 19.30 ვიდეორადიო 21.00 ქართ. ათეული 21.45 აბა გამოიცანი მიქსი 22.45 კვირის საუკეთესო ლექსები 23.00 აბა გამოიცანი მიქსი 00.00 ტელედისკოთეკა 01.45 ფილმი ბრავო **"მონანიების დღე"** 03.45 პაუზის გარეშე

10.00 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 10.45, 11.50, 12.50, 14.45, 17.30, 19.00, 20.25, 21.45, 23.45 მუსიკა 11.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 12.00 მხ. დეტექტიური სერიალი **"ბენზინი სისხლში"** 13.00 მხ. ფილმი **"ცხოვრება კადრს მიღმა"** 14.50 მხ. ფილმი **"კიდევ ერთი კარგი რამ"** 16.30 დოკ. სერიალი "ველური ბუნება" 63-ე სერია 17.40 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 34-ე სერია 18.30 მულტფილმი "მეფის ასული შაჰრაზადი" 34-ე სერია 19.20 დოკ. ფილმი "ლიონი - ერთი ქალაქის პა-დე-დე" 20.50 დოკ. ფილმი "ეს სანახაობაა" 21.30 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "რეზიდენცია ვიუცბერგში" 22.00 კინოკლუბი ყაზბეგი წარმოგიდგენთ მხ. ფილმებს: 1. **"კარიერა"** ტელ: 77-83-28 2. **"ვიბრაცია"** ტელ: 77-83-29 3. **"პოლონური ქორწინება"** ტელ: 77-83-30 00.00 მხ.ფ. **"დუეტები"** მთ. როლებში მარია ბელო, ანდრე ბრაუერი, გვინეტ პელტროუ

VII არხი

18.20 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები 18.50 მელოდია 19.00 "აჩიკუდა" 19.20 "ბედნიერი ერი" ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით 19.30 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 19.55 "ღამის კაპრიზი" - თემა: ექსტრავაგანტული 21.00 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 21.40 "კინოკლუბი " - **"იმოქმედე დაო"** ა.შ.შ. 1998 წელი. კომედია. რეჟ. ემილ არდოლინო. მთ. როლში: ვუპი გოლდბერგი. 23.20 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 00.00 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" -ესპანეთის ჩემპიონატი.

## კვირა 29 დეკემბერი

08.00 "მოამბე" 08.15 მხ. ფილმი **"შტორმის შემდეგ"** 10.00 დილის პაემანი 11.05 "ამბები ჩვენზე" 11.35 მოგზაურობა სასიტყვეთში 12.05 "სპა" 12.35 "პრეს-სტუდია" 13.25 მოსკოვი-თბილისი 13.55 ღამის ჯაზი 14.25 არათბილისური ამბები 15.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე 15.20 კომპოზიტორ ლალი საყვარელიძის საიუბილეო საღამო 17.05 "საკვირაო გამოფენა" 17.15 მულტსერიალი "პრინცესა ნერი" 17.40 ეძიე ქალი 18.00 ტაიმ-აუტი 18.20 ჩემპიონი 18.55 ეკოდაიჯესტი 19.25 ჩვენი მისამართია 20.00 ტაიმ-აუტი 20.55 "ამბობენ" 21.25 ტელესერიალი **"ქალთა სავანე"** მე-4 სერია 22.15 კონცერტი (პივი ელისი) 23.35 სატ. კინოდარბაზი "ქორწილი" 00.00 ტაიმ-აუტი 00.30 მხ. ფილმი **"ლამაზმანები"**

2

19.00 მხიარული კარუსელი 19.30 დიზაინი 19.50 მრავალსახეობა 20.30 ვიცი 21.00 ტალანტები და თაყვანისმცემლები 21.50 ვარსკვლავები გვამცნობენ 22.00 შვიდეული 23.00 მხ. ფილმი **"სიყვარულის ბუდე ქალი"**

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.20 მულტსერიალი 10.50 სერიალი **"ათასწლეული"** 11.50 სიმფსონები 12.50 მხ.ფილმი 14.35 ველური ბუნება 15.05 მხ. ფილმი 17.00 სერიალი "კოლომბო" 18.00, 21.00, 23.40 კურიერი 18.20 სერიალი "კოლომბო" 18.50 ველური ბუნება 19.30 სერიალი "სახლი ძველ უბანში" 20.00 სერიალი "ჩინელი პოლიციელი" 21.25 ჩვენი ეზო 21.45 "ჯეოსელის კინოკლუბი" **"ხანმოკლე შეჯახება"** 8 77 45-79-25 სოფი ლორენი, რიჩარდ ბარტონი, **"მაწანწალები მზე"** 8 77 45-79-26 ჟან გაბენი, **"ურჩხული"** 8 77 45-79-27 ჟან-პოლ ბელმონდო, რეკელ უელჩი 23.50 მხ.ფ. **"ისთვიქელი ალქაჯები"** მთ. როლებში ჯეკ ნიკოლსონი, სუზან სარანდონი 02.00 კლასიკა.

08.00 ახალი ამბები 08.15 ანონსი, მულტფილმი 08.20 ალსავალი 08.30 მხ. ფილმი **"ოჯახი გაქირავებით"** 10.15, 12.30, 21.55, 00.45 მუსიკა 10.20 მხ.ფ. **"ელაპარაკე"** 13.00 გადაცემა - მურადა (განმეორებით) 20.00 მხ.ფ. **"შიშის ქალაქი"** 22.15 მხ.ფ. **"ულის ოქრო"** 00.50 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი **"უფსკრული"** 14.00 მხ. ფილმი **"სასიყვარულო ისტორია"** 15.45 მხ. ფილმი **"ჩიხში"** 17.30 მხ. ფილმი **"განდიდების მანია"** 19.15 ინდ. მხ. ფილმი 22.00 მხ. ფილმი **"განგსტერები"** 00.20 მხ. ფილმი **"ეშმაკისეული"**

IST

09.15 გამ. მუსათეული 10.00 ტოროლა 11.00 გამ. ინფაქტი 13.00 გამ. პოლიტპაპარაცი 13.15 პაუზის გარეშე 16.00 ფილმი კომედია **"მეცეკვე"** 18.00 ნონსტოპი 19.00 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 ინგლისური მუსათეული 21.45 აბა გამოიცანი მელოდია 22.45 კვირის საუკეთესო ვიდეოხულიგნები 23.00 ინფორმატორი 23.30 არახარჯულმო ათეული 00.00 ფილმი ბრავო **"ამელი"** 01.45 ფილმი ღამურა **"სამუდამოდ"** 03.45 პაუზის გარეშე

10.00 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 10.45, 12.45, 13.45, 15.50, 19.10, 22.15, 00.15 მუსიკა 11.00 მხ. ფილმი **"კარიერა"** 13.00 მულტფილმი "ქრისტეშობის ანგელოზი" 14.00 მხ. ფილმი **"დუეტები"** 16.00 მხ. ფილმი **"სექსის შემდეგ"** 17.30 დოკ. ფილმი "ეს ცეკვაა" 19.30 "მსოფლიო ფეხბურთი" 20.00 ქართ. მხ. ფილმი **"ხარება და გოგია"** 22.30 მხ. ფილმი **"ნულოვანი თავი"** მთ. როლებში დილან უოლში, პენელოპა ენ მილერი 00.30 მხ. ფილმი **"დედამიწა მინუს ნული"** მთ. როლებში პეტ მორიტა, ბროქ ფირსი

VII არხი

18.20 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 18.50 "აჩიკუდა" 19.10 "ავტოტრეკინგი" 20.50 "კინოკლუბი " - **"მოუხელთებელი თაღლითები"** ა.შ.შ. 1994 წელი. კომედია. რეჟ. რობერტ იანგი. მთ.როლში: რიკ მორანისი. 22.15 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები 22.55 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა 23.15 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 23.40 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" -იტალიის ჩემპიონატი. 01.30 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა

## ეკოლოგია

# „ზოგჯერ მძნელის ავისა"...

## საახალწლოდ, ასე უმოწყალოდ, ნუ გავანადგურებთ ნაძვისხეებს!

ბოლოდროინდელმა ეკონომიკურმა კრიზისმა დედაბუნება საგრძნობლად დააზარალა. ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის სიძვირისა თუ ქვანახშირის უქონლობის გამო ტყის საფარს საფრთხე შეექმნა. საფრთხე შეექმნა მრავალწლოვანი და უნიკალური მცენარეების არსებობას, ქარსაცავებს, კორომებს... ამ ბოლო წლებში ბუნებაში მომძლავრდა კატაკლიზმები: წყალდიდობა, მეწყერი, ღვარცოფი... ჩამორეცხვების შედეგად შეიცვალა ნიადაგის შემადგენლობა, სხვადასხვა მიზეზთა გამო ფერხდება და ნადგურდება მცენარეთა აღდგენა-აღმოცენება, ყოველწლიურად იზრდება საფარსმოკლებული გაშიშვლებული ფართობები. დროთა განმავლობაში ბუნებაში ნელ-ნელა ირღვევა ეკოლოგიური წონასწორობა, რასაც ბუნებრივი კლიმატის შეცვლა მოსდევს. ადამიანი იმკის ბუნებისადმი თავისივე დაუდევრობით გამოწვეულ სავალალო შედეგს. ბუნებრივ საფარს კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს; ეს, თითქოს, იცის ადამიანმა, მაგრამ ბუნებას იგი კვლავ და კვლავ უდიერად ეპყრობა.

საქართველოში ტყის უნებართვო ჩეხვა-განადგურებით გამოწვეულ ზარალს, საახალწლოდ, წიწვოვანი მცენარეების ზარალიც ემატება. მათ ზრდა-განვითარებისათვის კი ათეული წლებია საჭირო. ცნობილია, 1,5-3 მეტრამდე სიმაღლის ნაძვს ზრდა-განვითარებისთვის 15-30 წელი სჭირდება. ყოველწლიურად კი უამრავი ნაძვი, სოჭი, ფიჭვი, კრიპტომერია თუ კედარი ნადგურდება.

აი, როგორ ახასიათებს აღმოსავლეთის ნაძვის ბუნებას **აკადემიკოსი ვასილ გულისაშვილი:** „ჩვენი, აღმოსავლეთის ნაძვი ჩრდილის ჯიშია. მისი მოზარდი მეტად მგრძნობიარეა; აღმონაცენი ადვილად ზიანდება; ნაძვის შეკრული ვარჯი ხელს უწყობს მის ქარქცევადობას. ვარჯი აკავებს ჰაერის მასების დიდ რაოდენობას და მათ ზეწოლას განიცდის".



შარშან, ახალი წლის წინა დღეებში, წიწვოვანთა უამრავი განადგურების მოწმენი გავხდით. წელში გადახერხილი ხეებით თუ კენწეროებით, ახალგაზრდა ნარგავებით მოიფინა თბილისის ქუჩები. ბოლოს, ღირსებააყრილი, გამოუსადეგარი, პატრონისაგან მიტოვებული, ძირს დაცემული ტოტები უდიერად ეყარა ქუჩების კუთხე-კუნჭულებში.

აი, რა განაცხადა ჩვენთან საუბარში სამთო-მეტყევეობის ინსტიტუტის დირექტორმა, **აკადემიკოსმა გიორგი გიგაურმა:**

„წიწვოვანთა ასეთი განადგურება ყოვლად დაუშვებელია, ჩვენში გავრცელებული აღმოსავლეთის ნაძვი ძვირფასი მერქნიანი სახეობაა. ბოლო მონაცემებით მისი ფართობი საქართველოში 128 ათასი ჰექტარია. საერთოდ, იგი გავრცელებულია როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში. ჩვენი უდიერი, მტაცებლური დამოკიდებულებით ხშირად ეს ხე დაუდევრად იჩეხება და ნადგურდება. გამოხშირვაც კი, ზოგჯერ, არ ექვემდებარება იმ წესებსა და მეთოდებს, რომელიც შემუშავებულია მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკოს მეტყევეთა გამოცდილებით, მართალია, მას აღმოცენება კარგი აქვს, მაგრამ ნაყარი ძალზე სათუთია, მცენარე ძალზე მგრძნობიარე და ფაქიზი სახეობაა, იგი იმდენად ფაქიზია, რომ 50-60 წლის მანძილზე არაერთხელ დაემორჩილა ხის მავნებლების ზემოქმედებას. აღმოსავლეთის ნაძვი ნელა იზრდება. ჩვეულებრივ ნაძვნართა ზომიერი ტყე რომ შეიქმნას, 100 წელია საჭირო. ამიტომ მისი მოჭრა კანონით იკრძალება; მაგრამ დღევანდელ ვითარებაში ძალზე ჭირს მისი დაცვა. განსაკუთრებით ახალი წლის პერიოდში. საერთოდ ამ დროს უამრავი წიწვოვანი ნადგურდება, რაც ყოვლად დაუშვებელია, — გვითხრა ბოლოს ბატონმა გიორგიმ.

შარშან, როცა წიწვოვანებით მოფენილ ქალაქში გავიარეთ, არავინ არ ფიქრობდა იმას, რომ მათთვის ხელი შეეშალათ. ბევრს ნებართვის ცნობაც კი ჰქონდათ. ისინი ამბობდნენ, რომ ჰყიდნენ სპეციალურ საკუთარ ნაკვეთზე გაშენებულ წიწვოვან მცენარეებს.

— ნაძვის ბიზნესია, ბატონო, ჩვენი საკუთრებაა, კერძოა, რასაც გავყიდი კარგია, ოჯახს წაადგება, რასაც არა, გადავყრი, ჩემი მოწეულია და... რაო მერე, ვინ დამიმლის.. მაგრამ ამ დალოცვილთ, ნუთუ არ ენანებოდათ ახალნაყარი, სათუთად გაზრდილი მცენარის ხელყოფა?! და თუ ასეთი მეურნეობა მართლაც აქვთ, უფიქრიათ კი ოდესმე თუნდაც 10-20 ნერგი დაერგოთ ადამიანის ხელით გაჩანაგებულ, მოტიტვლებულ ადგილებზე?

ბუნება ხომ მართლაც მბრძანებელია და იგი ადამიანებისაგან კეთილად მოქცევას ითხოვს.

დედაბუნების აღდგენა, მცენარეული საფარის დაცვა და განახლება მომავალში საყოველთაო საქმედ თუ იქცევა, არც ჩვენ გაგვიჭირდება და არც ბუნებას.

**თამაზ ავთანდილაშვილი,**
ბუნების დაცვის რესპუბლიკური გამგეობის უფროსი ინსპექტორი;
**ცისანა სიხარულიძე,**
„სრ" კორ.

**სურათზე:** ფიჭვნარის ქარსაფარი გორის რაიონში.


# განცხადება

სს „ზესტაფონის ფეროშენადნობთა საწარმო" აცხადებს წინა საკვალიფიკაციო კონკურსს იურიდიული კომპანიების (ადვოკატთა) შერჩევის მიზნით.

სს „ზესტაფონის ფეროშენადნობთა საწარმოს" წინააღმდეგ მიმდინარე წელს აღიძრა საარბიტრაჟო დავა. ამასთან დაკავშირებით საწარმოს ესაჭიროება მაღალკვალიფიციური იურიდიული მომსახურება. საარბიტრაჟო პროცესი გაიმართება ლონდონში. დაინტერესებული ადვოკატები სასურველია აკმაყოფილებდნენ შემდეგ ძირითად პირობებს:

1. მინიმუმ 5-წლიანი საადვოკატო პრაქტიკა (სამოქალაქო დავების განხილვის კუთხით);
2. საერთაშორისო საარბიტრაჟო დავებში მონაწილეობის გამოცდილება;
3. ინგლისური კანონმდებლობის ცოდნა;
4. საარბიტრაჟო პროცესის ინგლისურ ენაზე წარმართვის შესაძლებლობა;
5. სამეურნეო-საფინანსო საქმეში გამოცდილება.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ ზემოაღნიშნული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში 2003 წლის 6 იანვრამდე წარმოადგინონ წერილობითი ინფორმაცია კომისიის მდივნის თამარ კვასხვაძის სახელზე შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო — ჭავჭავაძის გამზირი №64.

ტელ: 29-30-91.

გ. შარეიძე,
სს „ფეროს" გენერალური დირექტორი.



## საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადება

თანახმად, „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 26-ე მუხლისა, ვაქვეყნებთ ერთ პირთან მოლაპარაკების მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით თავდაცვის სამინისტროს მთავარი სამეურნეო სამმართველოს მიერ მომწოდებელთან ა. წ. 29 ნოემბერს გაფორმებულ ხელშეკრულებას:

| ხელშეკრულების № და გაფორმების თარიღი | პროდუქციის დასახელება | საერთო ღირ. ლარებში |
|---|---|---|
| №02/12; 29.11.02 წ. | საავიაციო ზეთი „ამგ-10" | 25 220. |



მიმდინარეობს შპს „თბილწყალკანალრემმშენის" ლიკვიდაცია. დაინტერესებულმა პირებმა მიაკითხონ მისამართზე: ქავთარაძის ქ. №5, ტელ. 39-04-59.

საწარმოს ადმინისტრაცია.


გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თაობა

ახლახან კალიფორნიის შტატის პეპერდაინის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი პოლიტიკის ფაკულტეტის დეკანი ჯეიმს ვილბურნი საქართველოს პრეზიდენტს სწერდა:

*ბატონო პრეზიდენტო, – ჩემთვის დიდი პატივია მალალი მეფასებებით წარმოგიდგინოთ პერსპექტიული ქართველი ახალგაზრდა, ბატონი დავით ძიძიკაშვილი. წილად მხვდა პატივი, მას ჯერ კიდევ ორი წლის წინათ, პეპერდაინის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი პოლიტიკის ფაკულტეტის ასპირანტად ყოფნისას გავცნობოდი. მაშინ მე ვმოღვაწეობდი როგორც ამ ფაკულტეტის დეკანი.*

# დავით ძიძიკაშვილი — კიდევ ერთი საიმედო „ამერიკელი ქართველი“

*დღეს კი, როგორც საზოგადოებრივი პოლიტიკის უნივერსიტეტის ხელმძღვანელი, კიდევ უფრო ახლოს გავეცანი დათო ძიძიკაშვილს და მივიჩნევ მას უჩვეულო ტალანტის მქონე არაორდინარული, ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებულ პიროვნებად. მისი აკადემიური მოსწრება სანიმუშოა და ყველა, ვინც კი მას იცნობს, გაოცებულია საკუთარი ქვეყნის – ჩვენი მეგობარი საქართველოს მომავლისთვის გამოჩენილი თავდადებით, მშობლიური ქვეყნის მემკვიდრეობის მიმართ გამორჩეული მზრუნველობით. ბატონმა დავით ძიძიკაშვილმა განსაკუთრებული ინიციატივა და პასუხისმგებლობა გამოავლინა ახალი პროგრამების ძიების საქმეში. ჩვენთან სწავლისა და მუშაობის პერიოდში მან დაგვიდასტურა, რომ უკვე ღრმა გამოცდილება აქვს არა ოდენ ბიზნესის სფეროში, არამედ ინტელექტუალური ცოდნაც იმ უდიდეს გლობალურ საკითხებში, რომელნიც არა მხოლოდ დათოს მშობლიურ საქართველოს, არამედ საერთაშორისო სისტემებს, ორგანიზაციებს და საერთაშორისო ურთიერთობებს შეეხება. პეპერდაინის უნივერსიტეტში ის იმთავითვე გამოირჩეოდა როგორც ბრწყინვალე სტუდენტი. მან აქ ეკონომიკის ანალიზის, ახლებური კვლევის მეთოდების, პოლიტიკური სისტემის საფუძვლების, საერთაშორისო ურთიერთობების, საზოგადოებრივი პოლიტიკის ეთიკური განზომილებების სფეროში უმაღლესი სასწავლო კურსი გაიარა.*

*ჩემთვის დიდი პატივია, ბატონო პრეზიდენტო, პირადად თქვენ და მთელ საქართველოს დავით ძიძიკაშვილი წარმოგიდგინოთ, როგორც საიმედო მომავლის მქონე ახალგაზრდა, ნამდვილი ლიდერის თვისებებით გამორჩეული ჭაბუკი. მას ვახასიათებთ როგორც დიდი შესაძლებლობების მქონე ადამიანს და მომავალშიც მისი წარმატების დიდ იმედს ვიტოვებთ. გულწრფელად, ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲯᲔᲘᲛᲡ ᲕᲘᲚᲑᲣᲠᲜᲘ.*

სხვისა არ ვიცი, მაგრამ ამ წერილმა, კარს მომდგარი ახალი წლის წინა დღეებში, ისე გამითბო გული, თითქოს დათო ჩემი შვილი ან ძმისშვილი ყოფილიყოს. არადა, ჯერჯერობით, პირადად, საერთოდ არ ვიცნობ. თუმცალა, რატომ არ ვიცნობ? – ორიოდე წლის წინათ განა ჩვენი გაზეთი არ იუწყებოდა, რომ ბოსტონის უნივერსიტეტის საერთაშორისო ფაკულტეტის სტუდენტმა დავით ძიძიკაშვილმა, საქართველოს შესახებ ინფორმაციის მსოფლიო მასშტაბით გავრცელება განიზრახა მიზნად და ინტერნეტის საიტზე ინგლისურენოვანი გაზეთი „თბილისი თაიმსი“ ჩამოაყალიბაო. ამ გაზეთში მან მრავალი სტატია მიუძღვნა ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ პრობლემებს, დღევანდელობასა და წარსულს. დათო იმით იყო გულნატკენი, რომ ამერიკაში თითქმის არავინ იცნობდა საქართველოს. თუმცალა, გულის სიღრმეში მაინც უხაროდა, რომ მის ახალ სამეგობროში, 20 წლის ამერიკელებიც კი, ხანდახან გულწრფელად ამბობდნენ: ააა, საქართველო ხომ შევარდნაძის ქვეყანაა, – ვიცით, ვიცით!



სხვათა შორის, თავის კომპიუტერულ გაზეთში დათომ ერთი სტატია მაინც მიუძღვნა საქართველოს პრეზიდენტს და ერთობ დამაჯერებელი, ჯანსაღი, ისტორიული ფაქტებით გამდიდრებული ნარკვევი შესთავაზა ინტერნეტის მილიონობით მოყვარულს. აი, რას წერდა დათო ძიძიკაშვილი თავის სტატიაში „ცივი ომის რაინდი“.

„მეამაყება და ვამბობ, რომ საქართველოს ჰყავს ღირსეული პრეზიდენტი, ბრწყინვალე პოლიტიკოსი ედუარდ შევარდნაძე. მან გააერთიანა გერმანია, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს დამოუკიდებლობა მოუტანა, დაასრულა ცივი ომი. მრავალი ადამიანის გონებიდან ატომური ომის საშიშროებაც კი გააქრო. სწორედ შევარდნაძემ აღირსა საქართველოს სტაბილურობა და თავისი განუზომელი ავტორიტეტით, ქვეყანას მსოფლიო თანამეგობრობაში საკუთარი ადგილი დაუმკვიდრა“.

როგორ არ ჰგავს გონიერი ახალგაზრდა კაცი დათო ძიძიკაშვილი იმ „ოკეანისგაღმელ“ რეფორმატორებს, რომლებიც შევარდნაძემ დააფრთიანა, გზაზე დააყენა და ახლა, მსუნაგი მგლებივით, მასვე უღრენენ. რა თქმა უნდა, ვერაფერს აკლებენ (ვერც ხვალ დააკლებენ, მაგრამ ისეთი პირი უჩანს, მანამდე არ გაჩერდებიან, ვიდრე უზნეობის, უსინდისობის ჭაობში არ ჩაიხრჩობიან. ეს დღეც მალე დადგება.

ინტერნეტ-გაზეთმა „თბილისი თაიმსი“ თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულა. ახლა ის უკვე აღარ გამოდის. დათო თვლის, რომ ასეთი გაზეთი მის შესაძლებლობებს, უკვე, ვეღარ აკმაყოფილებს. ამერიკაში მას სოლიდურ სამსახურსაც სთავაზობენ, ოღონდაც, ვერ გადაუწყვეტია, რამდენიმე წლით დარჩეს თუ მის საფიცარ სამშობლოს მოამუროს... აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ვაშინგტონის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე სწავლობს მისი უმცროსი ძმა ოთარ ძიძიკაშვილი. ისიც წარჩინებული სტუდენტია, ოღონდაც, უფროს ძმაზე მეტად სტანჯავს სამშობლოს ნოსტალგია და ერთი სული აქვს, დათოსთან ერთად, როდის დაბრუნდება საქართველოში.

ალბათ, მიაქციეთ ყურადღება ბატონ ჯეიმს ვილბურნის ფრაზას: ვინც კი მას (დათოს) იცნობს, გაოცებულია საკუთარი ქვეყნის მომავლისთვის გამოჩენილი თავდადებით, მშობლიური ქვეყნის მემკვიდრეობის მიმართ გამორჩეული მზრუნველობით.

მაინც, რაში გამოიხატება 22-23 წლის ბიჭის თავდადება საკუთარი ქვეყნის მიმართ იქ, ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით? – დათო ამერიკაში „ოქროს თევზის“ საძებრად არ წასულა, ის არც უფლისწული იყო და არც ყოვლისშემძლე მშობლების ნებიერი. უბრალო ოჯახის შვილმა კარგად ისწავლა (სწავლობს), იღვაწა და, რაც შეეძლო, მისი რიგითი, ძირძველი გვარი და ჯიში წარმოაჩინა, საქართველოს თავისებურ დესპანად იქცა და, სადაც ხელი მიუწვდა, სწორი, ჯანსაღი, ასე საჭირო ინფორმაციები გაავრცელა... თანაც, თავისი ზნეკეთილობით და მონდომებით, ყველას თავი შეაყვარა.

მანამდე კი, მან თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლა დაამთავრა. მეათე კლასში იყო, როცა ურთულეს კონკურსში გაიმარჯვა და ერთი წელიწადი კალიფორნიაში გაგზავნეს სასწავლებლად. სკოლის დამთავრების შემდეგ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაირიცხა საერთაშორისო სამართლის სპეციალობაზე. მეორე კურსზე სწავლისას, ისევ კონკურსის წესით, ბოსტონის უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა. ბოსტონის უნივერსიტეტი წითელ დიპლომზე დაამთავრა. მაგისტრატურაში ჩასარიცხად 5000 კონკურსანტი მონაწილეობდა. გაიმარჯვა მხოლოდ 22-მა ახალგაზრდამ, მათ შორის დავით ძიძიკაშვილიც იყო. ის ამერიკაში ასე პრესტიჟული პეპერდაინის უნივერსიტეტის ყველაზე უმცროსი მსმენელი-მაგისტრანტი გახდა. სახელმწიფოს მართვა, ეკონომიკის მენეჯმენტი და სამართალი, – ასე ჰქვია სპეციალობას, რომელსაც დათო ეუფლება. ამერიკის უნივერსიტეტებში ძალიან ცოტას თუ უხდიან სტიპენდიას. დათო ის უცხოელია, რომელიც უნივერსიტეტის ფონდიდან იმდენ სტიპენდიას იღებს, თითქმის ყველაფრისთვის ჰყოფნის და მშობლებს არც აწუხებს.

ამას წინათ, დათო ძიძიკაშვილი თავმჯდომარეობდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციას, რომელშიც 400 საუკეთესო სტუდენტი მონაწილეობდა. აქ მან კიდევ ერთხელ წარმოაჩინა საქართველოს ინტერესები.

გაივლის ცოტა ხანი და ძმები ძიძიკაშვილები თავისუფალ საქართველოში დაბრუნდებიან. მათ მშვენივრად იციან, რა და როგორ უნდა აკეთონ, როგორ იტვირთონ მშობლების – ალა ფორჩხიძისა და გელა ძიძიკაშვილის კარგი შვილობა, საფიცარი სამშობლოს, საქართველოს უანგარო სამსახური.

გვიმრავლოს! მშვიდობიან ახალ წელიწადს გილოცავთ ძიძიკაშვილებო!

**ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲫᲝᲑᲣᲚᲘᲐ.**

## კრებული

# „ანდერძს ვტოვებ“

**ᲛᲐᲛᲘᲐ ᲕᲐᲠᲨᲐᲜᲘᲫᲘᲡ უკვე პირველმა პოეტურმა გამოცდილებამ, რომელიც გასული საუკუნის 30-იან წლებს განეკუთვნება, პოეზიის დამფასებელთა ყურადღება მიიპყრო. მის პირველ კრებულს დიდი აღფრთოვანებით გამოეხმაურა იოსებ გრიშაშვილი, რომელმაც დიდად შეაფასა ახალგაზრდა პოეტის ლირიზმი და ლექსის სიღრმე.**

ლირიკული პოეზია განსაკუთრებული განწყობილება და თავისებური სულია. მათი ხელოვნურად შექმნა ან წარმოსახვა არ შეიძლება. ეს ან უნდა გქონდეს, ანდა არა. მამია ვარშანიძის პოეზია უწინარეს ყოვლისა, იმით გამოირჩევა, რომ მასში არაფერია მოგონილი, ხელოვნური, ყველაფერი ბუნებრივად ჟღერს. ეს არის მუდამ სულის გამოძახილი, რომელიც უშუალოდ პოულობს გზას მკითხველის გულისაკენ.

გულწრფელობა ნიჭიერი ლირიკის თვისებაა. მამია ვარშანიძე მუდამ გულწრფელი იყო. გულწრფელობა მაღალი მოქალაქეობრიობისა და ვაჟკაცობის დამახასიათებელია. მამია ვარშანიძე ნამდვილი მოქალაქე და პატრიოტი იყო. აბა, ლირიკა, რა ლირიკაა, თუ მას კაეშანი არ ახლავს. მაგრამ მამია ვარშანიძის პოეტური კაეშანი ნათელია, სულს კი ძრავს, მაგრამ მას ამშვიდებს მშვიდი, მიწიერი სასიხარულო განცდანი. მაგრამ იგი შეიძლება პათეტიკურიც იყოს. და მაშინ მისი სიმი მძლავრ ჟღერადობას იძენს, მოწმობს, თუ რა ძლიერია შემოქმედი. ბევრი რამ თქვა და ბევრიც გამოხატა პოეტმა გარდაცვალებამდეც. მას არ დაუკარგავს უნარი მუდამ გაოცებული ყოფილიყო გარემოთი, ზუსტად შეენიშნა ფერთა ცვალებადობა, განწყობილებათა ელფერი.

ოსტატობა წლებთან ერთად მოდის. და ვხედავთ, თუ როგორ ვაჟკაცდებოდა თანდათანობით მამია ვარშანიძის ლექსი, როგორ იხვეწებოდა სულ უფრო და, ამასთან გამომსახველი ხდებოდა, როგორ დაუღალავად სრულყოფდა ასევე თავის ღვთით ბოძებულ ნიჭს. ეს თავისი ნიჭი მთლიანად მიუძღვნა საქართველოს, თავის კუთხეს – აჭარას. მამია ვარშანიძე იყო მშობლიური აჭარის ნამდვილი მომღერალი და საყვარელ მხარეს იმავე ღრმა და გულწრფელი გრძნობებით უპასუხებდა. ეს არაერთხელ აღტაცებით აღუნიშნავს მის მეგობარს გიორგი ლეონიძეს.

ნამდვილი პოეზია არ ბერდება, მოდიდან არ გამოდის, არც დავიწყების ფერფლი ეყრება. დროით მოწმდება ნებისმიერი ხელოვნება, უფრო მეტად კი ლირიკული პოეზია. მამია ვარშანიძის შემოქმედებამ გაუძლო დროის შემოწმებას. მისი ლექსი ისევ ისე ჟღერს – გულწრფელად, ისევ ისე აფორიაქებს სულს. პოეტს ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს. მის შემოქმედებაში ისინი კვლავინდებურად პოულობენ გონებისა და გულის საზრდოს.

ლექსთა კრებულში „ანდერძს ვტოვებ“, რომელიც გამომცემლობა „აჭარამ“ გამოუშვა, შევიდა მამია ვარშანიძის პოეზიის საუკეთესო ნიმუშები, რომლებიც გასული საუკუნის 30-80-იან წლებს განეკუთვნება. 60 წელიწადი გაატარა პოეზიისა და სამშობლოს სამსახურში. მისი ახლობლებისა და დამფასებლების მიერ გამოშვებული ეს კრებული დიდებული საჩუქარია ჭეშმარიტი პოეზიის დამფასებლებისათვის.

**ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ.**

## მოვლენის შემდეგ



# ვარიანში — ახლობლებთან

უკვე გაუწყეთ, რომ საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა, სამოყვარულო კრივში მსოფლიო ჩემპიონმა, ვარიანელმა პროფესიონალმა მოკრივემ გიორგი კანდელაკმა 21 დეკემბერს სანკტ-პეტერბურგის რინგზე თორმეტრაუნდიან ბრძოლაში ტექნიკური ნოკაუტით სძლია რუსეთელ სერგეი ვასილიევს და მსოფლიო კრივის კავშირის ვერსიით (MBU) ჩემპიონობა მოიპოვა.

თბილისში დაბრუნებულ გიორგი კანდელაკს „საქართველოს რესპუბლიკის“ სახელით მივულოცეთ გამარჯვება და ექსკლუზიურ ინტერვიუზეც დავითანხმეთ.

ამჟამად გიორგი ვარიანშია. მალე იგი თბილისში ჩამოვა და შეპირებული ინტერვიუც მაშინ შედგება.

თვალი ადევნეთ ჩვენს გაზეთს. ამ დღეებში გამოვაქვეყნებთ ინტერვიუს გიორგი კანდელაკთან.

**ᲕᲐᲟᲐ ᲜᲝᲡᲘᲠᲔᲚᲘ.**

## ოფიციალური ინფორმაცია

### ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚ-ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცდა დებულება სპორტის მწვრთნელ-მასწავლებელთა საკვალიფიკაციო კატეგორიების დამტკიცებისა და მინიჭების შესახებ. ბრძანებულების შესრულების კონტროლს განახორციელებს საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ი. მეძმარიაშვილი.

**ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ.**

## წლის ლაურეატობის კანდიდატები

**გაისად საქართველოს მრავალი სპორტსმენი იბრძოლებს ათენის 2004 წლის ოლიმპიური თამაშების საგზურის მოსაპოვებლად. პრეტენდენტთა შორის იქნება თავისუფალი სტილით მოჭიდავე**

# რევაზ მინდორაშვილი



**ᲡᲐᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝ ᲑᲐᲠᲐᲗᲘ**

**დაიბადა 1976 წლის 1 ივლისს გურჯაანში. დაამთავრა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია. უცოლშვილოა.**

**ჭიდაობა 1990 წელს დაიწყო დავით გონაშვილის ხელმძღვანელობით. 1994 წლიდან მარლენ ოსეფაშვილთან ვარჯიშობს, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორია. სამჯერ იყო საქართველოს ჩემპიონი (2000-2002 წ. წ.), ამდენჯერვე – ვერცხლის მედლის მფლობელი. შარშან მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე მე-7 ადგილებზე გავიდა. 2002 წლის ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.**

**1. წლევანდელი სეზონი რით იყო თქვენთვის მნიშვნელოვანი?**

**2. სამომავლოდ რას აპირებთ?**

● ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, ჩვენთან წონითი კატეგორიები შეიცვალა. იძულებული გავხდი, 76-დან 84 კილოგრამში გადმომენაცვლა. თებერვალში ეროვნული ჩემპიონატი მოვიგე, მერე ერთ ტურნირშიც გავიმარჯვე. მაისში ბაქომ ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა. ქვეჯგუფში ზედიზედ სამ მეტოქეს ვძლიე. ნახევარფინალში ევროპის პრიზიორ მუსაევთან დავმარცხდი, რომელიც ბელორუსის სპორტულ ღირსებას იცავს.

მესამე ადგილისთვის ევროპის ჩემპიონს და სიდნეის ოლიმპიადის პრიზიორს, მაკედონიაში მცხოვრებ დაღესტნელ იბრაგიმოვს უნდა შევხვედროდი, მაგრამ იგი ტრავმის გამო ხალიჩაზე ვერ გამოვიდა და ბრინჯაოს მედალი მე მერგო.

მსოფლიო ჩემპიონატისთვისაც კარგად მოვემზადე. ირანში ზედიზედ ორი ორთაბრძოლა მოვიგე. მერე კუბელ მსოფლიო ჩემპიონ რომეროსთან წავაგე 2:3. საბოლოოდ VI ადგილი დავიკავე. საინტერესოა, რომ ჩემს წონაში, სიდნეის ოლიმპიადის მსგავსად, ფინალური შეხვედრა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ადამ საიტიევმა ისევ რომეროს მოუგო და მეორედ მოიპოვა მსოფლიოში უძლიერესის სახელი.

● ჩემი ოცნებაა, ათენის ოლიმპიურ თამაშებში გამოვიდე. საამისოდ კი ეროვნულ ნაკრებში პოზიციების გამაგრებაა საჭირო. გაისად 1-2 თებერვალს თავისუფალ ჭიდაობაში ეროვნული ჩემპიონატი გაიმართება. ვეცდები, სასურველ შედეგს მივაღწიო და ნაკრებში ადგილი დავიმკვიდრო. მაშინ 2003 წლის ბატალიებშიც ვიასპარეზებ, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსოფლიო თასის გათამაშება, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატები. ძალ-ღონეს არ დავიშურებ, რათა ქომაგები არ გავაწბილო და 2004 წელს ელადის საგზურით შევხვდე.

ესაუბრა,
**ᲕᲐᲟᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ.**

## ვანდალიზმი

# სინდისი — კილონახევარ სპილენძად

საქართველოს სპორტსმენთა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით ოქტომბრის დასაწყისში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შენობის ფასადზე კეთილმოეწყო საქართველოს ოლიმპირ ჩემპიონთა მემორიალური სტენდი.

გუშინ ღამით „ადამიანებმა“, რომლებსაც არც ეროვნება აქვთ და არც სამშობლო, სტენდიდან ჩამოგლიჯეს სპილენძის რვა რგოლი, რომელთა საერთო წონა კილო-ნახევარს არ აღემატება. მეტი დაცემა შეიძლება?

## ბენდელას თასი

# დღეს მეოთხედფინალებია

გუშინ გივი კარტოზიას სახელობის თბილისის სპორტის სასახლეში დასრულდა აფხაზეთის ომში დაღუპული ახალგაზრდა ფეხბურთელის ზაზა ბენდელიანის XI მემორიალის პირველი ეტაპი.



ბენდელას თასი

გაუწყებთ, დასკვნითი შეხვედრების შედეგებს:

**ა ჯგუფი: „ნაძალადევი“ – თემქა 5:5, „კახეთი“ – „დინამო“ 7:3.**

**ბ ჯგუფი: „საბურთალო“ – „თბილისი“ 3:1, „ლოკომოტივი“ – „ჩიხურა“ 4:4.**

**გ ჯგუფი: „მაისი“ – ზოოვეტი 2:0, თსუ – „გორდა“ 6:1.**

ამრიგად, ჯგუფური შეხვედრების შედეგად მეტოქეები მეოთხედფინალში ასე დაწყვილდნენ: **„მაისი“ – „ჩიხურა“** (12 სთ), **თემქა – „თბილისი“** (13 სთ), **„ნაძალადევი“ – ზოოვეტი** (14 სთ.), **„ლოკომოტივი“ – თსუ** (15 სთ.).

აქვე გაუწყებთ, რომ არანაკლებ საინტერესოდ მიმდინარეობს ნორჩ ფეხბურთელთა ტურნირიც. ხვალ ნახევარფინალში ითამაშებენ: „ნორჩი დინამოელი“ – „შევარდენი“, ხობი – „ოლიმპი“.

## სამბო

# წარმატება ბაქოში

**ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ სამბოს ფედერაციის მიწვევით ბაქოში იმყოფებოდა მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი საქართველოს ეროვნული ნაკრები, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ბაქოს ოლიმპიურ სპორტის სასახლეში გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში. რამდენიმე ქვეყნის 170 ფალავანთან ჭიდილში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ოლეგ იაძის 16-მა აღსაზრდელმა სამშობლოში 11 სხვადასხვა სინჯის მედალი ჩამოიტანა.**



**ოქროს მედლები** წილად ხვდათ გორელ ნიკო ბიბილაშვილს (82 კგ), რუსთაველ გიორგი შუბითიძეს (90 კგ), მცხეთელ დავით ლილუაშვილს (100 კგ) და თბილისელ მძიმეწონოსანს ზვიად წიკლაურს. **ვერცხლის ჯილდოები** მიიღეს საგარეჯოელმა თემურ მუზარიაშვილმა (57 კგ), კასპელებმა გიორგი მერებაშვილმა (68 კგ) და ზურაბ მუზაშვილმა (82 კგ), რუსთაველმა მიხეილ თურქაძემ (90 კგ). **ბრინჯაოს მედლები** დაისაკუთრეს საგარეჯოელებმა უშანგი კუზანაშვილმა (52 კგ), ნოდარ მჭედლიშვილმა (62 კგ) და მცხეთელმა გიორგი ბაინდურაშვილმა (75 კგ). არაოფიციალურ საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გავიდა აზერბაიჯანის ნაკრები, მეორეზეა საქართველოს, ხოლო მესამეზე რუსეთის ძლიერი გუნდი.

**ᲨᲐᲚᲕᲐ ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲔ.**

## გვეხმაურებიან

# როქი, ზანდრაბეგი და სხვა

**„საქართველოს რესპუბლიკის“ 2002 წლის 24 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა საინტერესო ინტერვიუ საჭადრაკო კომპოზიციის დიდოსტატ დავით გურგენიძესთან. ცნობილმა ეტიუდისტმა მოიყვანა აქამდე უცნობი ამონარიდები XIX საუკუნისდროინდელი საჭადრაკო ჟურნალებიდან – ფრანგული „პალამედიდან“ (1844 წ.) და გერმანული „ანდბუხ დეს შახშპილიდან“ (1874 წ.), რომლებიც ქართულ ჭადრაკს შეეხება.**

პირველ ამონარიდში ნათქვამია, თითქოს იმ დროს (XIX ს. პირველ ნახევარში) საქართველოში, როგორც თურქეთსა და სპარსეთში, არ იყენებდნენ როქს, ესე იგი, არ იცოდნენ მისი არსებობა. მეორე ამონარიდში აღნიშნულია, რომ ლაზიერს ქართველებთან მხედრის სვლის უფლებაც ჰქონდა, ამიტომ ლაზიერს შეეძლო შამათის გამოცხადება მეფის დაუხმარებლად.

ყოველივე ეს სიმართლეს არ შეეფერება. არ დასტურდება ქართული წყაროებით. ვფიქრობ, ეს სტატიების ავტორთა ყურმოკრული ცნობებია.

„პალამედის“ სტატიის ავტორი ცნობილი რუსი მოჭადრაკე კ. იანიში არასოდეს ყოფილა საქართველოში. იგი აღნიშნავს, რომ „საქართველოში საუკეთესო დონის მოთამაშეები არიან, აქაური თავადაზნაურობა სპეციალურად სწავლობს ამ თამაშს“, მაგრამ ერთ გვარსაც არ ასახელებს. ესეც იმას მოწმობს, რომ იანიში სხვის ნათქვამს იმეორებს.

სინამდვილეში, ქართველებმა კარგად იცოდნენ როქის არსებობა. ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში სულხან-საბა ორბელიანი იხსენიებს მას წიგნში „სიტყვის კონა“ (1725 წ.) სახელწოდებით „ზანდრაბეგი“. იგი წერს: „ზანდრაბეგი ჭადრაკის მეფის მხედრულად გადასმაა“. მეფე-პოეტი თეიმურაზ II ლექსში „ყუმარზე ზმა ლექსად თქმული მეფის თეიმურაზ მეორისგან: განჯაფისა, ჭადრაკისა და ნარდისა“ ჩამოთვლილია ყველა ქართული საჭადრაკო ტერმინი. მათ შორის რუხი (როქი).

სიტყვა „როქი“ ქართულ საჭადრაკო ლიტერატურაში დაამკვიდრა პირველი ქართული საჭადრაკო წიგნის – „ჭადრაკის“ ავტორმა, ქართული ენის დიდმა სპეციალისტმა, ჟურნალისტმა მ. საყვარელიძემ. იგი წერს: „ზანდრაბეგი გაუგებარი, მძიმე სიტყვაა, ხოლო რუხი აღმოსავლეთში ეტლს ნიშნავს, ამიტომ ავიღეთ რუსულ და ფრანგულ-გერმანულ სიტყვის („როკ“-იროვკა) ძირი „როქი“, რომელიც სპარსეთში და არაბებში ეტლს ნიშნავს. ამ სიტყვაზე იმიტომ შევჩერდით, რომ იგი უფრო მოსხლეტილი, უფრო მკვეთრია და მოკლე, ვიდრე ზანდრაბეგი“ („ჭადრაკი“, 1926 წ. გვ. 174).

ისიც ყურმოკრულია, რომ საქართველოში ლაზიერი მხედარივითაც მოძრაობს. იქნებ მავანი თამაშობდა კიდეც ასე, მაგრამ იგი არ ყოფილა საყოველთაოდ გავრცელებული. ჩვენ მოგვეპოვება იმდროინდელ (1878 წ.) თბილისში გამართული ა. დადიანისა და ა. სმიტენის მატჩის პარტიების ტექსტები, სადაც ლაზიერი ჩვეულებრივი ლაზიერის სვლებს აკეთებს. ასე რომ, გერმანულ ჟურნალში განზოგადოებულია კერძო შემთხვევა.

ბოლოს უნდა ითქვას, რომ ქართველები ჭადრაკს ვიცნობთ VII-VIII საუკუნეებიდან და ყოველთვის მისი თამაშის წესების დამცველ-შემსრულებლები ვიყავით.

სხვათა შორის, ასევე შეიძლება მავანმა დაგვაბრალოს, რომ XX საუკუნეში ქართველები „ულებიუტო ჭადრაკს“ თამაშობდნენ. ტურნირებიც კი გამართეს სახელოვანი დიდოსტატების – ნ. გაფრინდაშვილის, ბ. გურგენიძის, ზ. აზმაიფარაშვილის და სხვების მონაწილეობით. განა ეს დასაჯერებელია? კასპელი ინჟინრის გ. გურასპაშვილის „გამოგონილი“ ჭადრაკის შესამოწმებლად გამართული ექსპერიმენტული ტურნირები არ ნიშნავს იმას, რომ საერთაშორისო ჭადრაკს არ ვთამაშობდით.

**ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ,**
**საქართველოს ფიზაღზრდისა და სპორტის აკადემიის დოცენტი.**

## ცინცხალი ამბები



**ᲔᲡᲞᲐᲜᲣᲠᲘ გაზეთის „EL Mundo“-ს მკითხველთა ტრადიციული წინასაახალწლო გამოკითხვის შედეგად წლის ყველაზე პოპულარულ ადამიანად დასახელდა საფეხბურთო კლუბ „რეალის“ პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი. გარდა საფეხბურთო მიღწევებისა, პერესი წარმატებით ართმევს თავს ბიზნესს – იგი ერთ-ერთი უმსხვილესი სამშენებლო ფირმის მფლობელია.**



**დღეს კანადაში იწყება 27-ე ახალგაზრდული ჩემპიონატი ჰოკეიში, სადაც მონაწილეობას მიიღებენ 1983 წელს დაბადებული სპორტსმენები. ჩემპიონატი, რომელიც კანადის ორ ქალაქ – სიდნეისა და გალიფაქსში ჩატარდება, მომავალი წლის 5 იანვარს დასრულდება. ორ ჯგუფში მონაწილეობას 10 ქვეყნის ჰოკეისტები მიიღებენ.**

## ყოველი მხრიდან

# მინდორზე რონალდოს ცოლი შეცვლის

**ᲓᲐᲛᲓᲔᲒᲘ ახალი წლის 3 იანვარს არაბთა გაერთიანებული საამიროების დედაქალაქში – აბუ-დაბიში გაიმართება საერთაშორისო მატჩი, მიძღვნილი ამ ქვეყნისათვის მეოცე საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელის ადან ატ-ტალიანისადმი. ერთმანეთს შეხვდებიან მსოფლიოს ნაკრები და იტალიის „იუვენტუსი“.**

ეროვნული ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა ყურის ქვეყნების პირველობაზე, საერთო არაბულ და აზიურ ჩემპიონატებში და გაერთიანებული საამიროების ნაკრები 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ თამაშებამდე მიიყვანა.

მატჩში მონაწილეობაზე მობოდიშებით უარი განაცხადა წლევანდელი წლის პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელმა რონალდომ და მსოფლიო ვარსკვლავების ნაკრებში თავის შემცვლელად თავისივე ცოლი – მილენა დომინგესი დაასახელა.

გაერთიანებული საამიროების ფეხბურთის ფედერაცია დაეთანხმა ამ შეცვლას და სპორტული სენსაციის თვალსაზრისით ის ერთობ ხელსაყრელად მიიჩნია. „კიჭას“ ცოლს, ახლა მადრიდის „ატლეტიკოში“ რომ თამაშობს, კარგად იცნობენ. აბუ-დაბიშიც და დუბაიშიც. ქერათმიანი ლამაზმანი მსოფლიო რეკორდსმენია ქალთა შორის ბურთის ფლობაში (9,15 საათი).

ამბობენ, რომ მილენა მინდორზე მთელ ტაიმს დაჰყოფს.

# ფეხბურთი თუ მულტფილმები

**ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ფეხბურთის „ვარსკვლავმა“ ფრანც ბეკენბაუერმა გაზეთ „Bild“-ში გამოქვეყნებულ ინტერვიუში თქვა, რომ სურს კიდევ ერთი ბავშვის გაჩენა. „მე შვილი მინდა და გოგოზეც არ ვიტყოდი უარს! – სამობაოდ განაცხადა გერმანელი გულშემატკივრების კერპმა.**

შეგახსენებთ, რომ ბეკენბაუერს უკვე ჰყავს 2 წლის ბიჭუნა ჯოუელ მაქსიმილიანი და ბოლო ხანებში უფრო მეტად ფეხბურთზე კი არა, მულტფილმებზე ფიქრობს.



ფრანც ბეკენბაუერი

„მომხიბვლელია, – არ დაუფარავს თავისი სიხარული ყოფილ ფეხბურთელს, ჩემი ბავშვი მუდმივად შემაფუცხუნებს ხოლმე და ახლა ნამდვილი DVD-ექსპერტი ვარ. ჩემი ფავორიტი ვეფხვია „ვინი პუხიდან“ და წიგნია ჯუნგლებზე. ეს ჭეშმარიტად ნამდვილი ფილმია, ჩემს დროს ასეთი რამ არ ყოფილა“.

# ქომაგებო, გულს გაუფრთხილდით!

**ᲛᲝᲒᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲗ, რა ვნებათა ღელვას იწვევს ყოველი პენალტი როგორც თავად ფეხბურთელებში, ისე გულშემატკივართა შორის, ამ საკითხით დაინტერესდნენ მეცნიერებიც, რომელთა შორის, ალბათ, ბევრი თავად ამა თუ იმ გუნდის ქომაგია.** მათ გამოიკვლიეს თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმების გავლენა გულშემატკივართა გულ-სისხლძარღვთა სისტემებზე და მიიჩნიეს: ეს იმდენად მავნებელია, რომ შეიძლება მისი აკრძალვის შესახებ ფიქრიც კი.

აი, რას იტყობინება „ბრიტანეთის სამედიცინო ჟურნალი“: – ფეხბურთში 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შედეგების მიხედვით განხორციელებული გამოკვლევით დადგინდა, რომ ინგლის-არგენტინის ნაკრებების მატჩის დროს, როცა სამხრეთ ამერიკელებმა პენალტებით გაიმარჯვეს, ინფარქტების რაოდენობა 25 პროცენტით გაიზარდა.

საერთოდ, ინგლისელებისა და არგენტინელთა ორთაბრძოლები ბრიტანელ გულშემატკივრებში მძაფრ ემოციებს იწვევს, რადგან მათი ისტორიული დაპირისპირება უკავშირდება მსაჯებთან დავასა და მოთამაშეთა შეცდომებს.

მკვლევარებმა შეამოწმეს საავადმყოფოებში გულით დაავადებულთა მიმართვის, აგრეთვე ამ ორი ნაკრების მატჩის დროს, 30 ივნისს დასახიჩრებისა და ავარიების შემთხვევების რაოდენობა და შეადარეს ის ხუთი დღის შემდგომ მონაცემებს.

გამოირკვა, რომ მატჩის დღეს, აგრეთვე 1 და 2 ივლისს სამკურნალო დაწესებულებებს მიმართა 25 პროცენტით მეტმა ადამიანმა, მათ შორის მამაკაცები დიდად სჭარბობდნენ, სხვა დაავადებებით შემოსულთა სტატისტიკა ჩვეულებრივისგან არაფრით განსხვავდებოდა.

– პრევენტიულმა ტაქტიკამ უნდა გაითვალისწინოს დახმარების აღმოჩენა იმათთვის, ვინც გატანჯულია განსაკუთრებული ფიზიკური და ფიზიოლოგიური ძვრებით, – დაასკვნიან გამოკვლევის ავტორები და თანაც ამატებენ, რომ იმის გაუთვალისწინებლადაც კი, თუ რამდენად სამართლიანია სპორტული თვალსაზრისით პენალტების სერია, გამარჯვებულთა ასეთი, ლატარიული მეთოდით განსაზღვრაზე უარი უნდა ვთქვათ გულშემატკივართა ჯანმრთელობაზე ზრუნვის გამო.

**ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ**

ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲔᲠᲔᲗ, ᲘᲧᲘᲓᲔᲗ, ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ბრიგოლ აბაშიძე, იოსებ ნონეშვილი და ამირან მექვაბიშვილი ადიგენში.

მოგვაწოდა გიორგი გელენიძემ.

## ლიმილის დოზა



საახალწლო ფასები:

თოვლის ბაბუა სნეგუროჩკასთან ერთად — 50 დოლარი.

სნეგუროჩკა თოვლის ბაბუას გარეშე — 500 დოლარი.

* * *

ტელეფონი ღამის სამ საათზე რეკავს:

— ალო! ეს ნომერი 44.44.44-ია?

ნამძინარევი ხმა.

— დიახ!

— არ გა-დამ-რიოთ!

* * *

— მითხარი, ერთი ყური მეორეზე გრძელი რადა გაქვს?

— ბავშვობაში ბეზმენით მწონიდნენ.

* * *

ბებერ გენერალს ახალგაზრდა ცოლთან ერთად სძინავს. უცებ ელვიძება და ხედავს, პორუჩიკი რჟევსკი მის ცოლს ეფერება.

გენერალი (აღშფოთებით):

— ეს რას ნიშნავს, პორუჩიკო?

— ეს სიზმარია, გენერალო.

— სიზმარი... მესამე კვირაა, ერთი და იგივე სიზმარი მესიზმრება.

* * *

— ექიმო, ნუთუ მოურჩენელი დაავადება მჭირს?

— რა საჭიროა ასეთი პესიმიზმი! მოდით, სხვაგვარად ვთქვათ: თუ მე თქვენ მოგარჩენთ, მსოფლიოში სახელი გამივარდება.

* * *

შვედეთში ნამდვილი სოციალიზმია! მაღაზიებში შეგიძლიათ ნახოთ 40-ზე მეტინაირსახეობის ძეხვი. და თანაც ეს მხოლოდ სექს-შოპებში.

## ცოდნის სკივრი

მეცნიერული მიკროსკოპიის ფუძემდებელია ჰოლანდიელი ბუნებისმეტყველი ანტონი ვან ლეევენჰუკი (1632-1723).

* * *

სისხლის სამართლის ანთროპოლოგიური სკოლის ფუძემდებელია იტალიელი მეცნიერი, სასამართლო ფსიქიატრი და ანთროპოლოგი ჩეზარე ლომბროზო (1835-1909).

* * *

ქიმიური ელემენტი მაგნიუმი აღმოაჩინა ინგლისელმა ქიმიკოსმა და ფიზიკოსმა ჰამფრი დეივიმ 1808 წელს, მანვე აღმოაჩინა აზოტის ქვეჟანგის მათრობელა მოქმედება, მიიღო მეტალური კალიუმი და ნატრიუმი. 1815 წელს შექმნა მაღაროს უსაფრთხო ნათურა.

* * *

ყურძნის მაგარი ღვინის მადერას წარმოება პირველად კუნძულ მადეირაზე (კუნძული ატლანტის ოკეანეში) დაიწყეს (აქედანაა სახელწოდებაც). საქართველოში ამზადებენ მადერას ტიპის ღვინო „ანაგას".

* * *

სიმებიან-ჩამოსაკრავი მუსიკალური საკრავი მანდოლინა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ხალხური საკრავია. წარმოიშვა იტალიაში. საბოლოო სახით ჩამოყალიბდა XVII-XVIII საუკუნეებში.

* * *

ტერმინი „ბიოლოგია" პირველად ერთდროულად, მაგრამ ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად იხმარეს ფრანგმა ბუნებისმეტყველმა ლამარკმა და გერმანელმა ბუნებისმეტყველმა ტრევირანუსმა (1802).

* * *

პირველი სრული ევოლუციური თეორიის ფუძემდებელია ფრანგი ბუნებისმეტყველი ჟან ანტუან ლამარკი (1744-1829). მანვე შემოიღო ცხოველების დაყოფა უხერხემლოებად და ხერხემლიანებად.

## ტელევიზია

„ახალი წლის ღამე" ცისფერი ეკრანიდან ჩვენს ოჯახებში შემობრძანებული მეკვლეა. რით გაახარებენ თავიანთ ერთგულ მაყურებლებს, რა სიახლეებსა და სიურპრიზებს შესთავაზებენ მათ? სწორედ ამის გამო ჟურნალისტებისათვის საქტელერადიომაუწყებლობაში პრესკონფერენცია ჩაიმართა. თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გიორგი ლეონიძემ და თავმჯდომარის მოადგილემ ედნარ გიორგობიანმა ჟურნალისტებს პირველი არხის საახალწლო გადაცემის პროგრამა გააცნეს, შემდეგ კი ჟურნალისტებისათვის საინტერესო კითხვებს ამომწურავი პასუხები გასცეს.



ედნარ გიორგობიანი და გიორგი ლეონიძე.

### რამდენ სიხარულს გვპირდება პირველი არხი

საახალწლო პროგრამა პირობითად ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი 31 დეკემბერს ეთერით 24 საათამდე გადაიცემა. იგი მთელი საქართველოს ყველა კუთხესა და რეგიონს მოიცავს, — ტრადიციებით, ფოლკლორით, საახალწლო მილოცვებითა და სურვილებით. ქვეყნის ყველა კუთხეში გვიმასპინძლებს ზაზა აბაშიძე, თბილისში კი ჩვენი დიასახლისი პოპულარული მომღერალი და მსახიობი ეკა კახიანი იქნება. საინტერესოა იმათთან შეხვედრა, ვინც ახალი წლის ღამეს სამუშაო ადგილზე შეხვდება: ისინი ახალ წელს მოგვილოცავენ.

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ტრადიციულ მილოცვას მოვისმენთ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II დაგვლოცავს.

პირველი ნაწილის სცენარის ავტორი გახლავთ ნანა ზარდიაშვილი, რეჟისორი — ნოდარ სუმბაძე.

უნდა აღინიშნოს, რომ მეორე ნაწილის გადაცემებისათვის ორიგინალური სახის მისაცემად დიდი შრომა გასწიეს რეჟისორმა ნინა გოგოლიშვილმა და მომღერალმა ირმა სოხაძემ, რეჟისორმა ნუგზარ ჩხაიძემ.

პირველი არხის ერთგულ მაყურებლებს ამ დღეებში სიურპრიზები ელით. 31 დეკემბერს საინფორმაციო პროგრამა „მოამბის" შემდეგ შედგება ბასა ფოცხიშვილის მიერ დავით ევგენიძის მუსიკალურ კომპოზიციაზე გადაღებული კლიპის პრემიერა. შობის ღამეს კი — 6 იანვარს, მუსიკის მოყვარულები ბერიანიძის საშობაო სიმღერის პრემიერას დაესწრებიან.

რეჟისორმა ბასა ჯანიკაშვილმა შესძლო პოლიტიკოსების „პარლამენტიდან სცენაზე გადმოყვანა". მათი ერთი ნაწილი პოპულარულ ქართულ საესტრადო სიმღერებს პროფესიონალ მომღერლებთან ერთად შეასრულებენ. მარინე გერმანაშვილისა და თინათინ ჭაბუკიანის პროექტში კი უკვე სხვები (პარლამენტარები) ხალხური სიმღერებით დაგვატკბობენ. მათ აქაც პროფესიონალები აუწყობენ ხმას.

ბატონმა ედნარ გიორგობიანმა პრესკონფერენციაზე დამსწრე ჟურნალისტებს განუცხადა, რომ წლევანდელი საახალწლო პროგრამა ნაწილობრივ დაემსგავსება ყველასათვის ნაცნობ და ნოსტალგიადქცეულ „ცისფერ ეკრანს". აქ დიდ ადგილს დაიკავებს დიალოგი, სიმღერების „ცოცხალი" შესრულება, კურიოზები ცნობილი ადამიანების ცხოვრებიდან.

„რაც შეეხება იუმორს, — აღნიშნა ბატონმა ედნარმა, — იგი ძალზე მოაკლდა ჩვენს საზოგადოებას. ეს არცაა გასაკვირი, მაგრამ, ვეცადეთ, რომ ჩვენი გადაცემები ამ მხრივაც ორიგინალური ყოფილიყო. ახალ თაობას არც ახსოვს, ან თითქმის არ ახსოვს ქართველი მსახიობები, რომლებიც იუმორის ჟანრში მუშაობდნენ, რადგან მოძველდა უნიკალური სპექტაკლების ჩანაწერები. საქტელერადიომაუწყებლობის ხელმძღვანელობამ შესძლო უცხოური აპარატურის შეძენა და იმ საარქივო მასალის აღდგენა. საახალწლო დღეებში ჩვენს მაყურებელს შესაძლებლობა ექნება, იხილოს აღდგენილი სპექტაკლები „ჭინჭრაქა" და „მეტეხის ჩრდილში" ლეგენდარული სერგო ზაქარიაძის მონაწილეობით, „ხანუმა" და „უჩინმაჩინის ქუდი" — ეროსი მანჯგალაძის ბრწყინვალე შესრულებით. „სიცილის მეფედ" აღიარებლი ბენი ჰილის მოკლემეტრაჟიანი მინიატიურები და რაც მთავარია, მინიატიურების თეატრის სპექტაკლები თენგიზ ჩანგლაძის მონაწილეობით. 5 იანვარს გვესტუმრება იუმორით განთქმული ქუთაისი, თავისი „კოლორიტებითა" და მათი კურიოზებით. ასე რომ, ჩვენი მაყურებელი საახალწლო დღეებში მართლაც არ მოიწყენს.

დიდი არჩევანი აქვთ ქართული და უცხოური ესტრადის თაყვანისმცემლებს: 31 დეკემბრიდან 14 იანვრის ჩათვლით შესაძლებლობა გექნებათ მოუსმინოთ ლელა წურწუმიას, ცისანა ტატიშვილსა და მერაბ სეფაშვილს, „ქუჩის ბიჭებსა" და ზაურ ბოლქვაძეს, დათო ხუჯაძესა და ნატო გელაშვილს, ანსამბლებს „ფაიასა" და „დივას", ლეგენდარულ სტინგსა და სანტანას, ჯენეტ ჯექსონსა და სხვა ვარსკვლავებს.

საახალწლო დღეებს გაგვილამაზებს „ერისიონის" საზღვარგარეთული ტურნე, თბილისის მრავალხმიანობის პირველი საერთაშორისო ფესტივალი, ანსამბლი „რუსთავი", ქართული დოკუმენტური ფილმი „ჯაზ-ფესტივალი", ბიძინა კვერნაძის საიუბილეო საღამო, საიუბილეო კონცერტი „ივერიის ვარსკვლავი", ქართული ტელეფილმის „ალექსანდრე კორსანტიას" პრემიერა და ალექსანდრე ბასილაიას მოსკოვური კონცერტი.

პატარებისთვის დღის ეთერში გაბნეულია საბავშვო და ხალხური სიმღერების კონცერტები, „ბასტი-ბუბუ", „მხიარული კარუსელი". სპეციალურად საახალწლოდ პირველი არხის მიერ შეძენილი მულტსერიალი „ახალი თოვლის ბაბუა".

საშობაოდ თამარ ცაგარეიშვილი საავტორო პროგრამაში „მიამბეთ თქვენზე" უმასპინძლებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს. იმავე დღეს ტელევიზიის ორი მოძრავი არხის საშუალებით მთელს საქართველოში გადაიცემა საშობაო წირვა-ლოცვა წმიდა სამების საკათედრო ტაძრიდან.

ბატონმა გიორგი ლეონიძემ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ საქტელერადიომაუწყებლობის პირველ არხს საახალწლო საჩუქარი თავისი მაყურებლისათვის 30 ათასი დოლარი „დაუჯდა", ეს თანხა სპონსორების გაღებულია და მწირი ბიუჯეტიდან ერთი თეთრიც არ გამოუყენებიათ.



ირმა სოხაძის ჯგუფი მუშაობს.

საქართველოს მოქალაქეები შობა-ახალი წლის დღეებში პირველი არხის საშუალებით 85 ახალ პროგრამას იხილავენ, რომლის 70 პროცენტი ქართულია და პირველი არხის შემოქმედებითი კოლექტივის შექმნილია. შეიცვალა ტრადიციული ტიხრები, არხის გაფორმება, ანონსების ფორმა, საახალწლო ელფერი ექნება ტრადიციულ ლოგოსაც. ყოველივე ეს ბაკურ ბაკურაძის დამსახურებაა.

მაშ ასე, უყურეთ პირველ არხს, ჩვენი ოჯახების მეკვლესა და სიხარულის შემომტანს.

ბოლოს კიდევ ერთი სიურპრიზი — ცისფერი ეკრანიდან საახალწლო გადაცემების მეორე ნაწილის წამყვანები იქნებიან ჩვენი ოჯახების წევრადქცეული ტელესერიალიდან „ძილის წინ" მარეხი და უბერებელი კარლო საკანდელიძე.

მამუკა ვაშაკიძე.

ჯემალ კასრაძის ფოტო.

## სამეგრელოს მხარე

### ქალი ლეგენდა

19 დეკემბერს მშობლიურ ფოთში ნინო ქვანიას დაბადების 85 წლის საიუბილეო საღამო ჩატარდა, შემდეგ კი „ესტაფეტა" ზუგდიდმა მიიღო. „ენგურქაღალდკომბინატის" კულტურის სახლში ხალხის ტევა არ იყო. აქ იყვნენ სტუმრები სამეგრელოს ყველა რაიონიდან, თბილისიდან, ქვანიების, ზოდელავების გვარის წარმომადგენლები, ქალბატონ ნინოს შვილები — მანანა, მარინე და ვანო.

ზუგდიდის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივის წევრებმა ლექსებითა და სიმღერებით „ილაპარაკეს" ნინო ქვანიას საზოგადო მოღვაწეობის დიდ გზაზე. მოგონებებით გამოვიდნენ რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლები, ღირსების ორდენოსანი ლუიზა ციმინტია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის დირექტორი, დოცენტი ვახტანგ კვარაცხელია. მათ ილაპარაკეს ქალბატონ ნინოსთან შეხვედრებით მიღებულ შთაბეჭდილებაზე, რაც კიდევ ერთი დასტური იყო მისი დიდი ადამიანობისა.

სტუმრებს მიესალმა ზუგდიდის რაიონის გამგებელი ნუგზარ ანთელავა. მან სცენაზე მიიწვია ნინო ქვანიას ვაჟი ბატონი ვანო ზოდელავა, რომელმაც მადლობის სიტყვებით მიმართა საღამოს მონაწილეებსა და ორგანიზატორებს. სრულიად საქართველოს აღუთქვა, რომ ღირსეულად გააგრძელებს დედის გზას, დედასავით უანგაროდ გაითავისებს ქვეყნის ყველა ჭირსა და ლხინს.

...1917 წლის 21 დეკემბერს ქალაქ ფოთში ეგნატე ნინოშვილის ქუჩაზე კომერსანტსა და მეცენატს აქსენტე ქვანიას შეეძინა ქალიშვილი ნინო, რომელიც მთელი სიცოცხლე უმწიკვლოდ ემსახურა სამშობლოს, ხალხს და დღეს მის მონაგარს სიამაყით იმკის შთამომავლობა.

ოდიკ ძუხილავა.

## გახსენება

### გიორგი (ჟორა) ლონდაძე



ჩვენო საყვარელო ჟორა, 2002 წლის 21 ნოემბერი ჩვენთვის უბედური დღე იყო. ორმოცი დღე გადის შენი გარდაცვალებიდან. ძალიან გვენატრები ყველას, ვისაც სამუდამოდ გვატკინე გული. სამ თვეს იავადმყოფე. მოვლა-პატრონობას არ გაკლებდით. ექიმები თავზე დაგტრიალებდნენ, ყველაფერს ვაკეთებდით შენი მეუღლე და შვილები, რომ გამოჯანმრთელებულიყო, მაგრამ ვერაფრით გიშველეთ. გულმა გიმტყუნა და გამოგვაცალა შენი თავი ხელიდან, თუ რამე განგება არის, არც მანდ მოგაკლებთ არაფერს.

ძალიან მშრომელი კაცი იყავ ახალგაზრდობიდან, სულ მუშაობდი რკინიგზის ხაზით მატარებელზე მემანქანედ, შემდეგ გამცილებლად, რევიზორად. დამსახურება გქონდა. უყვარდი თანამშრომლებს, მეგობრებს, მათთან დიდი ავტორიტეტით სარგებლობდი. ახლა, სამწუხაროდ, ყველას გამოაკლდი. ძალიან გიყვარდა სოფელი, ქვიშხეთში ყველაფერს აკეთებდი და ყველაფერიც გქონდა. არავის არაფერში არ აწუხებდი, არავისი არაფერი გინდოდა, პირიქით, იქით უნაწილებდი ყველას ყველაფერს. ძალიან კეთილი კაცი იყავი, ყველას ეხმარებოდი. სულ მომღიმარი იყავი. კარგი მეუღლე, მზრუნველი მამა და ბაბუა — ასედაც შემორჩები ჩვენს მეხსიერებაში.

შენი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში, მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა, სამარადისო ნათელი ეფინოს შენს წმინდა სახელს!

მეუღლე თამარი, შვილები დათო, მანანა, გიორგი, სიძე ალიკა, და ქეთო, ძმები რუბენი, დემური ოჯახებით.

---

მეუღლე ჯენარო ქრისტესაშვილი, შვილი ლევანი, შვილიშვილი სანდრო, რძალი ვანდა მუჯირი, და ნანა წულუკიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ალექსანდრე (ალიკა) შალვას ძე კობალაძე.

პანაშვიდი 26, 27 XII, 4 სთ. გამოსვენება 28 XII, 2 სთ. მისამართი: ძმები ზუბალაშვილების ქ. №2.

---

ქ. თბილისის ძმები ზუბალაშვილების ქ. № 2-ში მცხოვრები მეზობლები იუწყებიან, რომ უდროოდ გარდაიცვალა ყველასთვის საყვარელი მეზობელი, მეგობარი და ძვირფასი პიროვნება

ალექსანდრე (ალიკა) კობალაძე

და დიდი მწუხარებით თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

„ახალი ქსელების" თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ კავშირგაბმულობის სისტემის ღვაწლმოსილი მუშაკის, კავშირგაბმულობის მინისტრის ყოფილი პირველი მოადგილის და დიდად პატივცემული ადამიანის, ბატონ

მიხეილ ინაურის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

---

„საქართველოს ტელეკომის" ადმინისტრაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კავშირგაბმულობის მინისტრის ყოფილი პირველი მოადგილე, ღვაწლმოსილი პროფესიონალი, მეკავშირე

მიხეილ ნიკოლოზის ძე ინაური

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

შპს „საქართველოს ფოსტას" ადმინისტრაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს დამსახურებული ინჟინრის, კავშირგაბმულობის და ფოსტის სფეროს ღვაწლმოსილი მუშაკის, ბატონ

მიხეილ ინაურის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

უახლოესი მეგობრები: გულნარა ნადარეიშვილი, ნათელა ბაკურაძე, ლიანა გახოკიძე, ცირა ხუციშვილი, ზაირა გოგოლაშვილი, ნუნუ ნემსაძე, იზაბელა გოგორიშვილი, ნური დარჩია, მოთა გიორგობიანი, თამაზ იმედაძე, ზურაბ სვანიძე, ანზორ მაჩაიძე, ანზორ ლობჟანიძე, გოგი კაკაბაძე, გოგი მაჭავარიანი თანაუგრძნობენ ლუარა ქუთათელაძეს ძმის

მარლენ ქუთათელაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ენერგეტიკისა და ენერგეტიკულ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ თამაზ მეტრეველს მამის

ივანე მეტრეველის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის რექტორატი და ეკონომიკის ფაკულტეტის კოლექტივი ღრმა სამძიმარს უცხადებს პროფესორ რევაზ ასათიანს დედის

მედეა ხუციშვილი-ასათიანის

გარდაცვალების გამო.

## კონკურსი

### ოქრო, ვერცხლი და კარგი ღვინო



ამ დღეებში თელავში მოეწყო ქართული ღვინოების დათვალიერება-დეგუსტაცია, რომელმაც სამამულო ნაწარმის ღირსება კიდევ ერთხელ წარმოაჩინა.

სურათებზე: საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული კახეთის მხარეში ბიძინა სონღულაშვილი ოქროს მედალს გადასცემს „თბილღვინოს" აღმასრულებელ დირექტორს ზურაბ მარგველაშვილს (1);

სადეგუსტაციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ კეკელიძე (მარცხნიდან), მდივანი პეტრე მესხიძე და საორგანიზაციო ჯგუფის უფროსი ზურაბ ვაჭარაძე დეგუსტაციაზე (2);

ქართული ღვინის ნიმუშების საგამოფენო დარბაზში (3).

სპარტაკ ხანიაშვილის ფოტო.





## გამოიცა

### ვინ ცდილობს კეთილი მეზობლების ხელოვნურად წაკიდებას?

გამოიცა ბონდო არველაძის ბროშურა „დაშნაკებს არც არაფერი დავიწყებიათ და არც არაფერი უსწავლიათ". ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბონდო არველაძე ცნობილი არმენოლოგია, მისი ნაშრომები ნდობასა და ყურადღებას იმსახურებს, ის, რაზეც ავტორი წერს ამ მომცრო ნაშრომში, დამაფიქრებელი და საგანგაშოა.



ბონდო არველაძე

დაშნაკებს არც არაფერი დავიწყებიათ და არც არაფერი უსწავლიათ

ამ რამდენიმე ხნის წინათ გამომცემლობა „საარქივო მასალებს" ინგლისურ ენაზე დაუსტამბავს ბუკლეტი „სომხეთის პოლიტიკური და ეთნიკური საზღვრები (1878-1948)". მას ერთვის რუკა № 9, რომელშიც ახალქალაქისა და ქვემო ქართლის (ბორჩალოს) რეგიონები სომხეთის ფარგლებშია მოქცეული.

ავტორს მოაქვს ვრცელი ამონაწერი ივანე ჯავახიშვილის ნაშრომიდან, რომელიც სომხეთის მთავრობისა და პოლიტიკური წრეების „დიდი სომხეთის" აღდგენის ცდას ეხება XX საუკუნის პირველ ათასწლეულებში. მათი ფანტასტიკური მონახაზით სომხეთი შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდეა გადაჭიმული და ხმელთაშუა ზღვამდე აღწევს, მასში ბათუმი, ახალციხე, თვით მცხეთა და თბილისიც კი, სომხეთშია მოქცეული და საქართველოს პატარა, ვიწრო ზოლიღა აქვს მიკუთვნებული. სომხეთშივეა მოქცეული თურქეთის დიდი ნაწილი და სპარსეთის ჩრდილოეთი. დაშნაკელთა მცდელობა ამ გეგმის განხორციელებისა დღემდე არ ცხრება, თუმცა მისი განხორციელების სრული შეუძლებლობა მათ მრავალგზის დაუმტკიცესო, — წერს ივანე ჯავახიშვილი.

ავტორი გვამცნობს, რომ საბჭოთა პერიოდში გაგრძელდა დაშნაკთა უსაფუძვლო პრეტენზიები, ოღონდ ბრძოლის ფორმა შეცვალეს და უფრო ფარულად მოქმედებდნენ. დღეს კი დემოკრატიის პირობებში თავი ისევ აიშვეს, მათმა თანამგრძნობმა პირებმა ძველი ზრახვები სააშკარაოზე გამოიტანეს. მოისურვეს ჯავახეთის ავტონომია საქართველოს ფარგლებში (ჯერ პირველ ეტაპზე), ზოგიერთი სომეხი მეცნიერი დაშნაკთა ამ მოთხოვნის „მეცნიერულად დასაბუთებას" ცდილობს, გამოდის სამეცნიერო თუ პოპულარული ხასიათის ლიტერატურა, რომელშიც ჯავახეთს ისტორიული სომხეთის მიწად აცხადებენ:

1992 წელს 3 ენაზე გამოვიდა ბუკლეტი „ახალქალაქი", სადაც ეს კუთხე სომხურად არის გამოცხადებული.

1995 წელს დაისტამბა სამცხე-ჯავახეთის რაიონების რუკა „სომხური ისტორიული ძეგლების" აღნიშვნით. მის გამომცემელთ სურთ ამ მხარის სომეხი მოსახლეობის ცნობიერებაში მტკიცედ დაამკვიდრონ ჯავახეთის მიწის „სომხურობა".

დაისტამბა ვრცელი ნაშრომი — „სომხეთი და მისი მიმდებარე ოლქების ტოპონიმთა ლექსიკონი" (4 ტომი), სადაც ისტორიულ სომხეთად არის გამოცხადებული სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი და შესაბამისად „სომხური ტოპონიმიც" არის მოჩხრეკილი.

მანამდე კი, 1978 წელს ერევანში გამოვიდა პროფ. ტ. მარუთიანის ვრცელი მონოგრაფია „საღრმეთა სომხეთი", სადაც, არც მეტი და არც ნაკლები, სომხურ მიწადაა გამოცხადებული ტაო-კლარჯეთი, ხოლო ამ მხარის ქართული არქიტექტურის ძეგლები: ოშკი, ხახული, იშხანი, ბანა და სხვები — სომხური ხუროთმოძღვრების განვითარების ეტაპებად.

თბილისის მეტეხის ტაძარი უცხოურ გამოცემებში, რა თქმა უნდა, სომეხ ინფორმატორთა წყალობით, სომხურ ძეგლად არის შეტანილი.

პროფესორი პ. აკოფიანი თავის სქელტანიან მონოგრაფიაში „ხაჩატურ აბოვიანი" წერს: „თბილისი იყო სომხეთა საგარეუბნო ციხე-სიმაგრე, რომელიც შემდეგ ქართველთა დედაქალაქად იქცა".

1995 წელს ერევანში გამოვიდა რუკა-ცნობარი „სომხური ეკლესიები საქართველოში". ავტორს ს. კარაპეტიანს თუ დავუჯერებთ, საქართველოში 650-ზე მეტი სომხური ეკლესია ყოფილა.

ისე რომ, საქართველოს მხარეს საქმის კურსში არც აყენებენ, შემუშავებულია საგზაო მაგისტრალის პროექტი: მეღრი-ერევანი-გუმრი-ნინოწმინდა-ახალქალაქი-ახალციხე-ადიგენი-ბათუმი (გოდერძის უღელტეხილის ქვეშ გვირაბით).

ბ. არველაძე გულისტკივილით დაასკვნის, რომ ზოგიერთი სომეხი ისტორიკოსი „დიდი სომხეთის" ავადმყოფური იდეებით წამლავს სომეხი ხალხის სულსა და გონებას. სწორედ ამ მიზანს ისახავს 1918 წლის „სომხეთის პოლიტიკური და ეთნიკური საზღვრების (1878-1948)" რუკა № 9-ის ხელახალი გამოცემა. ეს მორიგი შემოტევაა, რაც ისევ და ისევ უკავშირდება ძირძველ ქართულ მიწებს — ჯავახეთს, ქვემო ქართლს...

გამორიცხული არ არის, რომ ეს ახალი იერიში გარკვეულმა ძალებმა წამოიწყეს, რათა ხელოვნურად გაამწვავონ კეთილმეზობლური ურთიერთობები ორ მოძმე ქვეყანას შორის. ამიტომ, ყოველი ასეთი გამოხდომა რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს. ეს პრინციპული საკითხიაო, წერს ბოლოს ბონდო არველაძე.

ალექსანდრე ალექსიძე.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები — „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ბონდო გულიაშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — sakresp@gol.ge

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რაინიგზის ჩიხი 20.